

აჭარა "დემარში" და "პოლიტიზების" მცდელობა

A3



უარი მართლმსაჯულებაზე

A4



ახალი "ბორჯღალოსნები"

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 22 აპრილი, 2006 წელი. №88 (1240)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ქმედება და უმოქმედობა - ორივე კორუფციაა

გასულ წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ კორუფციის გავრცელებისა და მასთან ბრძოლის დონით საქართველო ისეთი ქვეყნების რიგში დგას, როგორიცაა კამბოჯა, ყირგიზეთი, კონგო და პაპუა ახალი გვინეა.

A2

## ამბები

### ირანს იარაღის შექმნა სხვაგან არ მოუწევს

ირანის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, აშშ-ს განზრახვა, გადასცეს "ბირთვული დოსიე" გაერო-ს უშიშროების საბჭოს, მცდარი ნაბიჯია, რაც მდგომარეობას არ შეამსუბუქებს.

A3

## სამართალი

### "რეპორტიორი" ადანაშაულებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

სტუდია "რეპორტიორის" ჟურნალისტები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ვალერი ცერცვაძეს სიცრუეში ადანაშაულებენ. ამის გამო "რეპორტიორის" ჟურნალისტებმა - ვახტანგ კომახიძემ და ბელა ზაქაიძემ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

A4

### „ბრიტანეთის ავიახაზების„ და „24 საათის„ ერთობლივი ვიქტორინა

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 22/04 | 23/04 |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 22 |
| ტყიბული | 21 | 19 |
| სოხუმი | 19 | 16 |
| გორი | 19 | 20 |
| ონი | 17 | 15 |
| ზუგდიდი | 23 | 20 |
| ახმეტა | 22 | 22 |
| სამტრედია | 22 | 21 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8170 |
| ევრო | 2.2433 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2428 |
| რუბლი | 0.0662 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სპორტი | A 8 |


# საალდგომო

## ზარზანდელი ნოველა წლევანდელი გაგრძელებით



ზაზა ფაჩუაშვილი

### მზის საბუდარი

მთელი ცხოვრება დავდივარ და ზემოთ-ზემოთ ვიყურები. დავინახავ თუ არა რაფაზე ჩამწკრივებულ ბალიშებს, გული მეხსნება და სამყარო მიყვარდება.

ასეთი მშობლიური გრძნობა მაშინ ამაცოცდებოდა-ხოლმე საქოჩრემდე, როცა ბებიაჩემი მეტყოდა: წამოდი, შვილო, პაპაშენის ფარდულში კრუხი დავაჯინოთო. დავდგამდით მშრალ, მყუდრო ადგილზე კაი ხის ყუთს. ჩავუფენდით ფაფუკ თივას და ჩავაწყობდით კვერცხებს. დღემდე არ ვიცი, რატომ, მაგრამ 21 ან 19 უნდა ყოფილიყო. მერე ბებიაჩემი ქათამს ტყემლით დაბანილი ხელებით აიყვანდა, პუტუნში დაბერებული ტუჩებით დაარიგებდა, აბა, ახლა დაჯექი და გამოტეხეო და ჩემი დროც დადგებოდა.

- დასვი, ბებია, დასვი, - მამხნევებდა გულშემატკივარი ხმა და მეც ნელ-ნელა ვაფარებდი თივის თეთრ გულზე ბუმბულის ცოცხალ ბურთს. კრუხი ერთს ჩაიკმა-კმა-ყოფილებდა-ხოლმე და კვერცხებს დაათბობოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დღეიდან, ყოველ შაბათს

"24 საათის" ახალი ჩანართი




# ევროპის პასუხი რუსულ შანტაჟზე

*ევროპამ რუსეთს პასუხი გასცა. "გაზპრომის" შანტაჟის საპასუხოდ, ევროპელები ენერგეტიკული ალტერნატივის ძებნას იწყებენ. ევროკავშირის ახალი ენერგეტიკული სტრატეგია რუსეთს ენერგომატარებლებით მანიპულირების გაცილებით მცირე შესაძლებლობებს დაუტოვებს.*

დიმიტრი ავალიანი

ევროკომისია და ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო (IEA) რუსული ენერგეტიკული მონოპოლიის "გაზპრომის" არაპროგნოზირებადობაზე საუბრობენ. ენერგეტიკულ საკითხებში ევროკომისრის პრესმდივანმა ფერან ტარანდელას ესპუნიმ განაცხადა, რომ ამჟამად არსებობს შეშფოთების საფუძველი ენერგიის გარეშე წყაროებზე ევროკავშირის დამოკიდებულების გამო. **"ჩვენ ჩვენი ენერგიის წყაროების დივერსიფიკაციის პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ,"** - აღნიშნა მან. IEA-ს მთავარმა ეკონომისტმა ფატრიჰ ბიროლმა კი განაცხადა: **"ევროპამ თავისი ენერგეტიკული პოლიტიკა უნდა შეცვალოს, რომ რუსული გაზისადმი საშიშ დამოკიდებულებაში არ გაყოს თავი."**

**"გაზპრომის" ბოლო განცხადება შემაშფოთებელი სიგნალია, რომელმაც ევროპელ პოლიტიკოსებს თვალები უნდა აუხილოს,"** - განაცხადა ბიროლმა. ევროკომისიამ "გაზპრომს" მიღწეული შეთანხმებების ფარგლებში დარჩენისაკენ მოუწოდა.

ასე გამოეხმაურა ევროკომისია და ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო "გაზპრომის" ხელმძღვანელის ალექსეი მილერის განცხადებას, რომელიც ევროპას, ფაქტობრივად, გაზის მოწოდების შეწყვეტით დაემუქრა, თუ "გაზპრომის" ამბიციები ევროპაში დაკმაყოფილებული არ იქნება. კერძოდ, "გაზპრომი" დასავლეთ ევროპის ქვეყნების გაზგამანაწილებელი ქსელების ხელში ჩაგდებითაა დაინტერესებული.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ინტერესის დემონსტრირება და საუბრები დემოკრატიაზე

## ოპოზიცია თბილისში მყოფ ევროკავშირის "ტროიკასთან" ჩივის

*2006 წლის 20-21 აპრილს საქართველოში ევროკავშირის "ტროიკას" დელეგაცია იმყოფებოდა ვიზიტით. გავრცელებული ინფორმაციით, ევროპელმა დიპლომატებმა ქართულ მხარესთან ყველა შეხვედრისას საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს. მათ შორის, ბუნებრივია, ძირითადი ყურადღება ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებს დაეთმო. შეგახსენებთ, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის დამტკიცება მომავალ თვეშია დაგეგმილი.*

უკანასკნელ ხანებში ევროკავშირის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში საგრძნობლად გაიზარდა. ამას ცხადყოფს ევროპელი დიპლომატების ბოლოდროინდელი გახშირებული ვიზიტები საქართველოსა და რეგიონის დანარჩენ ქვეყნებში. უფრო მეტიც, რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი წამყვანი გერმანული გამოცემა "ველტი" წერდა, რომ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ევროკავშირის "შტურმს" ამზადებს სამხრეთ კავკასიაში.

როგორც 19 აპრილს გამოქვეყნებული სტატიიდან ირკვევა, მერკელი მიიჩნევს, რომ ეს რეგიონი ევროკავშირის ყურადღების ერთ-ერთი მთავარი ობიექტი უნდა გახდეს და, რაც მთავარია, დაუახლოვდეს ევროპას გეოპოლიტიკური თვალსაზრისით.

რასაკვირველია, ამ გადაწყვეტილების მიღებას პრაგმატული მოსაზრებები განაპირობებს, მათ შორის უპირველესი - ენერგეტიკის ალტერნატიული წყაროს მონახვას უკავშირდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჩამონგრეული ფასადები და მაქინაცია ბიუჯეტის თანხლებით

*ფასადების უხარისხოდ შეღებვისა და ამ სამუშაოების შესასრულებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილი სოლიდური თანხების არამიზნობრივად ხარჯვის თემა კვლავ აქტუალურია. გასულ წელს ფასადები ფოთშიც შეიღება, ამ სამუშაოების შესასრულებლად ბიუჯეტიდან 440 ათასი ლარი გამოიყო. თუმცა, ძალზე მალე აღმოჩნდა, რომ სარემონტო სამუშაოები უხარისხოდ ჩატარდა - ფასადები ჩამოინგრა, რადგან ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მის ხარისხიან შეკეთებაზე მიზნობრივად არ დაიხარჯა. მომხდარით ფინანსური პოლიცია დაინტერესდა და ბიუჯეტიდან სახსრების მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე საქმე აღძრა.*

ქეთევან ჭაკობია
ფოთიდან

საქმე ისაა, რომ თუ სპეციალისტები ერთი კვადრატული მეტრი ფასადის შეკეთების სავარაუდო ღირებულებად 60 ლარს ასახელებდნენ, ფოთის ადგილობრივმა მთავრობამ იგივე სამუშაოების შესრულება სამშენებლო ფირმებს 12 ლარად შეუკვეთა. საღებავიც რატომღაც არაკომპეტენტურმა პირმა, სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ მამუკა თოდუამ შეარჩია.

სხვათა შორის, მოსალოდნელი მაქინაციების შესახებ თავიდანვე დაიწყო საუბრები. ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში, როცა პრეზიდენტის მომლოდინე ქალაქში ფასადების შეღებვის სამუშაოები აქტიურად იყო გაჩაღებული, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა, ილარიონ მელქაძემ სკანდალური განცხადება გააკეთა და თანამდებობაც დატოვა.

**"მთავრობაში გააფთრებული ლობირებენ ამა თუ იმ სამშენებლო ორგანიზაციებს, უხეშად ერევიან ჩემს კომპეტენციაში და სურთ, შეუსრულებელი სამუშაოებისთვის თანხების გადარიცხვაზე, უხარისხოს ხარისხიანად აღიარებაზე მოვაწერო ხელი,"** - განაცხადა მაშინ მელქაძემ. ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა კონკრეტული გვარებიც დაასახელა - ფოთის მერი ივანე სალინაძე, მერის მოადგილე გოჩა ტუღუში, ვიცე-გუბერნატორი მამუკა თოდუა და "ნაციონალური მოძრაობის" ფოთის ფილიალის თავმჯდომარე დავით შურღაია.

გაგრძელება A4 გვერდზე

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის შესარჩევ კონკურსში მონაწილე პირთა სია

1 ზაალიშვილი ზაალი - სააქციო საზოგადოება "თელასი" - უძრავი ქონების აღრიცხვის ადმინისტრატორი.
2 ოსიძე იოსები - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.
3 ჩახნაშვილი გიორგი - დროებით უმუშევარი.
4 მირცხულავა გოჩა - ახალი ამბების სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" (შპს ჯეოჰოთნიუსი) - დირექტორი.
5 იაკობიძე ავთანდილი - საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი - წამყვანი სპეციალისტი.

## "პოლიტიკური ჩხუბი" ქედაში

*ქედის რაიონში "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერის, დავით ბერძენიშვილის სტუმრობის შემდეგ, "ნაციონალურ მოძრაობასა" და "რესპუბლიკურ პარტიას" შორის დაპირისპირება ჩხუბში გადაიზარდა.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

"რესპუბლიკელების" განცხადებით, მმართველი პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს, ვინც ბერძენიშვილთან შეხვედრას დაესწრო, თანამდებობიდან გადაყენებით დაემუქრა, ხოლო ოპოზიციური პარტიის წევრებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. "ნაცმოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ედნარ აბულაძის განცხადებით კი, მას "რესპუბლიკური პარტიის" წევრი ზვიად დიასამიძე მთვრალი მიუვარდა.

"რესპუბლიკური პარტიის" ქედის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლის თამაზ ბერიძის განცხადებით, მმართველ პარტიასთან დაპირისპირება ორი დღის წინ, ქედაში დავით ბერძენიშვილის სტუმრობას მოჰყვა: **"ბერძენიშვილი რაიონში ამოვიდა და, პარტიის წევრებთან ერთად, მოქალაქეებსაც შეხვდა. მათ შორის რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომელიც იყო. ორი წლის წინ აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ გაერთიანებული ოპოზიცია, სახალხო მოძრაობა "ჩვენს აჭარაში" "ნაციონალები", "რესპუბლიკელები" და სხვები ერთად ვიყავით. "ნაციონალების" რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ედნარ აბულაძეც ჩვენი გაზრდილია. გვიან საღამოს, როცა შეხვედრა დამთავრდა, ჩვენს ბიჭებს აბულაძე შეხვდა და რატომღაც ძალიან უხეშად მოექცა, ჩემს გვარს კი აგინა. მეორე დღეს, დაბა ქედის საკრებულოს თავმჯდომარე რეზო ნაკაშიძე და თემურ ბერიძე დაიბარა და დაემუქრა, რომ "რესპუბლიკური პარტიის" შეკრებებზე დასწრებისათვის თანამდებობას დატოვებდნენ."**

მეორე დღეს აბულაძესთან პარტიის ოფისში "რესპუბლიკელების" ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზვიად დიასამიძე მივიდა და პარტიისა და თანაპარტიელების შეურაცხყოფისათვის პასუხი მოსთხოვა. **"აბულაძემ, კაბინეტიდან გასვლის დროს, დიასამიძეს ფეხი ამოარტყა, ზვიადმაც არ მოუთმინა და ყურის ძირში გაარტყა. აბულაძემ ამის შესახებ პოლიციაში განაცხადა - შეურაცხყოფა მომაყენესო. ჩვენი მხრიდან მსგავსი განცხადება არ გაკეთებულა. აბულაძე ჩვენს ხელში გაზრდილი ბიჭია, მაგრამ ახლა ქედაში დიქტატურის დამყარება მოუნდა. ეს ჩვენს რაიონში არ გამოვა,"** - აცხადებს ბერიძე.

"ნაციონალური მოძრაობის" ქედის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ედნარ აბულაძე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელს ხულიგნობაში ადანაშაულებს: **"მათი პარტიის წევრი ზვიად დიასამიძე ნასვამ მდგომარეობაში შემოვარდა ჩემს ოფისში და ისე იქცეოდა, პოლიციის დახმარებით გავიყვანეთ. რა მიზეზით მოვიდა ჩემთან, არ ვიცი. ამ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა განყოფილება აწარმოებს მოკვლევას. მათ რა განმარტება მისცა, ჩემთვის უცნობია."**

აბულაძე თანამდებობის პირთა მიმართ მუქარასაც უარყოფს: **"იმ პერიოდში ბაკურიანში, ტრენინგებზე ვიმყოფებოდი. როცა ჩამოვედი, ბერძენიშვილი რაიონში უკვე აღარ იყო და არც ის ვიცი, ვინ შეხვდა მას და ვინ არა. ჩემგან პოლიტიკური ნიშნით ვინმეზე დამუქრება აბსოლუტურად გამორიცხულია. ამას რეზო ნაკაშიძეც დაადასტურებს. თემურ ბერიძესთან სულ სხვა მიზეზის შენიშნვა მქონდა. იგი რაიონის ცენტრში ნასვამ მდგომარეობაში იყო და, როგორც თანამდებობის პირს, მითითება მივეცი - ეს საჯარო მოხელისათვის შეუფერებელი საქციელია."**

## კახა გეწაძეს რუსეთის საელჩომ ვიზა არ მისცა

საქართველოს პარლამენტის წევრს კახა გეწაძეს რუსეთის საელჩომ ვიზის გაცემაზე უარი განუცხადა. ამის შესახებ საქართველოში რუსეთის საელჩომ პარლამენტარ კახა გეწაძეს გუშინ აცნობა.

კახა გეწაძე, რომელიც ამავდროულად, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტია, მოსკოვში 25 აპრილს დაგეგმილ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებთან ერთად მიემგზავრებოდა. გეწაძის განცხადებით, რუსეთის საელჩოში მას პირად საუბარში განუცხადეს: არსებობს გარკვეული არაოფიციალური ბრძანება, რომლის მიხედვით კახა გეწაძეზე, ვინაიდან იგი მინსკის მოვლენებში მონაწილეობდა და მინსკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ იყო დაკავებული, რუსეთის ვიზა არ გაიცემა.

მისივე თქმით, საქართველოს დელეგაციას, რომელსაც კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი ხელმძღვანელობს, 30-მდე წევრია, თუმცა რუსეთის ვიზა მხოლოდ მან ვერ მიიღო.

*ინტერპრესნიუსი*

## ინტერესის დემონსტრირება და საუბრები დემოკრატიაზე

პირველი გვერდიდან

გერმანიის ლიდერს ამ მიზნის განხორციელების დაწყება უკვე მომავალი წლიდან შეეძლება. 2007 წლის 1 იანვრიდან სწორედ გერმანია გახდება ევროკავშირის მორიგი თავმჯდომარე-ქვეყანა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიას და, კერძოდ, საქართველოს ევროკავშირის არც ამჟამინდელი (ავსტრია) და მომავალი (ფინეთი) თავმჯდომარეები აკლებენ ყურადღებას. მიმდინარე კვირაში საქართველოს ჯერ ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვია და ევროინტეგრაციის საშურ საქმეში ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას დახმარება აღუთქვა, ხოლო შემდეგ ევროკავშირის "ტროიკა" ჩამოვიდა ქვეყნის პირველ პირებთან მოლაპარაკებების გასამართად.



*საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ "ტროიკა" თბილისში ჩამოსვლამდეც იყო ინფორმირებული.*

ავსტრიის, ფინეთის, ევროკომისიის წარმომადგენლებისა და რეგიონში ევროპული გაერთიანების სპეციალური წარმომადგენლისგან შემდგარი დელეგაცია საგარეო უწყებისა და მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს ორი დღის მანძილზე მართავდა. "ტროიკა" შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრსაც, რის შემდეგაც ოპოზიციასთანაც მოახერხა შეხვედრა.

თბილისში სტუმრად მყოფი, ევროკავშირის წარმომადგენლები ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს გუშინ შეხვდნენ. დავით გამყრელიძის თქმით, "ტროიკის" წევრებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლების უკანონო ქმედებების შესახებ. კერძოდ, საუბარი შეეხო სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გარემოებებს, საარჩევნო კანონმდებლობის არადემოკრატიულობას, ბიზნესის წინაშე არსებულ პრობლემებს და სხვა.

**"ხელისუფლება საქართველოში ბელორუსიისკენ გზას დაადგა და მალე აქ ლუკაშენკოს რეჟიმს მივიღებთ,"** - ჩივის გამყრელიძე. იგი მოითხოვს, რომ საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში, რომელიც, სავარაუდოდ, მაისში დამტკიცდება, ევროკავშირის მხრიდან სწორედ ზემოთ აღნიშნულ თემატიკაზე გამახვილდეს ყურადღება.

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი იმედოვნებს, რომ "ტროიკა" აუცილებლად მოახდენს ზეწოლას საქართველოს ხელისუფლებაზე და ამით მდგომარეობა უკეთესობისკენ ნაწილობრივ მაინც შეიცვლება. **"ერთადერთი ძალა, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ანგარიშს უწევს, საერთაშორისო ორგანიზაციებია. ხელისუფლებას ჰქონდა მცდელობა, რომ ყურადღება ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურის საკითხებზე გადაეტანა და საქმე ისე წარმოეჩინა, თითქოს, დემოკრატიის მხრივ ქვეყანაში ყველაფერი რიგზეა. ჩვენ "ტროიკის" წევრებს გავუმყარეთ რწმენა, რომ საქართველოს დახმარება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ სფეროში სჭირდება,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას დავით უსუფაშვილმა.

როგორც ირკვევა, საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ "ტროიკა" თბილისში ჩამოსვლამდეც იყო ინფორმირებული. დელეგაციის ხელმძღვანელის, ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის მარტინ ვინკლერის თქმით, საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები პენიტენციურ სისტემაში, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ფინანსური ინფრასტრუქტურისა და ინვესტიციებისთვის უკეთესი პირობების შექმნის თვალსაზრისით. თუმცა, ვინკლერი იქვე შენიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა (დელეგაციის წევრები 20 აპრილს პრემიერ-მინისტრს და საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდნენ) აღიარებს თავის სუსტ მხარეებს და, ამიტომ, ევროკავშირი მზად არის, დაეხმაროს საქართველოს.

**"ჩვენი ვიზიტით სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი ევროკავშირის ინტერესის დემონსტრირება გვსურდა. ჩვენი მთავარი გზავნილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრებზე საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობებისა და ღირებულებების გაზიარების აუცილებლობა იყო,"** - განაცხადა მარტინ ვინკლერმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისივე თქმით, ევროკავშირის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს ენერგეტიკა წარმოადგენს. ვინკლერი მიიჩნევს, რომ უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი ენერგოუსაფრთხოების სისტემა, რაც ენერგიის მოწოდების ალტერნატიული მარშრუტების შექმნას უზრუნველყოფს. ქართული ღვინის პრობლემებზე საუბრისას კი მან განაცხადა, რომ ევროკავშირის ბაზარზე ქართულ ღვინოს კარგი პერსპექტივები გააჩნია, თუმცა ბაზრის მოსაპოვებლად შესაბამისმა უწყებებმა მუშაობა უნდა გააუმჯობესონ.

საქართველოში ვიზიტის დასრულების შემდეგ, ევროკავშირის "ტროიკა" გუშინ ბაქოში გაემგზავრა.

*24 საათი*

## პრეზიდენტის ტრაქტორები - დაზარალებულ კახეთს

*საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ კიდევ ერთხელ გააკეთა კომენტარი ქართული ღვინის რეალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემაზე და განაცხადა, რომ ამ "გაჭირვების" ფონზე, როდესაც რუსეთმა ღვინის იმპორტი აკრძალა, "ქართული მეღვინეობა კიდევ უფრო გაძლიერდება". გუშინ წეროვანში, ბელარუსიდან შემოყვანილი ტრაქტორების პრეზენტაციას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო.*



*"ქართული მეღვინეობა კიდევ უფრო გაძლიერდება" - აცხადებს პრეზიდენტი.*

პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, "ნაციონალური პროგრამით" შემოსული პირველი 150 ტრაქტორი კახეთის რეგიონს გადაეცემა, რადგან სწორედ კახეთს მიადგება ყველაზე დიდი ზიანი რუსეთში ღვინის ემბარგოს შედეგად.

**"სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიიღო დავალება, რომ აღნიშნული ტრაქტორები სწორად განაწილდეს, გაიხსნას მომსახურების ცენტრები და ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს. ერთადერთი, რასაც ჩვენ ვერ გავაკეთებთ, ეს დიზელის ფასების გაიაფებაა, რადგან აღნიშნულ ფასებს მსოფლიო ბაზარი ადგენს. მინდა, რომ საქართველოში ტრაქტორების რაოდენობა უახლოეს წლებში, მინიმუმ, გაორმაგდეს. ასევე, ჩვენ უნდა მოვახერხოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაორმაგება,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, ხელისუფლება მეღვინეებსა და მევენახეებს ბოლო დროს წარმოშობილი სიძნელეების გადალახვაში დაეხმარება. **"ზოგიერთმა გადაწყვიტა, რომ საქართველოში ვენახი უნდა ამოიძირკვოს, მაგრამ ეს თვითონ შაჰ-აბასმაც ვერ გააკეთა. არ არსებობს პრობლემა, რომელსაც ვერ დავძლევთ და არ არსებობს ბაზარი, რომელსაც ვერ მოვიპოვებთ**, - აღნიშნა პრეზიდენტმა და დასძინა, - **ჩვენს მევენახეობას, მეღვინეობას არა მხოლოდ გადავარჩენთ, ამ გაჭირვების გამო, გავაძლიერებთ უახლოეს წლებში. დაგვჭირდება დრო... მთავარია, არ შეგვეშინდეს."**

პრეზიდენტი კახელ გლეხებს ვენახის უფასო ნერგებსა და უფასო კონსულტაციებს დაჰპირდა. მისივე თქმით, უახლოეს პერიოდში მთელი საქართველოს მასშტაბით სარწყავი არხების აღდგენა დაიწყება.

*24 საათი*

## მოკლედ

### ოსური მხარე ეუთოს მისიის მუშაობით უკმაყოფილოა

სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელმძღვანელობა ეუთოს მისიას საქართველოში მოვლენების არაობიექტურად გაშუქებაში ადანაშაულებს და მისიის მუშაობას ქართული სპეცსამსახურების მუშაობას ადარებს. გუშინ, კოკოითის მთავრობის წარმომადგენელმა, ბორის ჩოჩიევმა ეუთოს მისიის თავმჯდომარეს კარლ გიუხტს ვენაში წერილი გაუგზავნა.

წერილში ჩოჩიევი საქართველოში მოქმედ ეუთოს მისიას ინფორმაციის დამახინჯებაში და მიკერძოებაში სდებს ბრალს. "გვაშფოთებს ის ფაქტი, რომ საქართველოს მიერ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვის ფაქტებს ეუთოს მისია თითქოს ვერ ამჩნევს, ისევე, როგორც ვერ ამჩნევს ოსური მხარის მშვიდობისკენ გადადგმულ ნაბიჯებს.

საქართველო სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ გამალებით იარაღდება. მაშინ, როდესაც ჩვენ, შეთანხმებისამებრ, ჩვენი შეიარაღებული ძალები 50 პროცენტით შევამცირეთ," - წერს ჩოჩიევი. ამის შემდეგ ჩოჩიევი სამხრეთ ოსეთში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს საკუთარ ინტერპრეტაციას აძლევს და ყოველივეში, რა თქმა უნდა, ქართულ მხარეს ადანაშაულებს.

"სამხრეთ ოსეთის მეზობლად, ქალაქ გორში 260-ადგილიანი მორგი შენდება. ეს მშვიდობიან პიროებებში მცხოვრები პატარა ქალაქისთვის სრულიად ზედმეტია. საქართველომ მშვიდობის უზრუნველყოფის შერეული საკონტროლო ძალების დაქვემდებარებიდან თავისი ჯარები თითქმის გაიყვანა. ქართველები ოსური მოსახლეობის დამცირებასა და დაშინებას, ჩვეულებისამებრ, აგრძელებენ.

მშვიდობის უზრუნველყოფის შერეული სამხედრო ძალებისა და ეუთოს მისიის მიერ ამ ფაქტების აღწერის გაცნობისას უამრავ შეუსაბამობას ვაწყდებით.

ეუთოს მისიის ანგარიშებში ფაქტები დამახინჯებულია, ბევრი საერთოდ არ არის შეტანილი," - აგრძელებს ჩოჩიევი და იმედს გამოთქვამს, რომ ამ წერილის შემდეგ, ეუთოს მისია აღნიშნულ საკითხს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ჯორჯ ბუშის რეიტინგი ეცემა

აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის რეიტინგი რეკორდულად დაეცა და 33 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული სოციოლოგიური გამოკითხვა ტელეკომპანია "ფოქსის" დაკვეთით ჩატარდა და დადასტურდა, რომ ბუშის რეიტინგი ბოლო ორი კვირის განმავლობაში 36 პროცენტიდან 33 პროცენტამდე დაეცა. მარტის შუა რიცხვებში ბუშის რეიტინგი 39 პროცენტს შეადგენდა, ორი წლის წინ კი ანალოგიური მაჩვენებელი 50 პროცენტი იყო. სატელეფონო გამოკითხვა 18-19 აპრილს ჩატარდა და მასში მონაწილეობა სულ 900-მა რესპონდენტმა მიიღო. **მედიანიუსი**

### საქართველოში ბენზინი გაძვირდა

უკანასკნელი 20 დღის განმავლობაში საქართველოში საწვავის ფასის მატება შეინიშნება. როგორც ბენზინის, ასევე დიზელის საწვავზე ღირებულება 0.20-0.25 თეთრით გაიზარდა. "ჩვენი ინფორმაციით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში საწვავის იმპორტი შემცირებულია. ამის მიზეზი მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის მატებაა. საწვავი გაზრდილი ფასით რომ შემოიტანონ, ექსპორტიორები დიდი რისკის ქვეშ დგანან. შესაძლოა, უახლოეს მომავალში ფასმა დაიწიოს და ექსპორტიორმა კომპანიებმა დიდი ზარალი განიცადონ. სავარაუდოდ., საწვავს მაინც გაზრდილი ფასებით შემოიტანენ. ვვარაუდობთ, რომ "რეგულარის" მარკის ბენზინის ფასი 1.60 ლარს მიაღწევს," - უთხრა "მედიანიუსს" ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა.

ამჟამად აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ბენზინის ფასი 1.40-1.45 ლარის ფარგლებში მერყეობს. ევროპიდან იმპორტირებული "რეგულარის" ტიპის ბენზინი - 1.55 ლარი, "პრემიუმის" ტიპის საწვავი 1.65, ხოლო "სუპერის" ტიპის - 1.70-1.75 ლარი ღირს. **მედიანიუსი**

### დიდი ბრიტანეთის დედოფალი 80 წლის გახდა

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე გუშინ 80 წლის გახდა. მონარქმა დაბადების დღე ნათესავებისა და ახლობლების წრეში აღნიშნა. როგორც "ბი-ბი-სი" იუწყება, დედოფლის იუბილე - საერთოეროვნული ზეიმის დაწყება 21 ქვემეხიდან სალუტით აღინიშნა. შემდეგ დედოფალმა მეუღლესთან, პრინც ფილიპთან ერთად, ვინძორში გაისეირნა, სადაც ელისაბედ მეორესთვის დაბადების დღის მისალოცად ათასობით ადამიანი ჩავიდა. ბუკინგემის სასახლეში ჟურნალისტებს აცნობეს, რომ მოქმედმა მონარქმა 20 ათასი მისალოცი ღია ბარათი და 17 ათასი ელექტრონული წერილი მიიღო. იუბილარმა წერილობითი მილოცვისთვის ყველას მადლობა გადაუხადა. საღამოს დედოფალი და სამეფო ოჯახის წევრები საზეიმო ვახშმისთვის კიუ-გარდენის ბოტანიკურ ბაღში მდებარე ციხე-სიმაგრეში შეიკრიბნენ. ელისაბედ მეორე ტახტზე მეფე გეორგ მეექვსეს გარდაცვალების შემდეგ, 1952 წელს ავიდა. მაშინ ის 25 წლის იყო. მართალია, დედოფლის ნამდვილი დაბადების დღე 21 აპრილია, მაგრამ ძველი ტრადიციისამებრ, ოფიციალურად მისი დაბადების დღე 17 ივნისს აღინიშნება. **ინტერპრესნიუსი**

## ქმედება და უმოქმედობა - ორივე კორუფციაა

*არასამთავრობო ორგანიზაციამ "საერთაშორისო გამჭვირვალობა", გასულ წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, დაადგინა, რომ კორუფციის გავრცელებისა და მასთან ბრძოლის დონით საქართველო ისეთი ქვეყნების რიგში დგას, როგორიცაა კამბოჯა, ყირგიზეთი, კონგო და პაპუა ახალი გვინეა. კორუფციის მასშტაბების შესწავლითა და გამოვლენით, ოღონდ გაცილებით ვიწრო არეალში - კერძოდ, ქუთაისის სინამდვილეში, "ახალგაზრდების დემოკრატიული კლუბიც" დაინტერესდა.*

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

სოციოლოგიური კვლევა, რომელიც 250 რესპონდენტის პირისპირ გამოკითხვის მეთოდით ჩატარდა, მიზნად ისახავდა ქუთაისში კორუფციის გავრცელების დონის დადგენას, ყველაზე კორუმპირებული სახელმწიფო უწყების გამოვლენასა და კორუფციის, როგორც სოციალური მოვლენის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების სოციოლოგიურ შესწავლას.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (58 პროცენტი) ქუთაისში ყველაზე კორუმპირებულ სახელისუფლებო სტრუქტურად პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაცია დაასახელა, რასაც ვიცე-გუბერნატორმა გია თევდორაძემ ასეთი ახსნა მოუძებნა: **"იმის გამო, რომ სამხარეო ადმინისტრაცია ხელისუფლებასთან ასოცირებული პირველი ინსტიტუტია მხარეში, ქვეცნობიერი აგრესია ჩვენსკენ მოდის. არსებობს სკეპტიციზმი ხელისუფლებასთან მიმართებაში და ეს არახალია. შეუძლებელია ამ სინდრომის ერთ ან ორ წელში აღმოფხვრა."**

ხალხის აზრზე საკუთარი აზრის გამოთქმაზე რატომღაც უარი განაცხადა თავად პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ ქაჯაიამ. არადა, მისი შეფასებები გაცილებით საინტერესო იქნებოდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამხარეო უწყების მაღალჩინოსნად მუშაობის თითქმის 15-წლიან პერიოდში, დღევანდელობასთან შედარების თვალსაზრისით, მას საკუთარი თვალით ნანახი ბევრი მნიშვნელოვანი მაგალითის გახსენება შეეძლო, თუნდაც კორუფციის კუთხით. სამხარეო ადმინისტრაციის "უმწიკვლო რეპუტაციის" დასადასტურებლად ვიცე-გუბერნატორი გიგა შუშანია გაისარჯა: **"სამხარეო ადმინისტრაციას მხოლოდ ხელფასი და აპარატის ხარჯები გააჩნია ცენტრალური ბიუჯეტიდან და, შესაბამისად, ჩვენ თანხებთან ურთიერთობა არა გვაქვს. ეს კვლევა ადეკვატურად არ ასახავს რეალობას. გამოკითხული იყო 250 ადამიანი, რომელთაგანაც 50 პროცენტს, თურმე, იშვიათად ჰქონია შეხება კორუფციასთან, 125 ადამიანი კი არ ასახავს 140-ათასიანი ქალაქის მოსახლეობის განწყობას. ასევე, მინდა გითხრათ, რომ "საქართველოს გაეროს განვითარების პროგრამისა" და სხვა კვლევების შედეგად, იმერეთში სამხარეო ადმინისტრაცია დასახელებული იყო, როგორც სახელმწიფო უწყება, რომელიც დიდი ნდობით სარგებლობს მოსახლეობაში. ძალიან ბევრი მოქალაქე სწორედ ჩვენ მოგვმართავს. ასევე, გატარებული იქნა ძალიან ბევრი ღონისძიება ანტიკორუფციული მიმართულებით, რომელსაც უშუალოდ მე ვკურირებდი. კერძოდ, ჩვენ ავიღეთ ვალდებულება, რომ არაუგვიანეს მომავალი სამუშაო დღისა უპრობლემოდ გაიცეს საჯარო ინფორმაცია,"** - ამბობს გიგა შუშანია.

სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად, კორუმპირებულ სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის მეორე ადგილი (22 პროცენტი) ქუთაისის მერიამ მოიპოვა, რასაც მერის მოვალეობის შემსრულებელი გიგა ჩოგოვაძე ასე ხსნის: **"მაგ შედეგებზე კომენტარს არ ვაკეთებ. ერთ რამეს გეტყვით: ჩემს გარდა, ამ შენობაში ვერავისზე დავდებ თავს. ვეცდები კორუფციული მექნიზმები აღმოვფხვრა, მაგრამ ვინ რას აკეთებს, ამაზე კარის ჭუჭრუტანიდან ყურებას ვერავის დავუწყებ. ეს სხვა ორგანოების საქმეა, კეთილი ინებონ და აღკვეთონ."**

კორუმპირებულთა შორის მესამე ადგილი წილად ხვდა ქუთაისის საკრებულოს. **"საერთოდ, რატომ დასახელდა საკრებულო, არ ვიცი. ჩემი მოსვლის დღიდან საკრებულო სამეურნეო საქმეებში არ ჩარეულა. საკრებულოს ფულთან არანაირი შეხება არა აქვს. ეტყობა, მათ, ვინც საკრებულო ამ გამოკითხვაში თუნდაც მესამე ადგილზე დაასახელა, არ იციან საკრებულოს ფუნქციები. როცა ჩვენ მივიღეთ 2004, 2005 და 2006 წლების ბიუჯეტები, მე მოვუწოდე პრესას, რომ ჩაეტარებინათ ჟურნალისტური გამოძიებები და გამოეაშკარავებინათ ყველა ის დეპუტატი, რომელსაც რაიმე ინტერესი ჰქონდა ან აქვს ბიუჯეტში. მე აქამდე არ მინახავს მსგავსი შინაარსის სტატია რომელიმე გაზეთში,"** - ამბობს საკრებულოს თავმჯდომარე გელა ქათამაძე.

ერთი სიტყვით, სამხარეო ადმინისტრაციისა და საკრებულოს მთავარი არგუმენტი ის არის, რომ მათ უწყებებს ფულთან შეხება არა აქვთ და, შესაბამისად, კორუფციულ გარიგებებში რაიმე ქმედების ჩადენა არ შეუძლიათ. მაგრამ, როგორც გაეროს გენერალური ასამბლეის ერთ-ერთ სესიაზე განიმარტა, "კორუფცია არის თანამდებობრივი უფლებამოსილების დაცვით ან დარღვევით, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი ქმედება ან უმოქმედობა". და კიდევ ერთი: დასახელებული კორუმპირებული სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებში კვლევის შედეგებს რატომღაც ერთმანეთის გამოქომაგების სურვილიც კი არ გამოუწვევია, იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ უწყებებს ერთმანეთის მონიტორინგს კანონი ავალდებულებს.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ევროპის პასუხი რუსულ შანტაჟზე

პირველი გვერდიდან

**"არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ახალ ბაზრებზე, ისეთებზე, როგორიცაა ჩრდილოეთ ამერიკა და ჩინეთი. გაზის მწარმოებლებმა ცენტრალურ აზიაშიც ასევე მიაქციეს ყურადღება ჩინეთის ბაზარს. ეს შემთხვევითი არ არის: კონკურენტული ბრძოლა ენერგომატარებლებისათვის მძაფრდება,"** - ნათქვამია "გაზპრომის" განცხადებაში.

რუსული გაზის მონოპოლისტი ევროპელებთან დადებული კონტრაქტების პირობებს შეასრულებს, მაგრამ მომავალში ამ ქვეყნებთან ურთიერთობას იმის მიხედვით განიხილავს, თუ რამდენად იქნება გათვალისწინებული მისი დამკვიდრების სურვილი გაზის განაწილების ბაზარზე.

ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო გამოთქვამს მოსაზრებას, რომ რუსულ გაზზე ევროპის დამოკიდებულების შემცირებას ატომური ენერგეტიკის განვითარება შეუწყობს ხელს. დღეისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოხმარების მეოთხედს რუსეთიდან მოწოდებული გაზი შეადგენს, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში რუსულ გაზზე მოხმარების წილი 80 პროცენტამდე ადის.

ევროპის ახალი ენერგეტიკული სტრატეგია, რომელიც მარტის ბოლოს იქნა წარდგენილი, "გაზპრომისა" და ევროკავშირის ახლანდელი ურთიერთობის გარდაუვალ რღვევას გამოიწვევს. ცალკეულ ქვეყნებთან ორმხრივი ხელშეკრულებების ნაცვლად, ევროპა რუსეთს სთავაზობს გაზის მოწოდებას ევროკავშირის საზღვრამდე, შემდეგ კი მისი განაწილება ევროკავშირის გაზის კომპანიების პრეროგატივა იქნება. ამ შემთხვევაში ევროკავშირი გაზს ერთსა და იმავე ფასში მიიღებს, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები რუსეთთან ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმების აუცილებლობისაგან გათავისუფლდებიან და, შესაბამისად, პოლიტიკური ნიშნით ფასების მანიპულირებისგან დაცულნი იქნებიან.

რუსეთმა ამ გეგმის სანაცვლოდ კონტრწინადადება შეიმუშავა - რუსეთმა ევროპის შიგნით გაზის განაწილებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, ხოლო სანაცვლოდ ევროპული კომპანიები რუსეთში გაზისა და ნავთობის მოპოვებაში მონაწილეობის საშუალებას მიიღებენ.

ევროპელთა პასუხმა არ დააყოვნა: მას შემდეგ, რაც "გაზპრომმა" ბრიტანული გაზის კომპანია Centrica-ს შეძენის სურვილი გამოთქვა, ამ ქვეყნის მთავრობამ საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა დაიწყო, რომლებიც მთავრობას ამ გარიგების ჩაშლის შესაძლებლობას მისცემს. "გაზპრომი" ასევე არ დაუშვეს საფრანგეთისა და სხვა დასავლეთევროპული ქვეყნების ბაზრებზეც.

თუმცა, კრემლი შეტევას განაგრძობს და საკუთარი ენერგეტიკული სტრატეგია ივლისში სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ "დიდი რვიანის" სამიტზე უნდა წარმოადგინოს. ევროპელ მიმომხილველთა აზრით, რუსეთი ევროპულ ქვეყნებთან გაზის ერთობლივი კონცერნის შექმნას და ტრანზიტის აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოების გვერდის ავლით განხორციელებას აპირებს. ამით მოსკოვი, "გაზპრომის" მეშვეობით, დასავლეთ ევროპაზე საკუთარი გავლენის გაზრდას და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების მისი უშუალო ზეგავლენის ქვეშ მოქცევას აპირებს. ევროპელები ამ ყველაფერს შესანიშნავად ხვდებიან, თუმცა მოსკოვს შანტაჟის გზით მათი "დარწმუნების" იმედი აქვს.

# აშკარა "დემარში" და "პოლიტიზების" მცდელობა

## საქართველო რუსეთის მთავარ სანიტარს დსთ-ს საგარეო საქმეთა მინისტრებთან უჩივის

21 აპრილს მოსკოვში ჩატარდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მორიგი სხდომა. შეხვედრის ფორმატის მიუხედავად, საქართველოს მხრიდან საბჭოს სხდომის მუშაობაში, საგარეო საქმეთა მინისტრის ნაცვლად, მისმა მოადგილემ მერაბ ანთაძემ მიიღო მონაწილეობა.

გუშინდელ შეხვედრაზე დღის წესრიგის მთავარ თემად ყაზანის სამიტზე მიღწეულ შეთანხმებათა შესრულების საკითხების განხილვა იყო შეტანილი და დსთ-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მისნტრებს მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზე უნდა ემსჯელათ. თუმცა, ქართულმა მხარემ ყურადღება ბოლო დროს რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებულ პოლიტიკურ ზეწოლაზე გაამახვილა.



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი გუშინ გაღიზიანებას არ მალავდა.

საქართველოს მხარემ გააკეთა სპეციალური განცხადება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში წარმოებული ჩვეულებრივი და შუშხუნა ღვინოების, ღვინომასალების, ბრენდის, მინერალური წყლების, ციტრუსების, ხილ-ბოსტნეულის, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსეთში შეტანაზე აკრძალვის დაწესებასთან დაკავშირებით. **"რუსეთის ნაბიჯი ეწინააღმდეგება თანამეგობრობის ქვეყნების მრავალმხრივი და დაბალანსებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობის პრინციპებს,"** - აღნიშნა მერაბ ანთაძემ.

გარდა ამისა, საქართველოს მხარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხს განსახილველად შეიტანს დსთ-ს ეკონომიკური საბჭოს რიგგარეშე, შემდეგ კი თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომებზე და დსთ-ს სხვა ქვეყნებსაც მოუწოდა, ამ წინადადებას მხარი დაუჭირონ.

ქართული დელეგაციის განცხადებამ სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია შეხვედრის ორგანიზატორთა შორის. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი გუშინ გაღიზიანებას არ მალავდა. **"ქართული მხარე რუსეთში ქართული და მოლდოვური ღვინის მიწოდების საკითხის პოლიტიზებას ახდენს, რაც მიზანშეწონილი არ არის,"** - განაცხადა სხდომის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.

მისი თქმით, ამ პრობლემის პოლიტიკურ ჭრილში განხილვა საჭირო არ არის. **"ღვინის მოწოდების განახლების შესახებ გადაწყვეტილება შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გზით უნდა იქნას მიღებული,"** - აღნიშნა მინისტრმა. ლავროვი მიიჩნევს, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა ვერ დააჩქარებს პრობლემის მოგვარებას, რომელიც მხოლოდ პროფესიონალურ დონეზე გამართული დიალოგის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრის დაწყებამდე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებას, არ ჩასულიყო მოსკოვში, კიდევ უფრო კატეგორიულად გამოეხმაურა რუსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი კონსტანტინ ზატულინი. დუმის დეპუტატმა ეს გადაწყვეტილება შეაფასა, როგორც რუსეთის წინააღმდეგ "ღია და აშკარა დემარში." **"სააკაშვილსა და მის "პატრიოტებს" უნდა ესმოდეთ, რომ დსთ-ს სტრუქტურების იგნორირება შედეგად რუსეთიდან ქართველების გასახლებას მოიტანს,"** - აღნიშნა ზატულინმა.

# შანჰაის ორგანიზაცია ანტიამერიკულად არ არის განწყობილი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ჰუ ძინტაომ თეთრ სახლში ჯორჯ ბუშთან შეხვედრის დროს, აშშ-ის პრეზიდენტი დაარწმუნა, რომ შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაცია ანტიამერიკული ორგანიზაცია არ არის.

როგორც ჟურნალისტებს ვაშინგტონში აშშ-ის პრეზიდენტთან არსებული უშიშროების საბჭოს დირექტორმა დენის უაილდერმა აცნობა, ჰუ ძინტაოსთან შეხვედრისას ბუში შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მიზნებით დაინტერესდა, რომელშიც რუსეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი შედიან.

"პრეზიდენტმა ჰუმ პრეზიდენტი (ბუში) იმაში დაარწმუნა, რომ შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაცია ანტიამერიკული ორგანიზაცია არ არის და რომ მისი მიზნები უმეტესად ეკონომიკურ მხარესთან და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთანაა დაკავშირებული", - თქვა უაილდერმა.

გარდა ამისა, ბუშმა სინანული გამოთქვა ხუთშაბათს, დილით, თეთრ სახლში ჰუ ძინტაოს გამოსვლის დროს მომხდარი ინციდენტის გამო. ტელეკამერის წინ მოულოდნელად გამოჩნდა ჩინელი ქალი, რომელმაც ყვირილით მიმართა ბუშს, რომ აიძულოს ჩინეთის ხელმძღვანელი შეწყვიტოს ამ ქვეყანაში აკრძალული რელიგიური სექტის "ფალუნგუნის" დევნა.

უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მხოლოდ 2-3 წუთის შემდეგ მოახერხეს თეთრი სახლის ტერიტორიიდან ქალის გაყვანა. როგორც გაირკვა, 47 წლის ვენი ვონგი "ფალუნგუნის" მხარდამჭერ ერთ-ერთ ინგლისურენოვან გამოცემაში მუშაობს. მას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში ადანაშაულებენ.

# ევროკავშირის დაფინანსება უშედეგოდ იხარჯებოდა

ევროკავშირის მიერ "ტასის"-ის პროგრამის ფარგლებში, დსთ-ს ქვეყნებში ეკონომიკური და სოციალური რეფორმებისთვის გამოყოფილი სახსრების უმეტესი ნაწილი არადანიშნულებისამებრ დაიხარჯა.

იმის გამო, რომ 7 მილიარდი ევროდან 5 მილიარდი, ფაქტობრივად, მოპარულია, ევროპარლამენტის დეპუტატებმა პროგრამის შეწყვეტა მოითხოვეს.

"ტასის"-ის ფარგლებში პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები ევროკავშირისგან ყოველწლიურად 500-500 მილიონ ევროს იღებდნენ. თუმცა, გუშინ ევროპის აუდიტორულმა კომისიამ გააკეთა დასკვნა, რომ მთელი ამ თანხების გამოყენების ეფექტიანობა "უაღრესად დაბალი" იყო.

კერძოდ, აუდიტორებმა რუსეთში "ტასის"-ის მიერ დაფინანსებული 29 პროექტი გამოიკვლიეს. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ცხრა მათგანი პასუხობს პროგრამის მოთხოვნებს და აქედან ხუთმა დაიწყო რეალურად მუშაობა.

"ეს ევროკავშირისთვის სერიოზული სკანდალია. რატომ არ გაკეთდა არაფერი თხუთმეტი წლის განმავლობაში. ჩვენ მილიარდები დავკარგეთ და "ტასის"-ის დაფინანსება დაუყოვნებლივ უნდა შევწყვიტოთ," - განაცხადა ევროპარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის წევრმა ჰანს-პიტერ მარტინმა.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის ტექნიკური ხელშეწყობის პროგრამა "ტასის"-ი ევროკავშირის ინიციატივით შეიქმნა. მისი მიზანია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკური, სოციალური რეფორმებისა და დემოკრატიული ცვლილებების ხელშეწყობა. 1994 წელს პროგრამაში მონღოლეთიც ჩართეს.

*ინტერპრესნიუსი*

# მოსკოვში "ბორჯომის" მორიგი პარტიის რეალიზაცია შეაჩერეს

რუსეთის დედაქალაქში "ბორჯომის" მორიგი პარტიის რეალიზაცია შეაჩერეს. რუსეთის მთავარი სანიტარი აცხადებს, რომ ყველა საფუძველი არსებობს იმისთვის, რათა რუსეთი ამ მინერალური წყლის ქვეყნის ტერიტორიაზე შეტანის აკრძალვისთვის მოემზადოს. ონიშჩენკოს თქმით, "მინერალური წყლის წარმოებისა და კონტროლის გამკაცრების შესახებ" დადგენილების მიღების დღიდან "ბორჯომის" რეალიზაციის დროს არაერთი სერიოზული დარღვევა დაფიქსირდა. რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის ინფორმაციით, სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევის გამო ს\ს "ლიდიანას" საწყობიდან 15 872 ლიტრი "ბორჯომის" რეალიზაცია შეაჩერეს. *ჯი-ეიჩ-ენი*

# ირანს იარაღის შეძენა სხვაგან არ მოუწევს

ირანის "ბირთვული დოსიე", დიდი ხანია, საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და მსჯელობის საგანი გახდა. ოფიციალური თეირანის ბირთვული ამბიციები ყურადღების ცენტრში მოექცა საერთაშორისო კონფერენციაზე "გლობალური უსაფრთხოება და "დიდი რვიანი"; გამოწვევები და ინტერესები სანკტ-პეტერბურგის სამიტის მოლოდინში." და როგორც ირანის ოფიციალურმა წარმომადგენელმა საერთაშორისო ორგანიზაციებში ალი ასგარ სოლტანიემ აღნიშნა, ირანის "ბირთვული დოსიე" არ უნდა განიხილებოდეს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიღმა.

**"ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო მოძებნის ამ პრობლემის გადაჭრის გზას ტექნოლოგიური და არა პოლიტიკური თვალსაზრისით; ეს კი მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკებების გზით მოხდება,"** - განაცხადა ალი ასგარ სოლტანიემ.

ირანის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, აშშ-ს განზრახვა, გადასცეს "ბირთვული დოსიე" გაერო-ს უშიშროების საბჭოს, მცდარი ნაბიჯია, რაც მდგომარეობას არ შეამსუბუქებს. აშშ-სგან განსხვავებით, ირანის დამოკიდებულება რუსეთისა და ჩინეთისადმი გაცილებით ლოიალურია. როგორც ცნობილია, "ბირთვულ რალიში" ოფიციალური მოსკოვი და პეკინი თეირანისადმი დამოკიდებულებაში უფრო მეგობრულნი ჩანან, ვიდრე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები და აშშ. თუმცა, ამის მიუხედავად, თეირანი ოფიციალურად მზადაა, გააგრძელოს თანამშრომლობა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან.

არანაკლებ საყურადღებოა ირანის დამოკიდებულება შეიარაღებასთან. როგორც ვაჭრობის მინისტრმა მასუდ მირ-ყაზემიმ მინსკში ვიზიტისას აღნიშნა, ირანი თვითკმარი სახელმწიფოა და საჭიროების შემთხვევაში მას იარაღის სხვა სახელმწიფოსაგან შეძენა არ დასჭირდება. მინსკში გამართული შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტების კითხვა, სწორედ, შეიარაღებას შეეხებოდა - კერძოდ, აპირებს თუ არა ირანი, საზღვარგარეთ შეიძინოს C-300 ტიპის სარაკეტო საზენიტო კომპლექსი.

**"დღის წესრიგში ამჯერად ბელარუსისა და ირანის ურთიერთობების განვითარება დგას და ამ მიმართულებით ჩვენი მუშაობა მხოლოდ სამშვიდობო ხასიათისაა,"** - განაცხადა მასუდ მირ-ყაზემიმ.

რაც შეეხება ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესების თემას, ვაჭრობის მინისტრმა საკმაოდ ინერტული დამოკიდებულება გამოამჟღავნა.

"ეს თემა ჩვენ ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ აღარ გვაინტერესებს, რადგან მთელი ეს პერიოდი ოფიციალური თეირანი ისედაც თითქმის იზოლაციაში მოქცეული იყო," - თქვა ყაზემიმ.

*24 საათი*

# სააღდგომო

პირველი გვერდიდან

ვიჯექით მე და ბებიაჩემი პატარა სკამებზე და ვუყურებდით გაფხორილი დედლის მოკალათებას. ნეტავ როგორ არიან კვერცხები, ვფიქრობდი მაშინ და ველოდი, როდის გავბედავდი საბუდარში ხელის ჩაყოფას. ბებია სანამ მყავდა, ჩანისკარტების არ მეშინოდა. ვეხვეოდი მის გამხდარ მუხლებს, ლოყას ვადებდი ქვასანაყისსუნიან კალთას და ხელით მივიწევდი ჩემი ამოუცნობი საიდუმლოსაკენ. შევყოფდი ხელს ბუმბულის ქვეშ და ვგრძნობდი მფეთქავი სითბოს დინებას ზევიდან ქვევით, კრუხიდან კვერცხისაკენ, რომელიც შეცურებულ პატარა მტევანს უმალ პულსგამტარ სახსრად აქცევდა. მერე ჩემი გულის ცემაც მიჰქონდა მხარ-იდაყვ-მაჯის გავლით და მე ვხვდებოდი, რატომ უწოდეს მტევნის მუცელს ხელის გული.

- რაო, ბებია, შენ გენაცვალე, - თავზე მადებდა ბებიაჩემი თავის მარჯვენას და მე ვგრძნობდი, როგორ თბებოდნენ წიწილები კვერცხის გულში.

- წიწილა ვარ, ბები! - ავხედავდი ჩემს "კრუხს" და ვიყავით ასე ჩაგულებულები მე, ბებია და ჩვენი მოკრუხებული სამყარო.

მერე, როცა გავიზარდე და ერთბაშად დავობლდი კრუხით, ბებიაჩემით და იმ სამყაროთი, მიწამდე დავღონდი. თანდათან მოვიბუზე და მეშვიდე მალასთან კისერიც მომეღრიცა. იმ მიწათჩაშტერების პერიოდიდან ტალახიანი ფეხსაცმელებით გათელილი საკუთარი ჩრდილის მეტი არაფერი დამამახსოვრდა.

აპრილის ერთ მშვენიერ დილას ეს საუკუნოვანი მოგრეხილობა ძალიან მეტკინა. მიზეზი საკუთარი ცხვირი იყო. იმ დროისათვის წელის არეში უკვე 30 გრადუსიანი კუთხით ვიყავი მომახვილებული და ახლომხედველისთვის იდეალური დისტანციიდან ვაკვირდებოდი ლანჩებისგან დამფრთხალი ჩრდილის ტანჯვას. საცოდავი ზუსტად იმეორებდა უსწორმასწორო რელიეფის სიმახინჯეს - ორმოს სიბნელეშიც ვარდებოდა, მტვრიან ქვებზეც იბრიცებოდა და მყრალ ფუნაზეც მიხოხავდა. ერთადერთი სიწმინდე ხასხასა მწვანე ბალახი იყო, რომელიც მიწასაც აშორებდა და სუფთადაც მიატარებდა, მაგრამ, ციხე შიგნიდან ტყდებაო, და ამ ამაღლებულ ჩრდილს წვეტიანი გრძელი ცხვირით ვჩხვლეტდი. განსაკუთრებით აუტანელი სანახავი იყო, ზედ რომ ვაცემინებდი და გასაბერტყი ფარდაგივით ვარხევდი. ბალახი მილიტინებდა და რა მექნა?

ისღა დამრჩენოდა, ცოტა კიდევ მოვხრილიყავი და სირაქლემასავით ჩამერგო თავი მიწაში, რომ წამება დამთავრებულიყო, მაგრამ ერთმა პატარა გუბურამ ყველაფერი შეცვალა. გვერდი კი ავუარე, მაგრამ ჩემი დაბეჩავებული თანამდევი შავი გროვა ზედ ისე გედივით გასრიალდა, წყლის პირას კიდევ რამდენჯერმე გავიარ-გამოვიარე. კუპრივით ჩრდილი სულ ოქროსფრად ალივლივდა. მივედი, დავიჩოქე და გუბეში ხელი ჩავყავი. მესიამოვნა, თბილი იყო. მერე ამ პატარა ოაზისში მზეც დავინახე, თეთრი ღრუბლებიც და მივხვდი, რომ ის, რაც ბავშვობაში დავკარგე, ვიღაცას ჩემს თავზე დაეკიდებინა. გავიმალე, მაღლა ავიხედე. კრუხი - მზე ღრუბლებზე იჯდა, როგორც კვერცხებზე, და ათბობდა.

ეს იყო მზის ნამდვილი საბუდარი და გადავწყვიტე, სახლში შემეტანა. ავდექი და ბალიშების გამომზეურება დავიწყე. ჩავაბუდებდი შიგ მზეს, დავადებდი ზედ თავს და დილამდე ვიყავი ჩემს ბუდეში. ასე თითქმის ყველაფერი დავიბრუნე, საბუდარიც მქონდა, წიწილაც ვიყავი და მზეც მათბობდა, მაგრამ... ბებიაჩემი?

ჰოდა ახლა იმას ვეძებ, ვინც მზეს აჯენს ზეცაზე.

*ეძღვნება ბუსოს*

29.04.2005

### ბუმბულის აუზი

ასე წავიდა ჩემი ცხოვრება. დღისით ღია სარკმელთან ვიჯექი, ყველაზე დიდ ციურ სხეულს ვუყურებდი და მის სითბოს და სურნელს რაფაზე გამოფენილ ბალიშებში ვაგროვებდი. საღამოს ისევ თავდადებულ ცხოვრებას ვიწყებდი - ბალიშებში ვეფლობოდი და ვფიქრობდი, როგორ მეპოვა ის, ვინც მზეს აჯენდა ზეცაზე. მინდოდა, მომფერებოდა, როგორც ბებია ბავშვობაში.

ერთხელაც სიზმარი ვნახე - ბებიაჩემი იდგა და ხელში ბუმბული ეჭირა, მაჩვენებდა და მიცინოდა. ხმა არ ამოუღია, მაგრამ მივხვდი, რასაც მეუბნებოდა, ამ ბუმბულივით თუ გახდები, იმას განახებ, ვინც შენ გინდაო. გავიღვიძე და ვიცანი, ეს ის თოთო, სუფთა ბუმბული იყო, ბებიაჩემი რომ საქორწილო ბალიშებისთვის გვიგროვებდა მე და ჩემს ძმებს 17, თუ 18 წლის განმავლობაში. ქათამი რომ შეიფრთხიალებდა და თავის თეთრ, ფიფქინა ბუმბულს ბეჭედივით დაასვამდა მიწას იმის დასტურად, მეც ღმერთმა შემქმნაო, ბებიაჩემი აწეული კალთით გამოუდგებოდა, თავისი დედლის საუნჯეს ორი თითით დასწვდებოდა და მარანში გადამალულ ძველ საცერში ინახავდა.

ჩავარდი საგონებელში, აღარც მშიოდა, აღარც მწყუროდა და ერთადერთი სურვილი მქონდა, სულ მზეში ვყოფილიყავი. მერე მოვიფიქრე, მივაჩოჩე ტახტი სარკმელთან, გადავაფარე ხალიჩა, შემოვალაგე ბალიშები და ჩავწექი ბუმბულის აუზში. მალე ჩემი ფანჯრით შემოჭრილი ცის სილურჯე სინათლემ ნელ-ნელა გააბრწყინა და მზეც შემოვიდა. ვგრძნობდი, როგორ ვთბებოდი, როგორ ფუვდებოდა ბალიში და როგორ ვსუნთქავდი მზის ჩაბუმბულებულ სურნელს. შიგნითაც რაღაც მევსებოდა და მიმსუბუქდებოდა. აღარც თირკმელები მტკიოდა და აღაც სახსრები მამტვრევდა.

ვერ ვიტყვი, რამდენი დღე ვიყავი ასე. ღამეები ძალიან მიჭირდა, მციოდა და ტკივილიც მიბრუნდებოდა, თუმცა ისეთი ძალით აღარ. თითქოს იმ სურნელს უფრთხისო, ბალიშები რომ გათენებამდე ინარჩუნებდნენ და მეც განუწყვეტლივ ვსუნთქავდი და ვსუნთქავდი.

დილის სინათლე ფრთხილად აღვიძებდა ჩემში იმ რაღაც სავსეს, მსუბუქს და ასე ფხიზელი შევდიოდი შუადღის მზეში. ისევ მეწყებოდა მზიური ანესთეზია, ოფლად ვიღვრებოდი და ვგრძნობდი, როგორ გამოდიოდა ჩემგან სველი სიმყრალე, როგორ ვდნებოდი და ვხედავდი, როგორ მითეთრდებოდა ბანალი, თუ... ბუმბული.

შეშინებაც ვერ მოვასწარი, რომ ბებიაჩემი მოვიდა და მომეფერა. ეს აღარ იყო ის დაკოჟრილი ხელი, ბავშვობაში რომ მისვამდა თავზე; არც ის მომღიმარი სახე, ნაოჭი რომ უშლიდა ხელს და არც ის დასვრილი კალთა, მის სურნელს რომ ვერ ვცილდებოდი. ეს იყო ყმაწვილი ქალი ძველი ფოტოდან, რომელმაც თავის დროზე გადარია კიდეც ქვეყნის ამკლები მაუზერიანი ბაბუაჩემი. მუხლებზე მოვეხვიე, მეშინოდა, არ გამქრალიყო და მაამებელი ხმაც გავიგონე, წამოდი ჩემთან, ბებია გენაცვალოს, წაგიყვან იმასთან, ვინც მზეს აჯენს ზეცაზეო.

სიზმარი მეგონა და ის იყო, გული უნდა დამწყვეტოდა, რომ უკან მიმახედა. ვხედავ ოფლისგან დაცლილი და მზით გასურნელებული ჩემი სხეული ქათქათა ბალიშებში გულხელდაკრეფილი ასვენია და მშორდება და მშორდება. მე კი ჰაიი, ფარფატ-ფარფატ ზეცისკენ ბებიაჩემის კალთას ჩაბღუჯებული. ნახვამდის, ბუსო!

21.04.2006

**სერიალის გადასაღებად გვესაჭიროება**

**3, 5 და მეტ ოთახიანი არასტანდარტული ბინები**

**დიდი სამზარეულოთი, პრესტიჟულ უბნებში.**

**დღიური ანაზღაურებით.**

**ტელ: 20 69 69, 893 25 62 57**

მოკლედ

## "რეპორტიორი" ადანაშაულებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

სტუდია "რეპორტიორის" ჟურნალისტები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ვალერი ცერცვაძეს სიცრუეში ადანაშაულებენ. ამის გამო "რეპორტიორის" ჟურნალისტებმა - ვახტანგ კომახიძემ და ბელა ზაქაიძემ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

სტუდია "რეპორტიორის" მიერ გადაღებული ახალი დოკუმენტური ფილმის "მართლმსაჯულების დროა" პრეზენტაცია "კინოს სახლში" გუშინწინ გაიმართა. ჩვენებას საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, ოპოზიციური პარტიების, ხელისუფლების წარმომადგენლები, მოსამართლეები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

ვახტანგ კომახიძის თქმით, ფილმის მომზადებისას "რეპორტიორს" რამდენიმე თანამდებობის პირმა კომენტარზე უარი უთხრა. მათ შორის იყვნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ვალერი ცერცვაძე და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი. ჟურნალისტის განმარტებით, იმის გამო, რომ ფილმს დაუბალანსებლის შთაბეჭდილება არ დაეტოვებინა, მათ ტიტრებში მიაწერეს იმ პირთა გვარები, რომლებმაც ჟურნალისტებთან საუბარი არ ისურვეს. თუმცა, დოკუმენტური ფილმის პრეზენტაციის შემდეგ ვალერი ცერცვაძემ ერთ-ერთი ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ "რეპორტიორის" ჟურნალისტებს ესაუბრა, მაგრამ მათ ეს ინტერვიუ არ გამოიყენეს, რაც "რეპორტიორის" პიარის ნაწილია.

ვახტანგ კომახიძემ და ბელა ზაქაიძემ პრესკონფერენციაზე ის ვიდეომასალა წარმოადგინეს, რომელშიც ასახულია, რომ ზაქაიძე ტელეფონით უკავშირდება ვალერი ცერცვაძეს და სთხოვს კომენტარს მოსამართლეთა დისციპლინური დევნის საკითხზე. ვიდეომასალაში ისმის ვალერი ცერცვაძის ხმა, რომელიც აცხადებს, რომ დისციპლინური სამართალწარმოება კონფიდენციალურია და საჯარო კომენტარის გაკეთება კანონით იკრძალება. ვიდეომასალის მიხედვით, ამის შემდეგ, ბელა ზაქაიძე ცერცვაძეს კომენტარის გაკეთებას სთხოვს იმ მოსამართლეებზე, რომლებიც უკვე გათავისუფლებული არიან თანამდებობიდან. ვალერი ცერცვაძემ ამ შემთხვევაშიც უარი განაცხადა კომენტარის გაკეთებაზე.

როგორც ჟურნალისტები განმარტავენ, იუსტიციის საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ იცრუა, როცა განაცხადა, რომ "რეპორტიორს" ინტერვიუ მისცა.

სტუდია "რეპორტიორის" ახალი ფილმი "მართლმსაჯულების დროა" "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოს სასამართლო ხელისუფლებაში შექმნილ მდგომარეობას, მოსამართლეების თანამდებობებიდან მასობრივ დათხოვნას, სასამართლოებსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე გენერალური პროკურატურის გავლენის გაძლიერებას ასახავს.

**"რევოლუციის შემდგომ პერიოდში, სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოებაში უკმაყოფილების ტალღა შეიმჩნევა, ამიტომ ამ შინაარსის ფილმის გადაღება ბუნებრივი იყო. ფილმში დაფიქსირებულია რამდენიმე რეალური ფაქტიც, თუ როგორ ავიწროვებდა დღევანდელი ხელისუფლება მოსამართლეებს და აიძულებდა, მისთვის სასურველი ვერდიქტი გამოეტანა. მოსამართლეები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან მათზე განხორციელებული ზეწოლის კონკრეტულ ფაქტებზე საუბრობენ. ამ ფილმით ნათლად შეიძლება იმის წარმოდგენა, თუ როგორი მეთოდებით ხორციელდება ქვეყანაში მართლმსაჯულება,"** - განაცხადა ვახტანგ კომახიძემ. **24 საათი**

## სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე არაობიექტურობისთვისაა განწირული

სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი საქმის არაობიექტური გამოძიების გამო სრულ პასუხისმგებლობას გენერალურ პროკურატურას აკისრებს. ადვოკატის განცხადებით, გენერალური პროკურატურა "გაერთიანებული ქართული ბანკის" თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის გამოძიებას თავს არიდებს. თბილისის პროკურატურის ნაცვლად საქმის გენპროკურატურისთვის გადაცემის მოთხოვნით, ადვოკატმა შესაბამის ინსტანციას მიმართა, მაგრამ გენერალური პროკურატურისგან დაუსაბუთებული უარი მიიღო. "როგორც ჩანს, გენპროკურატურას არ სურს, აიღოს პასუხისმგებლობა იმ გამოძიებაზე, რომელიც წინასწარ არის განწირული არაობიექტურობისთვის," - განაცხადა ადვოკატმა და დასძინა, "სანდრო გირგვლიანის ოჯახს და ადვოკატებს გვსურს, გენერალური პროკურატურისგან მივიღოთ განმარტება, თუ რა მოტივით აცხადებენ უარს გამოძიებაზე".

სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატები უნდობლობას უცხადებენ ქალაქ თბილისის პროკურატურას, რომლის წარმოებაშიც არის გირგვლიანის განზრახ მკვლელობის საქმე, ვინაიდან, მათი ინფორმაციით, დაცვა არ არის ეფექტურად უზრუნველყოფილი.

შეგახსენებთ, "გაერთიანებული ქართული ბანკის" თანამშრომლის მკვლელობის გამო სისხლის სამართლის საქმე დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მუხლით არის აღძრული და ამისთვის ოთხი პიროვნებაა დაპატიმრებული. თუმცა, გარდაცვლილის ოჯახი მიიჩნევს, რომ მთავარი დამნაშავეები, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები, ჯერ კიდევ დაუსჯელები არიან. **ინტერპრესნიუსი**

## "დანიური სახლი" გახსნილია

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, "დანიური სახლის" სავაჭრო ქსელის ორივე მაღაზია გაიხსნა. გამსახურდიასა და თამარ მეფის გამზირებზე მდებარე სავაჭრო ცენტრები ფინანსურმა პოლიციამ 12 აპრილს, საბაჟო წესის დარღვევის ბრალდებით დალუქა, მოგვიანებით კი გადასახადების დამალვაც დაფიქსირდა. "დანიური სახლის" ქსელის მეპატრონე შპს "D&G"-ის ხელმძღვანელობას დიდი ოდენობით იმპორტი აქვს საქართველოში განხორციელებული. გამოძიების მტკიცებით, ერთ-ერთი საიმპორტო ოპერაციის გადამოწმებისას, ლატვიის საბაჟოდან მიღებული ინფორმაციის შედეგად გაირკვა, რომ იმპორტის დროს ფირმამ სახელმწიფო ბიუჯეტს 17 ათასი ლარი დაუმალა. 25 დღის მაჩვენებლების შემოწმების დროს, ფინანსურმა პოლიციამ ე.წ. შავი ბუღალტერია აღმოაჩინა, რითიც დადასტურდა, რომ ამ ხნის განმავლობაში მათი რეალური ბრუნვა 2 მილიონ 500 ათასი ლარი იყო. თუმცა, "დანიურმა სახლმა" საგადასახადო საბუთებში მხოლოდ 400 ათასი ლარის ბრუნვა დააფიქსირა. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, მაღაზიათა ქსელი მხოლოდ რეალური ბრუნვის 10 პროცენტს უჩვენებდა. რაც შეეხება ფირმა "D&G"-ის დამფუძნებელ დავით ოტიაშვილს, მან პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ, გირაოს სახით 1 მლნ ლარი გადაიხადა, 45 დღის განმავლობაში კი უნდა დაფაროს ბიუჯეტისთვის გადასახადების სახით დამალული 3 მლნ 383 ათასი ლარი და სანქცია-საურავები, რაც 6 მლნ-ს აჭარბებს.

გარდა ამისა, გირაოს გადახდის შემდეგ, პატიმრობიდან გათავისუფლდა საბროკერო ფირმის მეპატრონე ბადრი ტაბატაძეც, რომელიც დანიური სახლის ხელმძღვანელობას დაეხმარა საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანაში, რითიც სახელმწიფო აზარალა. მან გირაოს სახით 30 ათასი ლარი, ხოლო კონტრაბანდისთვის - 18 230 ათასი ლარი გადაიხადა. **ინტერპრესნიუსი**

# ჩამონგრეული ფასადები და მაქინაცია ბიუჯეტის თანხებით

პირველი გვერდიდან

თუმცა, ადრესატებმა მელქაძის ბრალდებას უსაფუძვლო უწოდეს. ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის განცხადებით არც სამართალდამცველები დაინტერესებულან. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, ბიუჯეტის თანხებით დატრიალებული მაქინაციის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მათმა უწყებამ ახლახან, მარტის ბოლოს მოიპოვა.

**"ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით დაიწყო, რაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახსრების მითვისება-გაფლანგვას გულისხმობს. ამ ეტაპზე ოთხი სამშენებლო ფირმის: "ალბატროსის," "ბ და გ"-ს, "ნუგოსა" და "გოლგოცას" საქმიანობას ვსწავლობთ. დანიშნულია სხვადასხვა სახის ექსპერტიზები და ველოდებით შესაბამის დასკვნებს,"** - ამბობს სამეგრელო-ზემო სვანეთის ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოადგილე ალექსანდრე სურგულაძე, რომელიც არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ფინანსური პოლიცია ხსენებული ოთხი შპს-ს გარდა ბიუჯეტიდან დაფინანსებული სხვა სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობითაც დაინტერესდეს.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ალექსანდრე სურგულაძე კონკრეტულ პირთა ბრალეულობაზე ჯერ არ საუბრობს და არც მათ ვინაობას ამხელს.

**"ოპერატიული ინფორმაცია, ძირითადად, შეეხებოდა საბიუჯეტო თანხების მითვისების ფაქტებს, გამოძიებით დადგინდა კონკრეტული თანამდებობის პირების ვინაობაც. ჩვენი მიზანია, საქმე რაც შეიძლება მალე და პროფესიონალურად გამოვიძიოთ,"** - აცხადებს სურგულაძე.

ადვილი მოსალოდნელია, გამოძიებამ რომელიმე ან რამდენიმე ადგილობრივი ჩინოვნიკის სავარძელი შეიწიროს.

გავრცელებული ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე მამუკა თოდუა ერთ-ერთ სამშენებლო ფირმას "კაპაროლს" ლობირებდა. ფოთის მერი ივანე საღინაძე კი, ხელისუფლებისგან მიღებული გარანტიებით აპელირებს და ამბობს, რომ ხელშეკრულების თანახმად, თითოეული სამშენებლო კომპანია ვალდებულია, ხუთი წლის მანძილზე გამოვლენილი დეფექტები საკუთარი სახსრებით შეასწოროს.

# უარი მართლმსაჯულებაზე

## საპროცესო ცვლილება, რომელმაც პატიმრები ორ ნაწილად გაყო

*"პოლიტიკური სარჩულით მიღებული გადაწყვეტილება," - ასე აფასებს ადვოკატი ეკა ბესელია საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან მისი სარჩელის უგულებელყოფას. საქმე ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საერთოდ უარი თქვა სარჩელის განხილვაზე, რომლითაც ადვოკატი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იმ ცვლილებას აპროტესტებდა, რომელმაც, ეკა ბესელიას მტკიცებით, პატიმართა ნაწილი დისკრიმინაციულ პირობებში ჩააყენა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

საუბარია 2005 წლის 25 მარტს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ კანონზე, რომლის მიხედვითაც, წინასწარი ცხრათვიანი საპატიმრო ვადის ნაცვლად, დაწესდა 6 თვე - 4-ს პლუს 2 თვე, ხოლო სამივე ინსტანციის სასამართლოში - 30-თვიანი ვადის ნაცვლად, დადგინდა 12-თვიანი საპატიმრო ვადა.

მოგვიანებით კი, 2005 წლის 17 ივნისს, პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში კიდევ ერთი ცვლილება შეიტანა. როგორც ეკა ბესელია განმარტავს, ამ ცვლილებით, ახალი, შემცირებული საპატიმრო ვადები არ ვრცელდება იმ საქმეებზე, რომლებიც 2006 წლის 1 იანვრამდე შევიდა სასამართლოებში. შესაბამისად, საპატიმრო ვადების შესახებ ცვლილება არ ეხება იმ პატიმრებს, რომლებიც 2006 წლის 1 იანვრამდე დააპატიმრეს. ანუ, ამჟამად, პატიმრები ორ ნაწილად არიან გაყოფილი - სხვადასხვა საპატიმრო რეჟიმში იმყოფებიან.

**"არადა, საქართველოს კონსტიტუციის მეთოთხმეტე მუხლით აკრძალულია დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნით. კანონის წინაშე ყველა თანასწორია და არ შეიძლება ქვეყანაში არსებობდნენ ორ სხვადასხვა საპატიმრო რეჟიმში მყოფი პატიმრები",** - აცხადებს ეკა ბესელია.

ადვოკატი საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელით, მისი დაცვის ქვეშ მყოფების - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგი კუპრეიშვილისა და სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას საპატიმრო ვადების დარღვევის მაგალითზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვდა. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ადვოკატ ეკა ბესელიას სარჩელს დააკმაყოფილებდა, დავით მირცხულავა და გოგი კუპრეიშვილი ავტომატურად უნდა გათავისუფლებულიყვნენ პატიმრობიდან, რადგან ახალი კანონით, მათი საპატიმრო ვადები უკვე ამოწურულია. თანაც, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ავტომატურად აღდგებოდა ყველა იმ პატიმრის კონსტიტუციური უფლება, ვისი საპატიმრო ვადებიც დარღვეულია.



ეკა ბესელიას მტკიცებით, პატიმართა ნაწილი დისკრიმინაციულ პირობებშია.

**"საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკულად, უარი თქვა სარჩელის მიღებაზე, თუკი ეს ორგანო მიიღებდა გადაწყვეტილებას და სარჩელს საფუძვლიანად ცნობდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ დაახლოებით 2000-მდე პატიმარი უნდა გათავისუფლებულიყო, რომელთა უფლებებიც დარღვეულია. საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ გაბედა ამდენი პატიმრის საკითხის გადაწყვეტა და აბსოლუტურად დაუსაბუთებლად და უარგუმენტოდ უარი განაცხადა სარჩელის დასაშვებობაზე. რაც, იმას ნიშნავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელებაზე საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადა. ეს გახლდათ პოლიტიკური გათვლით მიღებული გადაწყვეტილება, არადა, შემცირებული საპატიმრო ვადები ყველაზე ერთნაირად უნდა ხორციელდებოდეს და კანონი არ უნდა ადგენდეს, განსაზღვრავდეს და აწესებდეს ადამიანების დისკრიმინაციულ მდგომარეობას. არ შეიძლება კანონის ცვლილებით დისკრიმინაციული პირობები დადგინდეს, კანონის წინაშე ყველა თანასწორია",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ეკა ბესელიამ.

როგორც ადვოკატი განმარტავს, გარდა საქართველოს კონსტიტუციის ნორმებისა, სარჩელში, ასევე, მითითებული იყო ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები და ევროპული კონვენციის ის მუხლები, რომელთა შესრულების ვალდებულებაც საქართველოს აკისრია და რომელთა მიხედვითაც, ნებისმიერი ნიშნით და სტატუსით დისკრიმინაცია კატეგორიულად იკრძალება.

**"ჩვენ ვამზადებთ დოკუმენტების პაკეტს ევროპის სასამართლოსთვის, როგორც კუპრეიშვილის, ასევე, მირცხულავას სამეზე. ამ დოკუმენტებში იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს ეს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებაც. ჩვენ მოგვეცა კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტი, ევროპის სასამართლოში ვამტკიცოთ უკანონო პატიმრობის ფაქტები",** - აცხადებს ეკა ბესელია.

# ხის უკანონო მჭრელების საქმეს პროკურატურა იძიებს

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

ხარაგაულის რაიონის სოფელ ვახანში ჩატარებული რეიდის შემდეგ, გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებმა პროკურატურას მიმართეს და სამი სახერხის მფლობელების მიმართ სამართლებრივი ღონისძიებების გატარება მოითხოვეს. ვალერი არევაძეს, რეზო ალავიძესა და გელა ფერაძეს სახელმწიფოსთვის 17 ათასი ლარის ზარალის მიყენება ედებათ ბრალად.

**"აღნიშნულ სახერხებში 50 კუბური მეტრი უკანონოდ მოჭრილი და სარეალიზაციოდ გამზადებული ცაცხვისა და წაბლის ჯიშის ხის მორები აღმოვაჩინეთ. როგორც აღმოჩნდა, ამ სახერხების მფლობელები სისტემატურად ეწეოდნენ ხე-ტყის უკანონო ჭრას და აქამდე მათ პასუხს არავინ სთხოვდა, ამიტომ აუცილებლად დაისმება სატყეო მეურნეობის დირექტორის ლევან აბაშიძის პასუხისმგებლობის საკითხიც,"** - "24 საათთან" საუბარისას განაცხადა გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს უფროსმა ერასტი მეტრეველმა.

გარემოს დაცვის ინსპექცია ხარაგაულის ტყე-პარკის მდგომარეობის შესასწავლად დამატებითი რეიდების მოწყობას პერმანენტულად გეგმავს. მანამდე კი, გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ გადაგზავნილი მასალების საფუძველზე პროკურატურა უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის რეალიზატორების მიმართ აღძრულ საქმეს გამოიძიებს. წინასწარი ინფორმაციით, ხის უნიკალური ჯიშები ქუთაისში დამზადებული ყალბი დოკუმენტებით უცხოეთში გაედინება.



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ხობის გამგეობა / ქ,ხობი ც. დადიანის ქუჩა N180 / აცხადებს ღია ტენდერს ქ.ხობში შიდა სარგებლობის გზების ასფალტობეტონის საფარის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე.

**ლოტი N1-**

დ. აღმაშენებლის ქუჩის სავალი ნაწილის ასფალტობეტონის საფარის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

**ლოტი N2-**

ვაჟა ფშაველას ქუჩის სავალი ნაწილის ასფალტობეტონის საფარის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

**ლოტი N3-**

სტალინის ქუჩის მონაკვეთის სავალი ნაწილის ასფალტობეტონის საფარის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

**ლოტი N4-**

ლ. ბერიას ქუჩის მონაკვეთის სავალი ნაწილის ასფალტობეტონის საფარის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

**2.** სამუშაოების შესრულების ადგილი ქ. ხობი.

**3.** სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 /ერთი / თვის ვადაში.

**4.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე : **ქ. ხობის გამგეობა. ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა N180 ადმინისტრაციული შენობა II სართული, საკონტაქტო ტელეფონი - 8 (214) 2 23 28**.

**4.1** წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალის ან დამოწმებული ასლების სახით.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და იფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისათვის;**

**5.1.1** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრებისა და სანაციის საქმე.

**5.1.2** ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

**5.1.3** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3(სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

**5.2 ფიზიკური პირისათვის;**

**5.2.1** ცნობას სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

**5.2.2** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3(სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

**5.2.3** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმე.

**5.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის;**

**5.3.1** მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი).

**5.3.2** ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

**5.3.3** უკანასკნელი 3(სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი.

**5.3.4** ცნობა სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალიწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით(ქირა,თხოვება და ა.შ) სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა მექანიზმები.

**6.** ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან ყალბი აღმოჩნდება.

**7.** სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის პრეტენდენტმა უნდა გადიხადოს სატენდერო მოსაკრებელი **200** (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. "საქართველოს სახალხო ბანკი-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდი 203828304, მიმღები: ქ.ხობის გამგეობა, მიმღების ანგარიშის N 33060115, საიდ. კოდის N 244547585, გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი ქ.ხობის გამგეობისათვის.

**8.** სატენდერო დოკუმენტაციების გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ) განხორციელდება განცხადების გამოქვეყნების დღიდან **2006 წლის 10 მაისის 17.00** საათამდე პრეტედენტის მოთხოვნისამებრ შემდეგ მისამართზე **ქ. ხობის გამგეობა. ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა N180 ადმინისტრაციული შენობა II სართული, საკონტაქტო ტელეფონი 8 (214) 2 23 28.**

**9.** საკფვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ორ ცალად დალუქული კონვერტით **2006 წლის 11 მაისიდნ 12 მაისის 15-00** საათამდე. Aშემდეგ მისამართზე: **ქ. ხობის გამგეობა. ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა N180 ადმინისტრაციული შენობა II სართული, საკონტაქტო ტელეფონი - 8 (214) 2 23 28.**

**10**. საკფვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო დოკუმენტაცის პირველადი შეფასება მოხდება მსურველ პრეტედენტთა თანდასწრებით 2006 წლის 12 მაისის 15-00 საათზე, შემდეგ მისამართზე: **ქ. ხობის გამგეობა. ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა N189 ადმინისტრაციული შენობა II სართული, საკონტაქტო ტელეფონი - 8 (214) 2 23 28.**

**11.** ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების **1%-ის ოდენობით.**

**12.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**13.** ტენდერში პრეტედენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის **5-%-ის ოდენობით.**

**14.** ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

**15.** სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების" შესრულების პროცეში.

**16.** ტენდერში ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

**17.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: **გიორგი ბერაია და მევლუდ სერგია**, შემდეგ მისამართზე: **ქ. ხობის გამგეობა. ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა N180 ადმინისტრაციული შენობა II სართული, საკონტაქტო ტელეფონი - 8 (214) 2 23 28. მობ: 893 26 31 62.**

**ქ. ხობის გამგეობა.**
**სატენდერო კომისიის**
**თავმჯდომარე: /შ. კალანდია/**




**22 აპრილი**

თეატრი

**რუსთაველის თეატრი**
უილიამ შექსპირი
"როგორც გენებოთ ანუ შობის მეთორმეტე ღამე"
რეჟსირი რობერტ სტურუა. დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**
ანტონ ჩეხოვი. "დათვი"
რეჟსიორი რამაზ ზურაბაშვილი
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**
"ბინა ყიფშიძის ქუჩაზე"
დასაწყისი: 19.00

ცირკი

**22-23 აპრილი**
**ცირკი წყალზე**
მოსკოვის ცირკის მსახიობთა წარმოდგენა
დასაწყისი: 12:00; 15:00. ბილეთის ფასი 5-8 ლარი

## ბორის რომანოვსკის გამოფენა

თბილისის ისტორიული მუზეუმი უმასპინძლებს ცნობილი პოლონელი მხატვრის ბორის რომანოვსკის გამოფენას, რომელზეც ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და ისტორიული მუზეუმის ექსპონატებიც იქნება წარმოდგენილი.

რომანოვსკი XX საუკუნის დასაწყისში თბილისში ცხოვრობდა და ძველი თბილისის თემაზე ნამუშევართა ვრცელი სერია შექმნა. სწორედ ამ სერიის ნიმუშები გამოიფინება ისტორიულ მუზეუმში.

როგორც მუზეუმის წარმომადგენლები აცხადებენ, გამოფენაზე მხატვრის 40-მდე ნამუშევარი გამოიფინება. ისინი ამჟამად ხელოვნების მუზეუმისა და ისტორიული მუზეუმის ექსპოზიციებშია დაცული.

გამოფენა პოლონეთის საელჩოს ორგანიზებით 3 მაისს გაიხსნება.

## იავნანა მოსკოვის მულტფესტივალზე

ანსამბლ "ქართული ხმების" მიერ შესრულებული იავნანა მოსკოვში გამართულ ანიმაციური ფილმების ფესტივალზე ერთ-ერთ მულტფილმში გაიჟღერებს.

ფესტივალი "ჩვენი ანიმაცია" მოსკოვში გუშინ გაიხსნა, მის ყველაზე მომხიბვლელ პროექტად კი ორგანიზატორები რეჟისორ ელიზავეტა სკვორცოვას მულტიპლიკაციურ სერიალს "მსოფლიო იავნანებს" მიიჩნევენ. სწორედ ამ სერიალში, რომელიც სხვადასხვა ერების იავნანას ფოლკლორულ მოტივებზეა შექმნილი, "ქართული ხმების" შესრულებით ქართული იავნანა აჟღერდება.

მულტსერიალი 20 ფილმს მოიცავს. გერმანულ სერიაში იავნანას მარლენ დიტრიხის შესრულებით წარმოადგენენ. ფესტივალი სამ დღეს გაგრძელდება. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ იგი რუსული მულტიპლიკაციური ფილმების ყველაზე მასშტაბური ჩვენების სტატუსს მოიპოვებს.

ამბავი "მსოფლიო იავნანებში" ქართული იავნანას აჟღერების შესახებ ანსამბლ "ქართული ხმებისთვის" მოულოდნელი აღმოჩნდა. როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა თემურ ჭკუასელმა განაცხადა, მათ "მსოფლიო იავნანების" არსებობის შესახებ არაფერი სმენიათ, მათთვის სიმღერის ჩაწერის თხოვნით არავის მიუმართავს და არც მისი გამოყენების შესახებ აუღიათ ნებართვა.

"როგორც ჩანს, რეჟისორმა ჩვენი ნამღერი "მეკობრული" ხერხით გამოიყენა. რეპერტუარში ორი იავნანა გვაქვს - სვანური და ანაგურული, მაგრამ რომელი მათგანი გამოიყენეს, ჩემთვისაც უცნობია", - განაცხადა ჭკუასელმა.

## 40 მოწამეთა სახელობის ტაძარი

ორმოც მოწამეთა სახელობის ეკლესიის მშენებლობის დასრულებას არქიტექტორი რეზო ჯანაშია მომავალი წლისთვის ვარაუდობს.

ტაძარი ორმოც მოწამეთა სახელობის VII საუკუნის ტაძრის ნანგრევებზე სწორედ იმ ადგილას შენდება, სადაც აბო თბილელს თავი მოკვეთეს. უკვე სამი წელია ორთაჭალაში ეკლესიის მშენებლობა მიმდინარეობს.

როგორც ტაძრის არქიტექტორი აცხადებს, ამ დროისთვის დასრულებულია ტაძრის სუბსტრუქტურა და სამუზეუმო ნაწილი, რომელიც ქართული აგურით მოპირკეთდება.

სამუზეუმო ნაწილს წარმოადგენს ტაძრისქვეშა სივრცე, სადაც ძველი ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი არქეოლოგიური სიძველეები განთავსდება. მშენებლობის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მსურველს შეეძლება მათი დათვალიერება. ჯანაშიას თქმით, სამუზეუმო ნაწილს ორნავიანი ბაზილიკა დაედგმება და იგი ნიჩბისის ქვით მოპირკეთდება.

ეკლესია მრევლის მიერ შემოწირული თანხით შენდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## იტალია ქართველი ახალგაზრდების სწავლებას დააფინანსებს

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და იტალიის საელჩომ საქართველოში კონკურსი გამოაცხადა. იტალიის მთავრობის სტიპენდიაზე - პრემია "რომა" - კონკურსი გულისხმობს 4 ქართველი ახალგაზრდის იტალიაში გაგზავნასა და სახელოვნებო სფეროებში, კერძოდ, ვოკალის, ფრესკების რესტავრატორის, თეატრის მენეჯერისა და ხმის ოპერატორის სპეციალობებით 8-თვიან სწავლებას.

ამასთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროში გაიმართა მინისტრ გიორგი გაბაშვილისა და იტალიის ელჩის ფაბრიციო რომანოს ერთობლივი პრესკონფერენცია, რომელზეც მხარეებმა კონკურსის პირობები გააცნეს საზოგადოებას. გაბაშვილის თქმით, ეს დიდი დახმარებაა იტალიის მთავრობის მხრიდან. "იტალიას სახელოვნებო სფეროებში დიდი გამოცდილება აქვს, რისი გაზიარებაც მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნებს საქართველოს კულტურულ რესურსებს", - განმარტა მან. ამასთან, ფაბრიციო რომანოს განცხადებით, ის მაქსიმალურად ეცდება პროექტი მომავალ წლებშიც გაგრძელდეს, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს ორი ქვეყნის კულტურულ თანამშრომლობას.

კონკურსი იტალიის მთავრობის სტიპენდიისთვის, რომელიც თვეში დაახლოებით 620 ევროს შეადგენს, მიმდინარე წლის მაისში ორ ეტაპად ჩატარდება. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს. დაინტერესებულმა პირებმა სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტში ანკეტები ქართულ და იტალიურ ენებზე 12 მაისამდე უნდა შეავსონ. პროექტი საქართველოში მეორედ ხორციელდება. პრემია "რომას" კონკურსი პირველად შარშან ჩატარდა, სადაც 5 ახალგაზრდა შეირჩა.

*პრაიმ-ნიუსი*

# ვირტუალური ნოვაციები ეროვნულ მუზეუმში

თეონა ჯაფარიძე

ამ ორიოდე დღის წინ **ეროვნულმა მუზეუმმა** და ფონდმა - **"ღია საზოგადოება - საქართველომ"** მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების შესახებ ამცნო საზოგადოებას: **პროექტის პრეზენტაცია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების განყოფილებაში** შედგა. პროექტის საშუალებით უკვე შექმნილია მუზეუმის აღმოსავლეთის განყოფილების ექსპონატების მონაცემთა კომპიუტერული ბაზა და გამოცემულია "ისლამური ხელოვნების კვირეულის" კრებული. პროექტზე მუშაობა "ღია საზოგადოება - საქართველოს" ხელშეწყობით 2005 წლის იანვრიდან დაიწყო და მისი საშუალებით მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების განყოფილების 850 ექსპონატი (ფერწერა, ლაქი, მინიატიურა) იქნა შეტანილი კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში. საერთოდ, აღმოსავლეთის განყოფილებაში სულ 5000 ექსპონატია და მათი ვირტუალური აღრიცხვა გრძელდება. ვიდრე "ისლამური ხელოვნების კვირეულის" შესახებ მოგითხრობდეთ, მანამდე **პროექტის ხელმძღვანელს** ქალბატონ **ზიზი თორთლაძეს** გავესაუბროთ მონაცემთა ბაზის პრინციპის შესახებ:

"თავდაპირველად აღმოსავლეთის ხელოვნების განყოფილებასთან პროექტის ფარგლებში სამუშაო საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა. ჯგუფმა ინფორმაცია სულ 850 ექსპონატის შესახებ (ლაქი, ფერწერა, მინიატიურა) შეარჩია. ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა კომპიუტერული პროდუქტი (მონაცემთა ბაზა). შემდეგ ეტაპზე დავამუშავეთ მასალა - მოხდა თითეული ექსპონატის პასპორტიზაცია, აღწერა და ფოტოფიქსაცია. შემდეგ შევავსეთ მონაცემთა ბაზა. ბოლოს კი მომზადდა ტექსტური ინფორმაცია ინგლისურ ენაზე, რომლის შეყვანა მონაცემთა ბაზაში ჯერ კიდევ გრძელდება.

მონაცემთა კომპიუტერული ბაზა სამუზეუმო ნივთზე ორი ძირითადი სახის ინფორმაციას შეიცავს: - ექსპონატის ბარათსა და ექსპონატის სრულ აღწერილობას - ანუ პასპორტს. ინფორმაცია პროგრამაში შეაქვთ ერთიანი კითხვარით, რომელიც წინასწარ შეადგინეს სამუზეუმო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამა საშუალებას იძლევა ოპერატიულად მოვიპოვოთ ამა თუ იმ სამუზეუმო ექსპონატზე ტექსტური და გრაფიკული მასალა. ეს ყველაფერი კი აადვილებს სამუზეუმო საქმანობას მაგ: საგამოფენო ექსპოზიციის მომზადებას, სარესტავრაციო სამუშაოების დაგეგმვა-წარმოებას, სამეცნიერო კვლევას, საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და ა.შ." - გვიხსნის ქალბატონი ზიზი.



*XVIII საუკუნის ირანული მხატვრობა - ნაზარ ალი.*

**"ისლამური ხელოვნების კვირეული"** თბილისში შარშან, ივნისში გაიმართა (პროექტის ხელმძღვანელი აღმოსავლური ხელოვნების განყოფილების გამგე **ირინა კოშორიძე**). მაშინ თბილისი და საქართველოს ეროვნული მუზეუმი, კერძოდ, შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი და მისი აღმოსავლური განყოფილება, ისლამური ხელოვნების მკვლევართა და თაყვანისმცემელთა ყურადღების ცენტრში მოექცა აქ დაცული ყაჯარული ანუ ირანული სამეფო ფერწერის კოლექციის გამო. მაშინ თბილისს ესტუმრნენ ყაჯარული ფერწერის ისეთი ცნობილი მკვლევარები, როგორებიც არიან ქ-ნი ლეილა დიბა (აშშ), ბ-ნი ბარი ვუდი (აშშ.), ბ-ნი ტიმ სტელნი (დიდი ბრიტანეთი. ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმის მთავარი კურატორი), ქ-ნი ფათემა სუდავარ-ფარმანფარმაიანი (შვეიცარია, დამოუკიდებელი მკვლევარი, ყაჯართა დინასტიის ერთ-ერთი შთამომავალი) და სხვა ცნობილი ექსპერტები. კვირეულის ფარგლებში გაიმართა წიგნ "ყაჯარული პორტრეტის" პრეზენტაცია, გაიხსნა გამოფენა "ისლამური კოლექციები ხელოვნების მუზეუმიდან" და ჩატარდა საერთაშორისო სემინარი თემაზე "ყაჯარული ხელოვნება - წარმომავლობა, წყაროები და გავლენები". ამჯერად კი ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ხელშეწყობით გამოიცა სწორედ ამ სემინარზე წარდგენილი მნიშვნელოვანი მოხსენებების კრებული, რომელიც მსოფლიოში ისლამური ხელოვნების ნებისმიერი მკვლევარისთვის იქნება საინტერესო და ვირტუალურად ხელმისაწვდომი, ისევე, როგორც ახლო მომავალში ეროვნული მუზეუმის საინტერესო კოლექციები.

## GeorgiaTel 2006

26-28 აპრილს სასტუმრო "მეტეხი პალასში" გაიმართება თბილისში ტელეკომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მესამე საერთაშორისო გამოფენა "GeorgiaTel 2006". პარალელურად მოეწყობა ბეჭდვითი სიტყვისა და რეკლამის მეორე საერთაშორისო გამოფენა "GePrintMedia-2006."

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სტენდები ტელეკომუნიკაციებისა და ქსელების, კომპიუტერებისა და კომპიუტერული ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფისა და ავტომატიზაციის სისტემების შესახებ. საკუთარ პროდუქციას და ტექნოლოგიებს გამოფენაზე 8 ქვეყნიდან 20-ზე მეტი კომპანია წარმოადგენს.

გამოფენის ორგანიზატორია კომპანია "Iteca kavkasia" - საქართველოში ბრიტანული საგამოფენო კომპანიის "I TE CRUP PIC"-ის ექსკლუზიური პარტნიორი, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და გაეროს განვითარების პროგრამის ოფიციალური მხარდაჭერით.






# ოქროს პალიტრა




მზევინარ ხუციშვილი

ერთი კვირის განმავლობაში გალერეა "ჰობიში" გამოფენილი იყო ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვების ნამუშევრები, რომლებსაც ჟიურის გარდა საზოგადოებაც აფასებდა. გამოფენა, რომელსაც პირობითად "თავისუფალი თემა" უწოდეს და ბავშვთა ნამუშევრების მესამე გამოფენა-კონკურსი იყო, ორი წლის წინ გალერეა "ჰობის" წარმომადგენლებმა დააფუძნეს. მასში ოთხმოცდაათი ბავშვი მონაწილეობდა. როგორც გალერეის დირექტორმა ქალბატონმა ვანდა მუჯირმა აღნიშნა, "ბავშვები მოდიან როგორც ინდივიდუალურად, ისე სამხატვრო სტუდიებიდან და საბავშვო ბაღებიდან. ისინი სამ ასაკობრივ ჯგუფად არიან დაყოფილნი. გვყავს ოცდაშვიდი გამარჯვებული, თუმცა საჩუქრის გარეშე არავინ რჩება. ჩემთვის ამ ტიპის კონკურსი ძალიან წარმატებულია და იგი ყოველწლიურ მოვლენად იქცა. მას აფასებს ჟიური, რომლის შემადგენლობაში შედიან ცნობილი მხატვრები: თამაზ ვარვარიძე, ქეთი მატაბელი, ლორეტა შენგელია-აბაშიძე, ხოლო ჟიურის თავმჯდომარე გოგი ლაზარიშვილია."

20 აპრილს მოეწყო გამოფენის დაჯილდოების ცერემონიალი, რომელზეც ჟიურის წარმომამდგენლებმა მადლობა გადაუხადეს გამოფენის ორგანიზატორის გალერეა "ჰობის" წარმომადგენლებს და ისაუბრეს ამ კონკურსის მნიშვნელობაზე. მათ აღნიშნეს, რომ "გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შესანიშნავი ნამუშევრები, რომლებიდანაც ჩანს, როგორ იზრდება მომავალი თაობა. დღევანდელი დღე ღირსეული დღესასწაულია. ჩვენ გისურვებთ, რომ ცხოვრების ბოლომდე შეინარჩუნოთ ეს ბავშვობა. იმედი გვაქვს, თქვენ ჩვენი აკადემიის სტუდენტები გახდებით". თამაზ ვარვარიძემ კი აღნიშნა: "საერთოდ, ბავშვების ნახატები საინტერესოა, რადგან ამ ნამუშევრებში ჩანს ბავშვების ხედვა, მათ კი გარემოს აღქმის თავისებური უნარი აქვთ. როდესაც ისინი პედაგოგებს მიმართავენ, ეს ხედვა ხშირად იკარგება, თუმცა, რა თქმა უნდა, პედაგოგსაც გააჩნია. ამ თვალსაზრისით მცირე ასაკის ბავშვების ნამუშევრები უფრო საინტერესო იყო, ვიდრე უფროსი თაობისა".

გამოფენაში ზაალ სულაკაურის სტუდიის ბავშვებიც იღებდნენ მონაწილეობას. "ჩემი რვა მოწაფე მონაწილეობს. ამ ასაკში ბავშვები სრულიად გულწრფელნი და თავისუფალნი არიან. ამ ნამუშევრებს რომ ვუყურებ, ნამდვილი მხატვრების ნამუშევრები მგონია. სრულიად გულწრფელად გეუბნებით: მათ დიდი მომავალი აქვთ".

ყველა მონაწილეს გადასცეს დიპლომები და საჩუქრები. 27 გამარჯვებულს - გამომცემლობა ბაკურ სულაკაურის მიერ გამოცემული წიგნები, ექვს მთავარ პრიზიორს სანდრო ურთქმელიძეს, მარიამ თოფურიას, ნინი ბარნაველს, მარიამ ცეცხლაძეს, სანდრო ბახტაძეს და ტარიელ ჭანტურიას ვერცხლის მოოქროვილი პალიტრა ხვდათ წილად. კონკურსის საინფორმაციო მხარდამჭერები იყვნენ ჟურნალები "ტურიზმი და დასვენება" და "ანო და ვანი".

## ევროპა ჰოლივუდის სანაცვლოდ



თაიმსი იუწყება, რომ ვუდი ალენი ლონდონში კიდევ ერთ, უკვე მესამე ფილმს გადაიღებს. ცნობილი რეჟისორი ამბობს, რომ ჰოლივუდი მას ბოჭავს, რადგან იგი ერევა როგორც სიუჟეტში, ისე მსახიობთა არჩევაში.

პირველ სურათს, რომელიც ვუდი ალენმა ბრიტანეთის დედაქალაქში გადაიღო, "მატჩ პოინტი" ჰქვია. რეჟისორის თავდაპირველ გეგმებში სულაც არ შედიოდა წვიმიანი ლონდონი, მაგრამ თურმე სწორედ იქ იგრძნო თავი "არაჩვეულებრივად თავისუფლად" და მუშაობდა ისე, როგორც მუდამ სურდა.

"მატჩ პოინტს" მოჰყვა ალენის მომდევნო ლონდონური ფილმი "Scoop", რომელის ხილვაც ამა წლის მეორე ნახევარში გახდება შესაძლებელი. ამ სურათში სკარლეტ იოჰანსონი და ჰიუ ჯეკმანი თამაშობენ.

მესამე "ევროპული" ფილმი, რომლის გადაღებასაც ვუდი ალენი მომავალ კვირაში დაიწყებს, ჯერ უსათაუროა. მაგრამ ის მაინც არის ცნობილი, რომ მასში მიშელ უილიამსი (2006 წლის ოსკარის ნომინანტი ქალის მეორეხარისხოვანი როლისთვის ენგ ლის ფილმიდან "კუზიანი მთა") ითამაშებს.

ვუდი ალენი უილიამსს საკუთარ "ახალ მუზას" უწოდებს. სულ უახლოეს წარსულში ალენი ამ ახალი ფილმის გადაღებას პარიზში გეგმავდა, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, კონცეფციაც და სცენარიც სპეციალურად ლონდონისთვის შეცვალა.

## პრემიერა სამეფო უბნის თეატრში

2 მაისს სამეფო უბნის თეატრი იუკიო მისიმას პიესის მიხედვით დადგმული ახალ სპექტაკლის "ჩემი მეგობარი ჰიტლერის" საპრემიერო ჩვენებას დაიწყებს. სპექტაკლის რეჟისორია დათო მღებრიშვილი. მხატვარი ანა ნინუა. კომპოზიტორი გოგი ძოძუაშვილი.

მონაწილეობენ: ნატა მურმანიძე, ნიკა თავაძე, ზაალ ჩიქოვაბა, რეზო თავართქილაძე.

საპრემიერო ჩვენება 2 მაისს დაიწყება და 7 მაისამდე გასტანს.

## მწვანე ვარდები ეკატერინბურგში

მალე ეკატერინბურგელ მოსახლეობასს აგრონომების წყალობით, ყვავილების დახლებზე ახალი ჯიშის - მწვანე ვარდების შეძენა შეეძლებათ.

ეკატერინბურგელი აგრონომი გალინა პოპოვა თვლის, რომ მწვანე ვარდები წელს ეკატერინბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში ყველაზე პოპულარული ყვავილები გახდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს აუქციონს 2000 მგჰც სიხშირულ ზოლში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას მიმართა განცხადებით შპს "ტელეკომინვესტ საქართველომ" (წერილი 19.04.2006 წ.) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ 2000 მგჰც სიხშირულ ზოლში.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" და "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს აუქციონი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად 1950-1965 მგჰც, 2140-2155 მგჰც, 2010-2015 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისთვის საქართველოს მთელს ტერიტორიაზე;
2. აუქციონის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2006 წლის 23 მაისის 13:00 საათი;
3. რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 8 491 392 (რვა მილიონ ოთხას ოთხმოცდათერთმეტი ათას სამას ოთხმოცდათორმეტი) ლარით;
4. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2006 წლის 8 მაისის 17:00 საათამდე;
5. სალიცენზიო პირობები:

ა) ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყება;

ბ) ლიცენზიის მიღებიდან სამი წლის განმავლობაში განახორციელოს არანაკლებ ერთი გადამცემით მომსახურება შემდეგ რეგიონებში:

- რეგიონი 1: ქ. თბილისი;
- რეგიონი 2: ქ. ფოთი, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის რაიონები;
- რეგიონი 3: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის რაიონები;
- რეგიონი 4: ქ.ქუთაისი, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის რაიონები;
- რეგიონი 5: ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის რაიონები;
- რეგიონი 6: ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის რაიონები;
- რეგიონი 7: ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონები;
- რეგიონი 8: ქ. რუსთავი, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის რაიონები;
- რეგიონი 9: ქ. ცხინვალი, გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ჯავის რაიონები;
- რეგიონი 10: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;

გ) გამოყენებული ტექნიკური საშუალებების IIF პორტებით და შესაბამისი პროგრამული მართვით უზრუნველყოფა;

6. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მაძიებელი კომისიაში წარადგენს წერილობით განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ რომელი სარგებლობის ლიცენზიის სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი.
7. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

ბ) სალიცენზიო მოსაკრებლის (3 000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

გ) რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე (ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი "თი-ბი-სი''; ა/ანგარიში: 609326; კოდი: 220101830; საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050) და ლიცენზიის მაძიებლის აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში მიიმართება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში;

8. აუქციონში მონაწილეობის უფლება არა აქვს იმ პირს, რომელიც აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად ხდება რადიოსიხშირული სპექტრიდან "3G"-ს სიხშირული ზოლის 50 პროცენტის ან მეტის მფლობელი.
9. "3G"-ს სიხშირული ზოლი განისაზღვრება 1920-1980 მგჰც ქვედა ზოლი, 2110-2170 მგჰც ზედა ზოლი;
10. თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-7 პუნქტში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, კომისია განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია. დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
11. თუ ლიცენზიის მაძიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს განაცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებელი და ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10% - გადახდილი ბეს სახით, ექვემდებარება დაბრუნებას.
12. აუქციონი ტარდება კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" შესაბამისად;
13. აუქციონის ბიჯი შეადგენს რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე;
14. აუქციონის სხდომა საჯაროა.
15. აუქციონის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება:

ა) ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

ბ) ქვეყნდება ინტერნეტში კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge);

16. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
17. დაევალოს კომისიის პრეს მდივანს (თ. ტყეშელაშვილი) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
18. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (ე.ასანიძე).

**კომისიის თავმჯდომარე:** **დ. ქიტოშვილი**
**კომისიის წევრები:** **დ. პატარაია**
**გ. ფრუიძე**
**ზ. ნონიკაშვილი**

# კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს აუქციონს 2000 მგჰც სიხშირულ ზოლში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას მიმართა განცხადებით შპს "თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტმა" (წერილი №280, 21.11.2005 წ.) და კომპანია "QUTEL"-მა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ 27.5-29.5 გჰც სიხშირულ ზოლში.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს" და კომპანია "QUTEL"-ს აღნიშნული სიხშირული რესურსი ესაჭიროებათ საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი უსადენო რადიოდაშვების ქსელით მომსახურებისათვის.

კომისია აგრეთვე აღნიშნავს, რომ არსებობს თავისუფალი სიხშირული რესურსი 27.5-29.5 გჰც სიხშირულ ზოლში და შესაძლებლად მიაჩნია გამოცხადდეს აუქციონი.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებისა" და "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს აუქციონი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად 27.8425-27.8985 გჰც, 28.8505-28.9065 გჰც სიხშირულ დიაპაზონში ადგილობრივი უსადენო რადიოდაშვების ქსელით მომსახურებისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
2. აუქციონის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2006 წლის 23 ივნისის 14:00 საათი;
3. რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 364,362.24 (სამას სამოცდაოთხი ათას სამას სამოცდაორი ლარი და 24 თეთრი) ლარით;
4. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2006 წლის 8 ივნისის 17:00 საათამდე;
5. სალიცენზიო პირობები:

ა) ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყება;

ბ) ლიცენზიის მიღებიდან სამი წლის განმავლობაში განახორციელოს არანაკლებ ერთი გადამცემით მომსახურება შემდეგ რეგიონებში:

- რეგიონი 1: ქ. თბილისი;
- რეგიონი 2: ქ. ფოთი, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის რაიონები;
- რეგიონი 3: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის რაიონები
- რეგიონი 4: ქ.ქუთაისი, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის რაიონები;
- რეგიონი 5: ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის რაიონები;
- რეგიონი 6: ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის რაიონები
- რეგიონი 7: ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონები;
- რეგიონი 8: ქ. რუსთავი, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის რაიონები;
- რეგიონი 9: ქ. ცხინვალი, გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ჯავის რაიონები;
- რეგიონი 10: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;

6. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მაძიებელი კომისიაში წარადგენს წერილობით განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ რომელი სარგებლობის ლიცენზიის სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი.
7. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

ბ) სალიცენზიო მოსაკრებლის (3 000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

გ) რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე (ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი "თი-ბი-სი''; ა/ანგარიში: 609326; კოდი: 220101830; საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050) და ლიცენზიის მაძიებლის აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში მიიმართება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში;

8. აუქციონში მონაწილეობის უფლება არა აქვს იმ პირს, რომელიც აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად ხდება რადიოსიხშირული სპექტრიდან 50 პროცენტის ან მეტის მფლობელი.
9. თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-7 პუნქტში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, კომისია განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია. დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
10. თუ ლიცენზიის მაძიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს განაცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებელი და ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10% - გადახდილი ბეს სახით, ექვემდებარება დაბრუნებას.
11. აუქციონი ტარდება კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" შესაბამისად;
12. აუქციონის ბიჯი შეადგენს რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე;
13. აუქციონის სხდომა საჯაროა.
14. აუქციონის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება:

ა) ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

ბ) ქვეყნდება ინტერნეტში კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge);

15. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
16. დაევალოს კომისიის პრეს მდივანს (თ. ტყეშელაშვილი) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
17. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (ე.ასანიძე).

**კომისიის თავმჯდომარე:** **დ. ქიტოშვილი**
**კომისიის წევრები:** **დ. პატარაია**
**გ. ფრუიძე**
**ზ. ნონიკაშვილი**

# კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს აუქციონს 40 გჰც სიხშირულ ზოლში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას მიმართა განცხადებით შპს "თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტმა" (წერილი №280, 21.11.2005 წ.) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ 40 გჰც სიხშირულ ზოლში.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს" აღნიშნული სიხშირული რესურსი ესაჭიროება საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი უსადენო რადიოდაშვების ქსელით მომსახურებისათვის.

კომისია აგრეთვე აღნიშნავს, რომ არსებობს თავისუფალი სიხშირული რესურსი 40 გჰც სიხშირულ ზოლში და შესაძლებლად მიაჩნია გამოცხადდეს აუქციონი.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებისა" და "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს აუქციონი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად 40.500-40.985 გჰც, 42.000-42.485 გჰც სიხშირულ დიაპაზონში ადგილობრივი უსადენო რადიოდაშვების ქსელით მომსახურებისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
2. აუქციონის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2006 წლის 23 ივნისის 13:00 საათი;
3. რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 244,288.32 (ორას ორმოცდაოთხი ათას ორას ოთხმოცდარვა ლარი და 32 თეთრი) ლარით;
4. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2006 წლის 8 ივნისის 17:00 საათამდე;
5. სალიცენზიო პირობები:

ა) ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყება;

ბ) ლიცენზიის მიღებიდან სამი წლის განმავლობაში განახორციელოს არანაკლებ ერთი გადამცემით მომსახურება შემდეგ რეგიონებში:

- რეგიონი 1: ქ. თბილისი;
- რეგიონი 2: ქ. ფოთი, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის რაიონები;
- რეგიონი 3: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის რაიონები
- რეგიონი 4: ქ.ქუთაისი, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის რაიონები;
- რეგიონი 5: ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის რაიონები;
- რეგიონი 6: ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის რაიონები
- რეგიონი 7: ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონები;
- რეგიონი 8: ქ. რუსთავი, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის რაიონები;
- რეგიონი 9: ქ. ცხინვალი, გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ჯავის რაიონები;
- რეგიონი 10: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;

6. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მაძიებელი კომისიაში წარადგენს წერილობით განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ რომელი სარგებლობის ლიცენზიის სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი.
7. განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

ბ) სალიცენზიო მოსაკრებლის (3 000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

გ) რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე (ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი "თი-ბი-სი''; ა/ანგარიში: 609326; კოდი: 220101830; საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050) და ლიცენზიის მაძიებლის აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში მიიმართება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში;

8. აუქციონში მონაწილეობის უფლება არა აქვს იმ პირს, რომელიც აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად ხდება რადიოსიხშირული სპექტრიდან 50 პროცენტის ან მეტის მფლობელი.
9. თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-7 პუნქტში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, კომისია განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია. დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
10. თუ ლიცენზიის მაძიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს განაცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებელი და ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10% - გადახდილი ბეს სახით, ექვემდებარება დაბრუნებას.
11. აუქციონი ტარდება კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" შესაბამისად;
12. აუქციონის ბიჯი შეადგენს რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე;
13. აუქციონის სხდომა საჯაროა.
14. აუქციონის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება:

ა) ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

ბ) ქვეყნდება ინტერნეტში კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge);

15. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
16. დაევალოს კომისიის პრეს მდივანს (თ. ტყეშელაშვილი) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
17. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (ე.ასანიძე).

**კომისიის თავმჯდომარე:** **დ. ქიტოშვილი**
**კომისიის წევრები:** **დ. პატარაია**
**გ. ფრუიძე**
**ზ. ნონიკაშვილი**

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

ლოტი N1 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ორი ხუთ სართულიანი შენობის რეკონუსტრუქცია და სახურავის მოწყობა, (ქ. გორი ვოლოგდის და წმინდა წყლის დასახლება).

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. ტელ: 91-03-54

სამშენებლო სამუშაოები უნდა დასრულდეს 2006 წლის 1 დეკემბრამდე.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიაში ზემოაღნიშნულ მისამართზე, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 15 მაისის 12 საათამდე.** შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)

ეროვნული ბანკი

ანგ. N 200122900

ბანკის კოდი: 220101107

სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 16 მაისიდან 2006 წლის 18 მაისის 15 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ;
- ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

| N | მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილ იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| 3. | | | | | |
| . | | | | | |
| . | | | | | |

***შენიშვნა:*** *არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.*

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2% ოდენობით.

*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

*დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.*

***სატენდერო კომისია***

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "სანიაღვრე მეურნება" აზბოცემენტის მილების, პლასმასის მილების, ბეტონის გვერდმიმღებებისა და რკინაბეტონის ნაკეთობათა სახელმწიფო შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს და მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 3 (სამ) ლოტად:

**ლოტი 1:**

**1. რკინაბეტონის ფილა - 28 ცალი**
**2. რკინაბეტონის ჭა დ-1000 მმ 25 ცალი**
**3. ბეტონის გვერდმიმღები- 20 ცალი**

**ლოტი 2:**

**1. აზბოცემენტის მილი დ-200 მმ - 400 გრძივი მეტრი**
**2. აზბოცემენტის მილი დ-250 მმ - 600 გრძივი მეტრი**
**3. აზბოცემენტის მილი დ-300 მმ - 700 გრძივი მეტრი**
**4. აზბოცემენტის მილი დ-400 მმ - 300 გრძივი მეტრი**

**ლოტი 3:**

**1. პლასმასის მილები დ-300 მმ - 300 გრძივი მეტრი**

2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად 2006 წლის 31 დეკემბრამდე შემსყიდველსა და და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ანგარიშის N34020005 "თბილბიზნესბანკი") სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 22 აპრილიდან 2006 წლის 11 მაისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, თვალჭრელიძის N11ა, შპს "სანიაღვრე მეურნეობა".

4. სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

**შენიშვნა**: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

6. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო კომისიის აპარატში საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 22 აპრილის 12 სთ-დან 11 მაისის 16 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, თვალჭრელიძის N11ა, შპს "სანიაღვრე მეურნეობა".

8. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

9. დაგვიანებულ შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

10. ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული, ლოტების მიხედვით.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ: სატენდერო აპარატში, საკონტაქტო ტელეფონი: 45-08-00, ნოდარ ზარდიაშვილი, მისამართი: თბილისი, თვალჭრელიძის N11ა.

შპს "სანიაღვრე მეურნეობა"
სატენდერო კომისია
22 აპრილი 2006

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23ა, II კორპუსი) სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს გლობალური ფონდის პროექტის "აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში" ფარგლებში მედიკამენტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროექტი).

3. შესყიდვის ობიექტია: მედიკამენტები

| ლოტის N | დასახელება | განზომილების ერთეული (აბი /კაფსულა /ფლაკონი /ბოთლი) | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი 1 | ზიდოვუდინი (ZDV) | 300 მგ, აბი | 63300 |
| | ზიდოვუდინი (ZDV) | 10 მგ/მლ (100 მლ), სიროფი | 552 |
| ლოტი 2 | სტავუდინი (d4T) | 15 მგ, კაფსულა | 960 |
| | სტავუდინი (d4T) | 20 მგ, კაფსულა | 960 |
| | სტავუდინი (d4T) | 30 მგ, კაფსულა | 7320 |
| | სტავუდინი (d4T) | 40 მგ, კაფსულა | 43800 |
| ლოტი 3 | ლამივუდინი (3TC) | 150 მგ, აბი | 110100 |
| | ლამივუდინი (3TC) | 10 მგ/მლ (240 მლ) სუსპენზია | 313 |
| ლოტი 4 | ნევირაპინი (NVP) | 200 მგ, აბი | 26820 |
| ლოტი 5 | ნევირაპინი (NVP) | 50 მგ/5 მლ (100 მლ) სუსპენზია | 567 |
| ლოტი 6 | ეფავირენზი (EFV) | 200 მგ, აბი | 129780 |
| ლოტი 7 | აბაკავირი (ABC) | 20 მგ/მლ (240 მლ) სიროპი | 16 |
| | აბაკავირი (ABC) | 300 მგ, აბი | 11460 |
| ლოტი 8 | ტენოფოვირი (TDF) | 300 მგ, აბი | 6330 |
| ლოტი 9 | დიდანოზინი (ddI) | 25 მგ, აბი | 1920 |
| ლოტი 10 | დიდანოზინი (ddI) | 50 მგ, აბი | 2160 |
| | დიდანოზინი (ddI) | 100 მგ, აბი | 48720 |
| ლოტი 11 | ლოპინავირ /რიტონავირი (LPV/R) | 200მგ/50მგ, აბი | 19080 |
| | ლოპინავირ/რიტონავირი (LPV/R) | 80 მგ/20მგ, აბი (160 მლ) სუსპენზია | 34 |
| ლოტი 12 | საქვინავირი (SQV) | 200 მგ, აბი | 21330 |
| ლოტი 13 | რიტონავირი | 100 მგ, აბი | 8568 |
| ლოტი 14 | ცეპტრიაქსონი (ცეფტრიაქსონ სოდიუმი) | 1 გრ., ფლაკონი, N1 | 40 |
| | ცეფოპერაზოლი | 1 გრ., ფლაკონი | 100 |
| | დოქსიციკლინი | 100 მგ, კაფსულა | 100 |
| | ბენზატინ ბენზილპენიცილინი | 2,4 მლნ. სე. ფლაკონი | 250 |
| | ნიმორაზოლი | 500 მგ, აბი | 150 |
| | ფლუკონაზოლი | 150 მგ, აბი | 400 |
| | ჯოზამიცინი | 500 მგ, აბი | 70 |
| ლოტი 15 | "მეტადონის ჰიდროქლორიდი" | 0,1%-იანი დასალევი სითხე (სიროფი), 1 ლიტრიან ბოთლში | 1300ლ |
| | | 0,5%-იანი დასალევი სითხე (სიროფი), 1 ლიტრიან ბოთლში | 560ლ |
| ლოტი 16 | ქინინი | 15 მგ, აბი, N1000 | 100 |

4. მიწოდების ვადა და პირობები: მედიკამენტების მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის 15 მაისიდან 2006 წლის 15 ოქტომბრამდე. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, ქ.თბილისში, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე;

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლიარად უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 10 მაისის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 12 მაისის 17:00 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრნენ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაცის შესახებ;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

6.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის

ა) იურიდიული და ფიზიკური პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონლი ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელს სახელი და გვარი);

ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელების ანალოგიური მიწოდების შესახებ;

7. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის (არსებობის შემთხვევაში).

8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მათ შორის: ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი), ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ (არარეზიდენტი პირი) საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ (საბანკო ანგარიშზე: მიმღები სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (საიდენტიფიკაციო კოდი 211327580), "საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი" (ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშის ნომერი ლარებში: 36089810205272040003 (005606074); დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, 2006 წლის 11 მაისის 12:00 საათამდე), მისამართზე ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23ა, II კორპუსი, V სართული.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ თითოეული ლოტის მიხედვით მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა ცალკეული ლოტის მიხედვით.

11. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, საბანკო გარანტიის სახით.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: დავით აბდუშელიშვილი, აკაკი ლოჩოშვილი. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი", მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23ა, II კორპუსი, ტელ.: (995 32) 388-210, (995 32) 388-220, ფაქსი: (995 32) 331-939, E-mail: globalfund@caucasus.net

რაგბი

# ახალი "ბორჯღალოსნები"



*დათო გოცაძემ და ახალგაზრდა მორაგბეებმა ფესტივალის პერიპეტიები გაგვაცნეს.*

*ერთდროულად ამდენი სტუმარი რედაქციაში არ გვყოლია. შემოვიდნენ თუ არა, ისე ახმაურდნენ, რედაქციის თანამშრომლები დაზაფრულები ჩამოდიოდნენ - რა ხდებაო? სტუმარი 17 წლამდე მორაგბეთა ნაკრები გახლდათ. ამ ცოტა ხნის წინ ინგლისში, მორაგბეთა ფესტივალზე იყვნენ. მათ ინგლისურ ვოიაჟზე თავის დროზე ვწერდით კიდეც, მაგრამ ისე, შორიდან ყურმოკრულ ამბებზე დაყრდნობით. გუშინ კი მათთან გასაუბრების საშუალება გვქონდა.*

გიგა გურასაშვილი

მილფილდის 17 წლამდე მორაგბეთა ფესტივალზე, რომელიც რანგით A კატეგორიის ტურნირს უტოლდება, საქართველოს ნაკრები, ისევე როგორც კანადისა და რუმინეთის გუნდები, ორგანიზატორებმა, როგორც პერსპექტული ქვეყნები, ისე მიიწვიეს. პერსპექტიულ ქვეყნებს კი მეტოქეობა უნდა გაეწიათ ისეთი გუნდებისთვის, რომლებიც ამინდს ქმნიან რაგბის სამყაროში. მიხვდებოდით: საუბარია ინგლისზე, შოტლანდიაზე, უელსზე, საფრანგეთზე...

ასე რომ, საქართველოს ნაკრებისთვის ბობოლათა მარაქაში გარევა თავისთავად დიდი მოვლენაა. მით უმეტეს, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებმა მიიწვიეს.

ინგლისში გამგზავრებამდე ქართველ მორაგბეთა პროგრამა მინიმუმი ერთი მატჩის მოგება გახლდათ, რომელიც შესრულდა კიდეც. იმის ილუზია, რომ ჯგუფის ორ ფავორიტს - ინგლისსა და შოტლანდიას დაამარცხებდნენ, მართალია, არც ჰქონიათ, მაგრამ მოედანზე განვითარებული მოვლენებით და უცხოელ ექსპერტთა შეფასებებით თუ ვიმსჯელებთ, ურიგოდ არავისთან უთამაშიათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართველი მორაგბეები ალბიონზე სრულად სახეშეცვლილი ჩავიდნენ.

საქმე ის არის, რომ მილფილდის ფესტივალს დაემთხვა სხვადასხვა ასაკობრივი ასპარეზობები. 17 წლამდელთა ათი მოთამაშე ერთი წლით უფროსებში გადაიყვანეს. ნაკრების ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ახალი გუნდი დაეკომპლექტებინა. მთავარი მწვრთნელის დათო გოცაძის თქმით, 82 ჭაბუკიდან შეირჩა 26. აღსანიშნავია, რომ შემადგენლობაში პირველად მოხვდა 9 არათბილისელი, ხოლო 26-კაციანი გუნდიდან მხოლოდ ექვს ჰქონდა საერთაშორისო სარბიელზე ასპარეზობის გამოცდილება!

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრები მილფილდში გაემგზავრა და მეორე დღესვე ინგლისის B ნაკრებთან მოუხდა შეხვედრა, ამასთან, ცენტრალურ მინდორზე. ბევრისთვის მოულოდნელად, ქართველებმა პირველივე ტაიმში მოიპოვეს უპირატესობა, რაც მეორე ტაიმის დასაწყისშიც გაგრძელებულა...

დებულების მიხედვით, მინდორზე გუნდის ყველა მოთამაშე უნდა გასულიყო. მეორე ტაიმში, მას შემდეგ, რაც ქართველებმა მეტოქე საგრძნობლად შეავიწროვეს, ინგლისელები ფიზიკურად ძლიერი მორაგბეებით შეეცადნენ ფონს გასვლას. ბუნებრივია, ტაქტიკამ შედეგი გამოიღო - საქართველოს ნაკრები დამარცხდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ფესტივალზე საქართველოს ნაკრები ყველაზე მსუბუქი გუნდით წარდგა. მიუხედავად ამისა, ინგლისელებთან მეორე ეშელონის გუნდისგან ასეთ თამაშს არავინ ელოდა.

მეორე მატჩში შოტლანდიელებთან საქართველოს ნაკრები კიდევ სახეშეცვლილი გავიდა. გადაეწყო მთელი სათამაშო სისტემა. თან, პირველივე წუთზე ჩვენი მეცხრე ნომერი ათი წუთით გააძევეს. ეს მატჩიც წავაგეთ.

ალბიონელებთან მარცხის შემდეგ პროგრამა მინიმუმის განხორციელების დრო დადგა - რუმინეთთან აუცილებელი გამარჯვება.

გეგმის მიხედვით, ქართველ 17 წლამდელებს რუმინელებთან თავიდანვე უნდა მოეპოვებინათ უპირატესობა, მაგრამ "ბორჯღალოსნები" დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მეტოქე დაწინაურდა. მერე ვითარება ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა. ქართველები უკეთ ათამაშდნენ, უპირატესობა მოიპოვეს და მატჩიც მოიგეს - 25:17.

რუმინეთთან შეხვედრა საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ ანგარიში თამაშის ხარისხს არ გამოხატავს. პირველ ორ მატჩში ქართველებმა გამართული, ორგანიზებული, თანამედროვე ინტელექტუალური რაგბი ითამაშეს, მაგრამ მეტოქეთა ფიზიკურმა სიძლიერემ დაგვჯაბნა.

"მეტოქეებს აშკარად ეტყობოდათ, რომ "ტრენაჟორებზე" ვარჯიშობდნენ, - ამბობს დათო გოცაძე, - იმისთვის, რომ მომავალში ასე აღარ დაგვემართოს, მათი სავარჯიშო მეთოდის დანერგვაა საჭირო. იმის თქმა არ მინდა, რომ სხვა ყველაფერში მათზე ძლიერები ვიყავით. უბრალოდ, დარბაზში ვარჯიშით ფიზიკური კონდიციების ამაღლება ძალზე მნიშვნელოვანია".

ფესტივალის სტუმრებს თან არ ჰქონიათ ეროვნული ჰიმნის ჩანაწერი. ქართველებმა, გარდა იმისა, რომ ჰიმნი დააგუგუნეს, შეჯიბრების წინ მუხლმოყრილებმა "მამაო ჩვენოც" წარმოთქვეს. ქართველთა ასეთ ჟესტს ფესტივალის მასპინძელთა მოწონება დაუმსახურებია - იქნებ ქართული "ჰაკა" კიდევ შეასრულოთო.

საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრების ორი მარცხისა და ერთი მოგების მიუხედავად (სხვათა შორის, ვერც ერთმა ნაკრებმა ვერ შეძლო სამივე მატჩის მოგება.- რედ.), "ბორჯღალოსნებს" პროგრესული გუნდისთვის მედლები გადასცეს, ხოლო მათი დამრიგებელი დათო გოცაძე საუკეთესო მწვრთნელის სტატუსით დააჯილდოვეს.

ფესტივალის საუკეთესო მწვრთნელს გვერდში ედგა მეორე მწვრთნელი დავით გორდულძე.

ახლა მთავარი ის არის, რომ ეს გუნდი შესანარჩუნებელია. გუნდი, რომელიც თავის ასაკში ძალზე ახლოსაა იმასთან, რომ ელიტაში აღზევდეს. ოღონდ საამისოდ 17 წლამდელთა ნაკრებს ის ბირთვი უნდა დაუბრუნდეს, რომელიც ზედა ასაკობრივ ჯგუფებში გადაიყვანეს.

გაისად 18 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატია. უნდა შემუშავდეს პროგრამა, უფრო სწორად, ეს გუნდი პრიორიტეტად უნდა გამოცხადდეს და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების კონტინენტურმა პირველობებმა მათ ხარჯზე არ ჩაიაროს.

და კიდევ, ქართველი "ბორჯღალოსნები" რაგბის კავშირისა და რაგბის ქართული ფონდის წყალობით, ალბიონზე ერთ-ერთი ყველაზე კარგად ეკიპირებული გუნდი გახლდათ.

თუ ჩვენი არ გჯერათ, ფესტივალის მასპინძლის ჯონ ბროუფუტის მიერ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის სახელზე გამოგზავნილი ელექტრონული გზავნილის შემოკლებულ ვარიანტს შემოგთავაზებთ: *"უნდა იამაყოთ, რომ ასეთი ბრწყინვალე გუნდი გყავთ. არა მარტო იმიტომ, რომ რაგბს კარგად თამაშობენ. თავისი ჟინით, ქცევით მოედანზე და მის მიღმა, მეგობრულობით მათ დაიპყრეს ყველას გული. თქვენი გუნდი ფესტივალის აღმოჩენა იყო. ბევრმა პირველად იხილა ქართველი მორაგბეები საქმეში"*.

მეკლდეურობა

# უარყოფითი სამეულები

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელოვნურკლდეებიანი დარბაზი ერთი წლით დაემშვიდობა ცნობილი მთამსვლელისა და მეკლდეურის ირაკლი გელდიაშვილის სახელობის მემორიალს. პირველი დღისგან განსხვავებით, როდესაც მეკლდეურებმა სწრაფ ცოცვაში მოსინჯეს ძალა, გუშინ, მემორიალის დასკვნით დღეს, რთულად ცოცვაში ანუ უარყოფით კედელზე, მოუხდათ გაჯიბრება. რაკი დისციპლინის სახელი თავად გვკარნახობს მის რაობას, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ უარყოფითი კედელი ყველასთვის დიდი თავსატეხია.

შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს რთულ ცოცვაში ვერც ვაჟებმა იყოჩაღეს და, მით უმეტეს, ვერც გოგონებმა. მსაჯებსაც ისღა დარჩენოდათ, სამეულები იმის მიხედვით გაენაწილებინათ, ვინც უფრო მეტი მანძილი გაიარა.

ავთანდილ ქურასბედიანმა, რომელსაც წინა დღით სწრაფ ცოცვაში მეორე შედეგი ჰქონდა, უარყოფით კედელზე ყველაზე მაღლა აცოცდა, მაგრამ ელემენტარული შეცდომის გამო მისი შედეგი გაუქმდა. პირველი ადგილი ალეკო დოლიაშვილს დარჩა.

**რთული ცოცვა**

**ვაჟები:**

1. ალეკო დოლიაშვილი
2. გიორგი კომახიძე
3. გურამ დაბრუნდაშვილი

**გოგონები:**

1. ნუცა ხუციშვილი
2. ნინო ჩარკვიანი
3. თაკო დიდებულიძე

მოკლედ

### "იუვენტუსი" ხოაკინს იწვევს

ესპანური პრესის ცნობით, ტურინის "იუვენტუსმა" წინადადებით მიმართა სევილიის "ბეტისს" გუნდის ნახევარმცველ ხოაკინის ტრანსფერის შესახებ. 24 წლის ფეხბურთელი, რომლის კონტრაქტი სევილიურ კლუბთან 2010 წლამდეა ძალაში, ფაბიო კაპელოს გუნდისთვის სერიოზული შენაძენი იქნება. ამასთან, ტურინელები აპირებენ ხოაკინისთვის 18 მილიონი გირვანქა სტერლინგი გაიღონ. ამას გარდა, "იუვე" მზად არის სევილიელებს ორი ფეხბურთელიც დაუთმოს - მარსელო ზალაიეტა და მაურო კამორანეზი.

### ბოატენგს "მიდლსბროსი" სჯერა

უეფას თასის გათამაშების მერვედფინალსა და მეოთხედფინალში "მიდლსბრო" პირველი მატჩების შემდეგ "რომასა" და "ბაზელთან" აგებდა, მაგრამ მომდევნო ეტაპზე მაინც გავიდა. ამის გამო ინგლისელთა ნახევარმცველი ჯორჯ ბოატენგი დარწმუნებულია, რომ მისი კლუბი, რომელმაც რუმინეთის "სტიაუასთან" - 0:1 წააგო, ამჯერადაც მოახერხებს ორი მატჩის ჯამში გამარჯვებას და ფინალში გასვლას. "ჩვენ ამ ტურნირზე უფრო რთულ სიტუაციებშიც ვყოფილვართ, მაგრამ მომდევნო ეტაპზე მაინც გავდიოდით. მე არ ვამტკიცებ, რომ იოლი იქნება, მაგრამ განმეორებითი მატჩისთვის უფრო მობილიზებულნი ვიქნებით", - განაცხადა ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელმა.

### "რეინჯერსის" კაპიტანი ვერ ითამაშებს

"გლაზგო რეინჯერსის" კაპიტანი ბარი ფერგიუსონი ვერ ითამაშებს შოტლანდიის ჩემპიონატის მატჩს "სელტიკის" წინააღმდეგ. 28 წლის ფეხბურთელს ბოლო დროს გუნდთან ერთად არ უვარჯიშია. სეზონის ბოლოს კი მას ტრავმირებულ ტერფზე ოპერაციას გაუკეთებენ.

### ლეკო "მონაკოში" ითამაშებს

ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველი იერკო ლეკო მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კიევის "დინამოში" აღარ დაბრუნდება და ახალ სეზონში "მონაკოს" ღირსებას დაიცავს. ორი კლუბის ხელმძღვანელობა ერთმანეთს შეხვდა და მოლაპარაკებით კმაყოფილი დარჩა. ლეკო თავის ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

### "ჩელსიში" ერთადერთი პორტუგალიელი დარჩება

ლონდონის "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ არ აპირებს ხელი შეუშალოს თავის თანამემამულეს, ცენტრალურ მცველ რიკარდო კარვალიოს, თუ ის მადრიდის "რეალში" გადავა. კლუბს აგრეთვე დატოვებს მოსკოვის "დინამოდან" იჯარით აყვანილი მანიშე. ლონდონელები არ აპირებენ ფეხბურთელში ხუთი მილიონი ევრო გადაიხადონ, რადგან მიაჩნიათ, რომ პორტუგალიელი გუნდს არ გამოადგება. ამრიგად, ზაფხულში "ჩელსის" პორტუგალიური კოლონა ორ წარმომადგენლამდე შეთხელდება. გუნდში დარჩებიან ჟოზე მოურინიო და მცველი პაულუ ფერეირა.

### რუშფელდტი "ტრომსოში" დაბრუნდა

ნორვეგიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი სიგურდ რუშფელდტი ვენის "აუსტრიაში" გატარებული ხუთი სეზონის შემდეგ მშობლიურ "ტრომსოს" დაუბრუნდა. 33 წლის ფეხბურთელმა, რომელიც თავის დროზე "რუსენბორგისა" და სანტანდერის "რასინგის" ღირსებას იცავდა, "ტრომსოსთან" 2008 წლამდე გააფორმა კონტრაქტი. რუშფელდტი თავის ახალ კლუბს ივნისიდან შეუერთდება, როცა "აუსტრიასთან" მისი მოქმედი კონტრაქტი ამოიწურება.

### "დუისბურგის" მცველი დაიმტვრა

"დუისბურგის" 26 წლის მცველს ნეკატ აიგიუნმა მტკივან მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს და, როგორც ჩანს, სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ "დუისბურგს", რომელიც ამჟამად ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა, ოთხი მატჩი დარჩა სათამაშო.

### "შტუტგარტი" ლიუბოის შეისყიდის

გერმანული "შტუტგარტი" აპირებს საფრანგეთის პსჟ-დან შეისყიდოს სერბი ფორვარდი დანიელ ლიუბოი, რომელიც გერმანულ კლუბში იჯარის წესით თამაშობს. "ჩვენ მისი თამაშით ძალიან კმაყოფილნი ვართ. თვითონ დანიელი კი ამბობს, რომ ჩვენთან დარჩენა სურს", - განაცხადა "შტუტგარტის" გენერალურმა მენეჯერმა ჰორსტ ჰელდტმა. ფრანგები ფორვარდს 2 მილიონ ევროდ აფასებენ.

### ლიპიმ ინძაგი გერმანიაში უნდა წაიყვანოს

"მილანის" ნახევარმცველი კაკა მიიჩნევს, რომ მარჩელო ლიპი უბრალოდ ვალდებულია იტალიის ეროვნულ ნაკრებში მიიწვიოს ფილიპო ინძაგი. "მილანის" ფორვარდს იტალიის ნაკრებში მას შემდეგ აღარ უთამაშია, რაც ნაკრებს მარჩელო ლიპი ჩაუდგა სათავეში, ანუ 2004 წლის შემდეგ.

"მწამს, რომ ლიპი ინძაგის უყურადღებოდ არ დატოვებს. ის ისეთი ფეხბურთელია, რომელიც ფეხბურთისგან მუდმივად სიამოვნებას იღებს, - შენიშნა ბრაზილიელმა, - ის ყოველი ბურთისთვის საფინალო სასტვენამდე იბრძოლებს. ეს ის ფეხბურთელია, რომელიც არც ერთ გუნდში არ დაიკარგება".

### "ბარსასთან" ამჯერად უკეთ ვითამაშებთ

იტალიელ ჟურნალისტებთან საუბრაში ფილიპო ინძაგიმ განაცხადა, რომ სურს ითამაშოს იტალიის ჩემპიონატის მატჩი "მესინას" წინააღმდეგ და შემდეგ "ნოუ-კამპზე" "ბარსელონასაც" გაეჯიბროს. "მე სურდო ბოლომდე მოვირჩინე და პირველ ვარჯიშშიც მივიღე მონაწილეობა. ვითამაშებ თუ არა "მესინას" წინააღმდეგ, ამას ექიმები გადაწყვეტენ. მე ხომ მთელი კვირა ლოგინში ვიწექი", - აღნიშნა ფორვარდმა, - ჩვენ მოუთმენლად ველით "ბარსელონასთან" განმეორებით შეხვედრას. იმედი მაქვს, ვითამაშებ. გულდასაწყვეტი იყო სამშაბათს გამართული მატჩის ყურება. მე გუნდს ვერ დავეხმარე. რას ვიტყვი ჯილარდინოს თამაშზე? ფეხბურთელებს შეცდომებით განიკითხავენ. ალბერტომ კი კარგი მატჩი ჩაატარა. დარწმუნებული ვარ, განმეორებით შეხვედრაში უკეთ ვითამაშებთ და იმაზე მეტსაც ვაჩვენებთ, ვიდრე შეგვიძლია".

### სოლარი მადრიდში დაბრუნებას აპირებს

სანტიაგო სოლარი, რომელმაც წლევანდელი სეზონი მილანის" ინტერში" გაატარა, ესპანეთში დაბრუნებას აპირებს. არგენტინელი მილანურ კლუბში მადრიდის "რეალიდან" შარშან აგვისტოში გადავიდა, მაგრამ თავი ვერ გამოიჩინა. უფრო სარწმუნოა მისი "ატლეტიკოში" გადასვლის ვარიანტი. ესპანელები დიდი ხანია ეძებენ ამანტინო მანსინის შემცვლელს (მანსინი "რომაში" გადავიდა). სოლარის კონტრაქტი "ინტერთან" 2008 წლამდე გაგრძელდება. ამ შეთანხმების მიხედვით ის წელიწადში 1,4 მილიონ გირვანქა სტერლინგს გამოიმუშავებს.

### კრეიგ პატრიკმა "პიტსბურგი" დატოვა

კრეიგ პატრიკმა, რომელიც 17 წლის განმავლობაში მუშაობდა "პიტსბურგ პინგვინზის" გენერალური მენეჯერის პოსტზე, კლუბი დატოვა. მისი კონტრაქტი პირველ ივნისს იწურება და ის არ განახლდება. ამის შესახებ ინფორმაცია "პინგვინების" აღმასრულებელმა დირექტორმა კენ სოიერკაკმა გაავრცელა. "ჩვენ მადლობელნი ვართ კრეიგის იმისთვის, რაც მან 17 წლის განმავლობაში გააკეთა. მადლობას ვუხდით მას სტენლის თასის ორჯერ მოგებისთვის, მაგრამ დირექტორთა საბჭო მიიჩნევს, რომ ცვლილებების დრო მოვიდა", - განაცხადა სოიერმა.

24 საათი — BRITISH AIRWAYS

**შეავსე "British Airways" - ის კითხვარი სწორად და მოიგე სასტუმრო შერატონ მეტეხის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტი**

ვიქტორინისთვის საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ მოძებნოთ British Airways -ის ვებ გვერდზე www.ba.com.

1. British Airways - ის მგზავრებს შეუძლიათ ელექტრონული ბილეთები ინტერნეტის საშუალებით დაჯავშნონ და შეიძინონ.

კი — არა

2. British Airways - ის საიტის www.ba.com -ის მომსახურების "Manage my Booking"- ის დახმარებით მგზავრებს ბორტზე სასურველი ადგილის დაჯავშნა შეუძლიათ.

კი — არა

3. თუ მგზავრმა ელექტრონული ბილეთი დაკარგა, მას შესაძლებლობა აქვს შევიდეს "British Airways"- ის ვებ გვერდზე და ნებისმიერ დროს ამობეჭდოს იგი.

კი — არა

4. British Airways - ის გრძელ მარშრუტებზე მიმავალ მგზავრებს, რომლებიც Executive Club"ის ოქროს ბარათის მფლობელები არიან, შეუძლიათ ჰითროუს აეროპორტში Molton Brown"ის სარელაქსაციო მომსახურებით ისარგებლონ.

კი — არა

სახელი:
გვარი:
E-mail:
ტელეფონი
მობილური

პასუხები გამოაგზავნეთ გაზეთ "24 საათი"-ის მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. N51. ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: maia.chitaia@actionprgroup.com. პასუხების მიღების ბოლო ვადაა 28 აპრილი.

გამარჯვებული გამოცხადდება გაზეთ "24 საათი" - ის 2006 წლის 1 მაისის ნომერში.

გამარჯვებული დასაჩუქრდება სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის საცურაო აუზის ერთთვიანი აბონემენტით.

British Airways - ისა და 24 საათის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.



www.interes.ge

**სიახლე ინტერნეტის მომხმარებლებისათვის!!!**

**გაიხსნა ახალი ქართულენოვანი საძიებო სისტემა. გვესტუმრეთ და მიიღეთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია**

ვებ კატალოგი, ახალი ამბები, ინტერნეტ რადიო, ინტერნეტ TV, გურმანი, sms-ების უფასო გაგზავნა, ონლაინ თამაშები, Chat, უფასო პროგრამები, მისალოცი ბარათების გაგზავნა და სხვ.

**ცენტრ პოინტ ჯგუფი**

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე. სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში. განვადება უპროცენტოა. მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

შაბათ-კვირა
22-23 მარტი, 2006



**ფოტო რეპორტაჟი**

ჭეშმა-
რიტება
ღვინოშია

2

**შაბათის სტუმარი**

შევხედოთ
საზოგადოებას
პირდაპირ...



3

**გულახდილად**

ყველაფერი
ყვითელი
ჯიხურის ბრალია!



5

**ინტერიერი**



11



## მთავარია, ვაშენოთ სამართალი

და გვქონდეს განცდა, რომ სანთელ-საკმეველი
თავის გზას არ დაკარგავს

7-10

# ჭეშმარიტება ღვინოშია

იუსტინა მელნიკევიჩის ფოტოები





კომპანია SHUMI.
სარდაფი, სადაც ღვინო მუხის კასრებში ისხმება.



კომპანია თელიანი ველი. ქარხნის ლაბორატორია.



ქეიფი მარანში.

**ნესტან ნიჟარაძე**

ჯერ უცნობია, დროებით თუ სამუდამოდ, მაგრამ რუსულმა ბაზარმა ქართულ ღვინოზე უარი უკვე თქვა. ქართულმა მხარემ მომხდარი პოლიტიკურ ანგარიშსწორებად შეაფასა. რუსულმა მხარემ კი, იგივე ფაქტი საკუთარი ბაზრის დიდ რაოდენობით ფალსიფიცირებული, უხარისხო ქართული ღვინისგან გაწმენდის კეთილშობილური სურვილით ახსნა. საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ გატარებული ამ მკაცრი ეკონომიკური სანქციის ერთმნიშვნელოვნად შეფასება, ალბათ, შეუძლებელია. თუმცა ცხადია, რომ მომხდარმა მნიშვნელოვნად შეარყია ქართული ღვინის პრესტიჟი, შელახა ეროვნული თავმოყვარეობა და ღვინის მწარმოებელი კომპანიების დიდი ნაწილის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყანა. უპრეტენზიო და ძალიან ერთგული რუსი მომხმარებლის გარეშე არსებობის პერსპექტივა მეღვინეობის კულტურის ერთერთ სამშობლოდ აღიარებული საქართველოსთვის და მისი ეკონომიკის განვითარებისთვის შოკის ტოლფასი აღმოჩნდა. და ვიდრე რუსი მომხმარებელი ხვანჭკარის და ქინძმარაულის სხვა ქვეყნის ღვინით ჩანაცვლებას ცდილობს, ქართული ღვინის კომპანიები ღვინის წარმოებას განაგრძობენ. მსოფლიოსთვის საკუთარი მეღვინეობის ხანგრძლივი და საამაყო ისტორიის შეხსენებით, რუსეთზე განაწყენებული საქართველო ახალი, მძლავრი ბაზრის ძიების გზას დაადგა. ჭეშმარიტებას კი ძიება არ სჭირდება. იგი ღვინოშია -ქართულშიც და არაქართულშიც.



კომპანია თელიანი ველი.
მუშები ღვინის შესანახ ოთახს ასუფთავებენ.



კომპანია GWS. ჭაჭის წარმოება.



თელავის ღვინის მარანი.
ღვინის გადატანა ფრანგული წარმოების მუხის კასრებში.





# ნოდარ ლადარია: შევხედოთ საზოგადოებას პირდაპირ...

## სად არის ენა, რომლითაც მოვიდა ეს ხელისუფლება?!

მაია ჟალაგანიძე

### ლადარია ვნების კვირაზე

ეს ამოუწურავი თემაა. არც კი ვიცი, რომელი მხრიდან შეიძლება საუბარი... მართმადიდებელი ეკლესია, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის აღდგომაცენტრული. აღმოსავლური ქრისტიანობისთვის მთავარი დღესასწაული აღდგომაა, დასავლეთში უფრო - შობა. რთულია იმაზე პასუხის გაცემა, თუ რატომ მოხდა ასე.

სინამდვილეში აღდგომა ქრისტრიანობის პირველი დღესასწაულია და ყველაზე ძლიერია. შობა - როგორც მისი ქრონოლოგიური დადგენა, ასევე მისი აღნიშვნის დაწყება - აღდგომასთან შედარებით გაცილებით გვიანდელია. ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის მთავარი სადღესასწაულო დღე არის კვირა, რაც ბერძნულად უფლის დღეს ნიშნავს. ასევე ლათინურად "დომენიკა", რუსულად - воскресение - ეს ქრისტეს აღდგომის ზეიმი და გახსენებაა. ყოველ კვირა დღეს ქრისტიანები აღდგომას იხსენებენ. შესაბამისად, პირველი ქრისტიანული დღესასწაული არის აღდგომა.

რატომ არის ასე? ეს ძალიან მარტივია - რას ეუბნება ქრისტიანობა ადამიანს? მთავარი ქრისტიანული უწყება, ანუ როგორც ახლა ამბობენ, მთავარი მესიჯი, ორი სიტყვაა - ქრისტე აღდგა. ეს არის ჩვენი სარწმუნოების მთავარი შინაარსი. პავლე მოციქული ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში ამბობს: თუ მე არ მწამს მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე, მაშინ ყველაფერი, რაც ამას მოყვება და რაც ჩვენ შეიძლება ვირწმუნოთ - არის უაზრობა.

სახარება, მონათხრობი ქრისტეს ცხოვრებაზე, სარწმუნოების შინაარსს გადმოგვცემს. ყველაზე ძველი მოთხრობა იყო იმაზე, რომ ქრისტე აღდგა - როგორ ავიდა ჯვარზე, როგორ ჩამოხსნეს ჯვრიდან, დამარხეს, მერე მივიდნენ და საფლავი ცარიელი დახვდათ - ყველაფერი ეს არის მთავარი. დანარჩენი კი ამაზეა მიბმული. რომ დავაკვირდეთ ქრისტიანული ტექსტის შექმნას, აღმოვაჩენთ, რომ ყველაფერი აღდგომიდან იწყება - ესაა მთავარი ნუგეში ჩვენი. მთავარი ნუგეში არის ის, რომ ქრისტე აღდგა. რომ დაიბადა - ეს დანარჩენია.

ისტორიულად შობის თარიღი ასე დაადგინეს - ქრისტე ჯვარზე ებრაული პასექის დროს გარდაიცვალა, ეს იყო 25 მარტი. სრულყოფილების მოთხოვნა იყო, რომ მაცხოვარს დედამიწაზე ზუსტად 33 წელი უნდა დაეყო. გადათვალეს, რომ 25 მარტს ასევე უნდა მომხდარიყო მისი განკაცება, ანუ ჩასახვა. აქედან გამომდინარე, 25 დეკემბერი მისი დაბადების დღე გამოდის - ყველაფერი ისევ აღდგომიდან ითვლება და არა მისი დაბადებიდან.

რომელიმე წმინდანის გარდაცვალება ყოველთვის უფრო დიდი დღესასწაულია, ვიდრე დაბადება. მაგალითად, ორი გიორგობიდან გარდაცვალება უფრო მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, შუა საუკუნეების მოღვაწეების გარდაცვალებაზე უფრო მეტი ვიცით, ვიდრე დაბადებაზე. სიკვდილის დღე მნიშვნელოვანია. სოკრატე ამბობდა, ფილოსოფია სიკვდილის ხელოვნებააო. ადამიანი ამისთვის ემზადება, სიკვდილია მისი მიზანი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გარდაუვალია და მეორეც - წერტილს უსვამს.

ქრისტიანობა გეუბნება, რომ ქრისტე აღდგა მკვდრეთით და შენც აღდგებიო. ამ კვირას ვნების კვირა ჰქვია. იგულისხმება საიდუმლო სერობა, მაცხოვრის ლოცვა გეთსიმანიაში, შემდეგ მისი დაპატიმრება, გვემა, ჯვარზე ასვლა, სიკვდილი, ჯოჯოხეთში ჩასვლა და შემდეგ მკვდრეთით აღდგომა. აღდგომა მთელ ამ ხორციელ საშინელებას გადაფარავს. ეკლესიაში ამ დროს ძალიან ინტენსიური ლოცვაა, ყოველი ქრისტიანი გადის ამ გზას და ბოლოს, კვირას, წირვაზე, ღამისთევის დროს მთელი ეკლესიის საოცარი ძახილი - სიკვდილო, სად არის შენი ნესტარი?! ჯოჯოხეთო, სად არის შენი ძალა?! ის აღარ არის, იმიტომ, რომ ქრისტე აღდგა. მთელი ეს ლოცვითი დაძაბულობა, დაღლილობა მწვერვალს აღწევს და ერთბაშად გაცამტვერდება, ფიზიკურადაც აღარ გრძნობ დაღლილობას.

### ეკლესიაზე

რატომღაც განსაკუთრებით მიყვარს ეკლესია მაშინ, როდესაც სახლის გარეთ, შორს, სხვა ქვეყანაში ვიმყოფები. იტალიაში, რუმინულ და ბერძნულ ეკლესიებში რომ მივდივარ, ასე მგონია, რომ შინ ვარ. ეს ბუნებრივია... ჩემი ორშაბათის ტექსტებიდან ისე გამოდის, რომ რუსული ეკლესიის მტერი ვარ, სულ ამას ვაკრიტიკებ...

**- ასე ამბობენ, რომ ქართულისაც მტერი ხარ...**

- ეს ღმერთმა შეუნდოთ, ამაში არ ვერევი. ძალიან წინააღმდეგი ვარ რუსული გავლენისა საქართველოში, ეკლესიური იქნება ეს თუ პოლიტიკური. მაგრამ, ძალიან მიყვარს პატარა რუსულ ეკლესიებში შესვლა და მღვდელთან ლაპარაკი. იქ უცებ გრძნობ თავს ისეთ გარემოში, რომელიც წიგნში წამიკითხავს. იქ მღვდელი გელაპარაკება, როგორც მღვდელი და არა როგორც ყოფილი ძველი ბიჭი, რომელზეც გაიფიქრებ - რატომ აცვია ამას ანაფორა და რატომ არ არის სადმე ეზოში ჩაცუცქულიო... იქ სამღვდელოება ლაპარაკობს ისე, როგორც სამღვდელოებას შეეფერება. ვყოფილვარ რუსეთის მონასტრებში, სადაც შემოგთავაზებენ იქვე გამზადებულ სამონასტრო მურაბას, თაფლს... მახსოვს ღამისთევის ლოცვები რომის რუსულ ეკლესიაში. ეს იმით დამამახსოვრდა, რომ უცბად, ამ უცხო გარემოში ერთად აღმოჩნდა ამდენი შენიანი ადამიანი. იქ იყო პარიზიდან ჩამოსული მამა ვიტალი, რომელსაც სულ არ ეტყობოდა, რომ პარიზიდან ჩამოსული იყო. ქართულად რომ ვთქვა, საწყალი და სათნო ადამიანი იყო. მან წირვა ჩაატარა მარადიულ ქალაქში და იყო მაცნე ამ აღდგომისა.

ეს ყველაფერი თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყველას, ვინც ეკლესიას შეხებია, ამგვარი კონკრეტული მოგონებები აქვს.

### და დანარჩენზე

**- დავუბრუნდეთ ჩვენს ცოდვილ საქმიანობას... პრესომბუდსმენობის სამი წლის განმავლობაში, ბევრი რამ დადებითი ითქვა შენზე, მაგრამ უფრო მეტი, ალბათ, უარყოფითი. ამას გრძნობ? ერთი რამ ამ ჯგუფებს მაინც აერთიანებს - დამოკიდებულების მიუხედავად, შენს წერილებს კითხულობენ.**

- მაინცდამაინც არ ვგრძნობ, რომ ვიღაცას არ ვუყვარვარ. უფრო სწორად, ამას ძალიან კონკრეტულად ვგრძნობ და ვიღაცასთან არის ხოლმე დაკავშირებული. ჩემი სუბიექტური შეგრძნებით ვფიქრობ, რომ ადამიანების უმეტესობას მოსწონს, რასაც ვაკეთებ. ჩემთვის უსიამოვნო ფაქტები ყოველთვის იბეჭდება გაზეთში და ამის წინააღმდეგი არ ვარ. ამავე დროს, ჯერ არ ყოფილა ისე, რომ ჩემგან გაღიზიანებულ ადამიანს ჩემზე დიდი გავლენა მოეხდინა.

**- როგორც გაზეთში წერენ ხოლმე - მოდი, გავიხსენოთ რომელიმე კონკრეტული შემთხვევა...**

- მოდი. ეს არის ჩვენი ყოფილი თანამშრომელი მადი სერებრიაკოვა. ყოველთვის ვამობ ამას - მე ვუპირისპირდები ტექსტებს და არა ადამიანებს.

**- მაგრამ, ზოგჯერ პირადი შეურაცხყოფა იგრძნობა ხოლმე.**

- კი, როგორ არა, თუ ამას მოითხოვს სიტყვა და ზოგჯერ მოითხოვს ხოლმე. სიტყვა შეხებასავითაა - რიტორიკის წესები თუ მოითხოვს, ვემორჩილები. ხშირად ამას ვერევი, ხშირად კი სული წამძლევს ხოლმე. სხვათა შორის, ტექსტმა თუ არ წაგლეკა, მწერალს ვერ დაირქმევ. თუ მთლიანად იმორჩილებ იმას, რასაც წერ, ესე იგი, არ ვარგიხარ. ვარგიხარ მაშინ, როდესაც ტექსტი შენზე მეტს აკეთებს. ასე რომ, ვუპირისპირდები ტექსტებს და არა ადამიანებს. ბოლოს და ბოლოს, ჩემი ყოველგვარი ჩარევის გარეშე მადი მიხვდა ამას და დღეს მასთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს.

**- მიხვდა და წერას თავი დაანება?**

- არა. ერთ ხანს იყო გაურკვევლობა. მერე ერთხელ დავსხედით და ვილაპარაკეთ... ასე მოხდა დათო ტურაშვილთანაც, დათო ქართველიშვილთანაც... ეს ადამიანები მეორე-მესამე დღეს სრულიად ნორმალურად მხვდებოდნენ.

**- ამბობ, რომ შენზე მაინცდამაინც არ მოქმედებს უარყოფითი დამოკიდებულება, მაგრამ მკითხველის ეს უარყოფითი განწყობა გაზეთზეც გადავიდა, რამდენიმე ავტორი დავკარგეთ კიდეც. გარდა ამისა, არც ერთი ჩვენი ჟურნალისტი არ დარჩენილა შენი კრიტიკის მიღმა. როგორ გგონია, რა შედეგი გამოიღო პრესომბუდსმენის არსებობამ?**

- შემიძლია ვთქვა, რა მომცა ამან მე. შესაძლოა, ვიღაცასაც რაღაც მისცა, მაგრამ ეგ ჩემი სათქმელი არ არის. ერთი მხრივ, საკუთარი თავი შემიძლია შევადარო ისეთ ცხოველს, რომელიც ლეშით იკვებება. ადამიანი, რომელიც ქმნის რაღაცას, ამ შემთხვევაში ტექსტს - დაუცველია, შიშვლდება. ამისგან თავისუფალი არავინ არის და შესაბამისად, არც მე. ბოლოს და ბოლოს, ერთ რამეს მივხვდი - თუ არ არის რაღაც ფორსმაჟორული შემთხვევა და არ დაიბეჭდება რაღაც სასწაული, ადამიანს უნდა ჰქონდეს სისუსტის უფლება. ამას რომ შენ ამჩნევ და თავად ვერა, ეს შენი უპირატესობა არ არის. ამიტომაც ყურადღება უფრო მეტად ჩვენს გარემომცველ სინამდვილეზე გადავიტანე, ვიდრე იმაზე, თუ როგორ აშუქებენ ამ სინამდვილეს ჩვენი ჟურნალისტები. არ შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო ის, რითიც დავიწყე, ეს ერთ დღეს უნდა დამთავრებულიყო. დამთავრდა კიდეც და მიმაჩნია, რომ ყველასთვის კარგად.

**- როცა ამ საქმიანობას იწყებდი, თქვი, გაზეთებს არ ვკითხულობ, არ მაინტერესებსო. ახლა? შეიყვარე გაზეთები?**

- ვერა, ვერ შევიყვარე. ვკითხულობ, მაგრამ მხოლოდ "24 საათს". შაბათს ვწერ ხოლმე ჩემს სტატიას და როგორც კი დავამთავრებ, ვივიწყებ ხოლმე. ქართულ პრესას აკლია ანალიზი, ანალიტიკური მიდგომა. ამიტომ გაზეთები ჩემთვის საინტერესო არ არის.

**- ანალიტიკოსები აკლია პრესასაც და საზოგადოებასაც.**

- კი, გეთანხმები. სინამდვილეზე წარმოდგენას მაძლევს ტელევიზია, რომელსაც ყოველ დღე არც ვუყურებ. ამიტომ, გაზეთის წაკითხვა ზედმეტ შრომად მიმაჩნია.

**- ამ სამი წლის განმავლობაში შეიცვალე?**

- ორჯერ.

**- ლადარია რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ?**

- სხვათა შორის, კი. ოღონდ, ერთი მომენტია. პირველი ცვლილება მაშინ მოხდა, როდესაც არა მხოლოდ კულტურის, არამედ პოლიტიკის ბლოკის მიმოხილვაზეც გადავედი. როგორც ყველა ნორმალური, კეთილი ნების ადამიანი, შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩავერთე, ეს იყო პირველი ცვლილება.

შევარდნაძის რეჟიმის დროს იყო ასეთი შტამპი, როგორიც საბჭოთა ფილმებშია - ომის დროს ვიცოდი, ვინ იყო მტერი... იქ მართლაც შინაგანად იყო გასაგები, ვინ იყო ცუდი და ვინ - არა.

მეორე ცვლილება ოდნავ უფრო წინ მოხდა... ნოემბერი იყო გარდამტეხი, როცა ხალხი პარლამენტის წინ გამოვიდა. მივხვდი, რომ საჭიროა თვალყური ვადევნო არა მომხდარ მოვლენებს, არამედ, საზოგადოებაში გამოყენებულ ენებს. საზოგადოებაში მრავალი ენა გამოიყენება, მაგალითად, ადამიანები ლაპარაკობენ - "ძირს სოროსის ლაქიები", ეს სინამდვილეში არის პაროლი, რომლითაც მსგავსი მსგავსს ცნობს. სხვა ენაზე სხვები ლაპარაკობენ. მაგალითად, არის ენა, რომელზეც მარტო ერთი ადამიანი, გიგა ბოკერია ლაპარაკობს.



# შევხედოთ საზოგადოებას პირდაპირ...




**- ამ ენას რა ქვია?**

- გიგაბოკერიული.

**- გქონდა ინტერვიუ ბოკერიასთან და არ მომეჩვენა, რომ ის მხოლოდ მისთვის ცნობილ ენაზე საუბრობდა.**

- ის ინტერვიუ, ბოლოს და ბოლოს, მე დავწერე, ვთარგმნე... იმას კი არ ვგულისხმობ, რომ ეს ენა ადამიანისთვის გაუგებარია, არა, უბრალოდ, ის გავრცელებული არ არის. არის კიდევ საააკაშვილური ენა...

**- ამ ენებს რა აქვთ საერთო?**

- რაღაც საერთო აქვთ და სწორედ ამ საერთოსა და განმასხვავებლის მოძებნა და კლასიფიკაციაა საჭირო. რა შეიძლება მათ ჰქონდეთ საერთო და რატომ არიან ერთად ეს ადამიანები? რატომ არიან უცბად ერთად ლევან ბერძენიშვილი და შალვა ნათელაშვილი? ეს არის ენებისა და გარემოებების ერთმანეთზე ზედდება და მათი ურთიერთგავლენა - აი, ეს არის ახლა საინტერესო.

**- თუ ამას მედიასივრცეში გადმოვიტანთ, არც ერთი გარემოება არ აიძულებს "24 საათს", ერთ ენაზე ილაპარაკოს უმეტეს ქართულ გაზეთთან ერთად. შენი აზრით, რატომ მიდიან ამ დათმობაზე, თუ ასეთზე მიდიან, გამოცდილი, უკომპრომისოდ ცნობილი "რესპუბლიკელი" პოლიტიკოსები?**

- ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის ჩვენი საზოგადოების ძალიან დიდი უბედურება. ძალიან დიდი განსხვავებაა რეალურ და დეკლარირებულ ინტერესებს შორის.

**- წინა ხელისუფლებებისგან განსხვავებით, ამ ხელისუფლების მიერ შეთავაზებულმა რა ახალმა გარემოებებმა "აცდუნა" ეს "ბებერი" პარტია (გადავეკიდე, მაგრამ 27 წლის გამოცდილების არც ერთი სხვა პარტია არ არის დღეს აქტიურ პოლიტიკაში)?**

- ამ კითხვაზე, ჩემი აზრით, ზუსტი პასუხი უნდა მქონდეს. უკმაყოფილების ძირითადი საგანი ამ ხელისუფლების მიმართ არის ის, რომ ამგვარი თამაშის წესები საქართველოში დღემდე არავის გამოუყენებია. ამ ახალი ხელისუფლების სახით მოქმედებს ერთგვარი უპიროვნო ძალა. სახელმწიფო ისეთ წარმონაქმნს ქვია, სადაც უპიროვნო ძალები მოქმედებენ - მაგალითად, ბიუროკრატია.

საპარლამენტო ოპოზიციის ბოიკოტის ერთ-ერთი მოთხოვნაა, გადადგეს მერაბიშვილი. ეს არის სასოწარკვეთილი ძახილი - დაგვიბრუნეთ ადამიანები! დაგვიბრუნეთ დამნაშავეები! დაგვიბრუნეთ ის, ვისაც თავში უნდა დავარტყათ! იმიტომ, რომ ისინი, ვინც საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებს, მიჩვეულები არ არიან, უპიროვნო ძალასთან ჰქონდეთ საქმე. სააკაშვილმა მოახერხა და საქართველოში შექმნა პირველი პოლიტიკური პარტია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

**- რომელსაც ერთი სახე აქვს?**

- არა, მაგრამ ეს მოქმედებს, როგორც აბსტრაქტული ძალა. როგორც საშინელებათა ფილმშია - მოდის რაღაც მოჩვენება, ამ მოჩვენებას ესვრიან ბოთლებს, ეს ბოთლები გადის სხეულში, ვერ პოულობს წინააღმდეგობას, ის მოდის და გახრჩობს - ასეთი მდგომარეობაა. ეს არის ყრუთა დიალოგი, ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. დააკვირდით - მიუხედავად ერთგვარი ექსცენტრულობისა, სააკაშვილი ამბობს, რომ მზად ვართ დიალოგოსთვისო. მაგრამ, ჩვენს ენაზე ილაპარაკეთო. ის ამბობს - ნუ მეუბნებით, რომ ვიღაც არის ნაძირალა, ასეთი ლაპარაკები სამზარეულოშიო... ამავე დროს, ის ხალხს ელაპარაკება, როგორც ჯანმრთელი პოპულისტი. რა თქმა უნდა, ჩვენ მართლები ვართ, როდესაც ამ ხელისუფლებას ვსაყვედურობთ, მაგრამ ერთი რამ არ უნდა დავუკარგოთ - მათ შექმნეს აბსტრაქტული ძალა.

**- სხვა თანამედროვე ქვეყნებს თუ გადავავლებთ თვალს, ამგვარი ძალა სად არის?**

- ევროპაში - ბიუროკრატია, ამერიკაში - ლიბერალური დემოკრატია. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ხელისუფლება რბილია, სუსტია, აკლია საკუთარ თავში დარწმუნებულობა და ამის ბრალია, რომ არ მოდიან, არ გელაპარაკებიან, თითქოს, ფეხებზე კიდიხარ და გიგაბოკერიულ ენაზე საუბრობენ.

**- რაღაცნაირად, ბუნებრივი პროცესია - ამდენ ხანს არც არაფერი იძვროდა და ეს გზაც უნდა გავიაროთ. ოპოზიცია ნელ-ნელა სწავლობს ამ სიახლესთან ბრძოლას?**

- არ ვიცი, რას სწავლობენ. ვფიქრობ, რომ გუშინდელები არიან. ერთადერთი სავალალო, რაც შეიძლება მოხდეს - საქართველოში შემოვიდეს გარე და დიდძალი ფული.

**- გარე ძალა ყოველთვის რუსეთია ხოლმე. ამ დიდ ფულს დახვდება სუსტი ხელისუფლება...**

- დიახ, და ეს ძალიან საშიშია. ყველაზე მეტად ფულიანი ქართველების მეშინია, იმიტომ, რომ ისინი არ არიან მდიდრები. არსებობენ ფულიანი ქართველები, მაგრამ მდიდარი ქართველები, როგორიც იყვნენ სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები - არ არსებობენ.

**- მახსოვს, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერე, რომ ეს იყო თითქმის ერთადერთი ადამიანი, რომელიც შენს ნაწერს კითხულობდა, რომ სწორედ ამ მისამართით წერდი წერილებს. ახლა რას გრძნობ?**

- ახლა მაგაზე არ ვფიქრობ, რადგან საკმაო დრო დამჭირდა იმისთვის, რომ მისი სიკვდილის შედეგ გონზე მოვსულიყავი.

**- თქვენ მეგობრობდით?**

- არა. მე მას შევხვედრივარ და ყველაფერთან ერთად, ის იყო ინტელექტუალი ამ სიტყვის სრული გაგებით. არ ვიცნობ საქართველოში მასზე უფრო პრეზენტაბელურ ადამიანს, ამ სიტყვის საერთაშორისო გაგებით.

**- რიტორიკის კანონების გარდა, რა პრინციპებით ხელმძღვანელობ კრიტიკისას?**

- ორი ძირითადი პრინციპი მაქვს - ინტელექტუალური თვალსაზრისით საღი აზრი და იდეოლოგიურით - ლიბერალური დემოკრატია. დანარჩენი ფორმის საკითხია, ფორმას კი გარემოებები მკარნახობს. ხანდახან ასოციაციურად რაღაც გამახსენდება და იქიდან ვიწყებ თამაშს. ძირითადად მაინც ორ რაღაცაზე ვფიქრობ - როგორ დავიწყო და რით დავამთავრო.

**- ხშირად ეს ერთი და იგივეა ხოლმე.**

- რადგანაც დროში ვარ შეზღუდული, ყველაზე ადვილი გამოსავალი ესაა და იმიტომ.

**- მთელი ამ საუბრის მანძილზე იგრძნობა და მაინცდამაინც არც მალავ იმას, რომ შენი პუბლიცისტიკა გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. შენ როგორ შეგცვალა ამ საქმიანობამ?**

- ამ ხნის განმავლობაში მივხვდი, რას ნიშნავს პასუხისმგებლობა. ეს ყველამ ვიცით ხოლმე, მაგრამ ამის აღება ყოველ კვირას მიწევს და თან ვიცი, რომ არიან კონკრეტული ადამიანები, ვის აზრსაც ვაფასებ. არ მინდა, მათ გამომიჭირონ იმაში, რომ ან კოჭს ვუგორებ ვინმეს, ან სხვა ინტერესი მაქვს, ან რაღაცის შემეშინდა... აქ ვგრძნობ პასუხისმგებლობას. ისინი ჩემთვის საზოგადოებას ასახიერებენ და ნურავინ იტყვის, რომ ერის წინაშე გრძნობს პასუხისმგებლობას.

**- ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსტეტში პროფესორის თანამდებობა მიიღე, როგორც ვიცი, ადრექრისტიანული სახარებებისა და შუა საუკუნეების სოციალური სამყაროს კურსი მიგყავს. უნივერსიტეტში არ დაბრუნდები?**

- ჩვენი, სოციოლოგიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტი ახალ პრინციპებზე ორი-სამი წლის წინ იყო რეფორმირებული და ეს ჩემთვის ნაცნობია. უნივერსიტეტში კი არ დავბრუნდები. ჩემთვის იქ დაბრუნება დროის და ენერგიის კარგვა იქნება. იქ არ არის ასეთი გარემო. აქ არიან სტუდენტები, რომელთაც ჩემი ესმით და სწავლობენ ისე, როგორც უნდა ისწავლონ. ამისთვის ვარ და ეს მინდა. უნივერსიტეტში რომ წავიდე, ვის უნდა ვეჭიდაო? ნესტან კირთაძეს? რაში მჭირდება ეს?

**- 2002 წელს, ინტერვიუში მითხარი, რომ ცხოვრება რამდენჯერმე გამოიცვალე - როცა ფიზიკოსობას დაანებე თვი და სასულიერო აკადემიაში ჩააბარე, შემდეგ როცა რომში გადახვედი და მესამედ, როცა იტალიანისტი გახდი. ისიც დასძინე, რომ ყოველი ეს ცვლილება შენთვის, გარკვეულად, უკან დახევა იყო. ამ გაზეთში მუშაობა იყო ცვლილება და უკან დახევა?**

- არა, არ იყო უკან დახევა. ეს იყო სიახლე, რომელიც ჩემს ცხოვრებაში გარედან შემოვიდა და მისაღები და საინტერესო აღმოჩნდა. ამან მომიტანა ის, რაც სხვას არაფერს მოუტანია - ცნობადობა საზოგადოებაში. ამას ახალ სტადიაში გადაყავხარ, ცხოვრებას ცვლის. უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ნორმალურად მოვინელე და ამ ამხრივ სრულიად დავკმაყოფილდი. გავიფართოვე მეგობართა წრე და ერთგვარად სასიამოვნოდაც. ვგრძნობ, რომ მიუხედავად ჩემი წარსულისა, კოლექტივში არავისთვის არ ვარ უცხო და მიუღებელი.

**- მაშინ ისიც თქვი, ომბუდსმენი არის ადამიანი, რომელიც იკრებს იმით, რომ ისვრისო... რა მოიკრიბე?**

- არის ასეთი ძირძველი ქართული სიტყვა - "გაიასნება". "გაიასნდა" ვინ ვინ არის. სოკრატემ იცოდა - ყველაზე კარგი სვლა არის პროვოკაციაო... შესაბამისად, შემიძლია ვთქვა, რომ მოვიპოვე ადამიანები, რომელთანაც უფრო მეტი რამ მაკავშირებს, ვიდრე "ტუსოვკაა"...

**- ისე, გიყვარს "ტუსოვკები"?**

- არა და ვერ ვიტან, როდესაც ეს "ტუსოვკები" ტელეეთერში გადმოდის.

**- ტელეომბუდსმენობაზე არ გიფიქრია?**

- ვფიქრობ, რომ ცხოვრების ამ მხარეს კბილი უნდა გავუსინჯო. ვფიქრობ, თავად შევადგინო პროექტი, რატომაც არა? უარი გადამწყვეტი არ იქნება. მინდა შეერთდეს ორი რამ - სერიოზულობა და სიმწვავე. ჯერ-ჯერობით ვერ ვხედავთ ამ ერთიანობას. საზოგადოებრივ არხზე ჩვენ ვხედავთ რაღაც მცდელობებს, რომ იყოს სერიოზული გადაცემები, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ფრიადოსანთა საუბარია. სიმწვავე კიდევ სკანდალს, უზრდელობას, ყვირილს და თავხედობას ჰქვია. ამ ორის ერთად გაკეთება საკმაოდ ძნელია. ყველაზე ახლოს ამასთან მივიდა გოგი გვახარია გადაცემით "ფსიქო", რომელიც თავისი არსებობის ბოლო პერიოდში უკვე დაღლილობასაც განიცდიდა. გადაცემა დაბერდა, მაგრამ იქ იყო სერიოზულობის კარგი საფუძველი კინოხელოვნების სახით, სიმწვავისთვის კი - გარემოებები. მაგრამ, მოდით შევხედოთ საზოგადოებას პირდაპირ, ნუ მოვიხმართ კინოხელოვნების ნიმუშებს. ჩემი მიზანი იქნება გავარკვიო, ვართ თუ არა მომწიფებული იმისთვის, რომ სერიოზულობა და სიმწვავე შევაერთოთ საკუთარი ძალებით, აქ, ჩვენს მოედანზე.

**- თუ ჩემი აზრი გაინტერესებს, შენი სატელევიზიო გამოსვლები გაცილებით სუსტია, ვიდრე საგაზეთო პუბლიკაციები, ტელევიზორში ფრთებს ისე ვერ შლი...**

- არა უშავს, ეგეც ჩვევის საკითხია. მახსოვს, ჩემი ახალგაზრდობიდან ძალიან ლამაზ გოგონებს მოსწონდათ ენამოჩლექილი ბიჭები, რატომ, არ ვიცი...

**- როგორი ქალები მოსწონთ ჭკვიან კაცებს?**

- ქალებთან ყოველთვის მეგობრობა გამომდიოდა, უფრო მეგობარი ვიყავი, ვიდრე სატრფო. სხვაგვარად კი მინდოდა ხოლმე.

ამ მხრივ განსაკუთრებული გემოვნება არ მაქვს. ურთიერთობის საკითხია. რაც დრო გადის, ერთ რამეს ვხედავ - საქართველოში უფრო მეტად არიან კარგი ქალები, ვიდრე კარგი კაცები. ახალგაზრდებში გოგონები ნაკლებად მიშლიან ნერვებს. ახლა უფრო ადვილად ვსაუბრობ ქალებთან, ვიდრე კაცებთან.

**- მეგობარი კაცების აზრი უფრო დგას სიმართლესთან თუ მეგობარი ქალების? საღი აზრი ქალებად და კაცებად იყოფა?**

- როგორ არ იყოფა... შემიძლია ვთქვა, რომ ზოგ ქალს უფრო ძლიერი ინტელექტი აქვს. შეკითხვას დაგისვამენ ისეთს, რომელიც ყველა ლოგიკას ანგრევს და ახალ პერსპექტივას ხსნის. კაცისგან ვიცი, რასაც ველოდები, ქალს ვერ განსაზღვრავ.

**- როგორები არიან შენი სტუდენტები, ახალი თაობის გოგონები?**

- შინაგანი თავისუფლების გაცილებით უფრო მაღალი დონე აქვთ. ქალებზე ამან უკეთ იმოქმედა, ვიდრე მამაკაცებზე, ესენი ამან დააბნია. ახალგაზრდა ბიჭები უფრო გამოეკიდნენ ძველ დროს, უფრო კონსერვატორები არიან, ვიდრე გოგონები. ახლა რომ ვყოფილიყავი ჩემი სტუდენტების ასაკის, ჩემთვის უფრო საინტერესო იქნებოდნენ, ვიდრე მაშინ რომ იყვნენ, ისინი.

**- ხშირად შენი მკითხველი ჩივის, რომ ნებისმიერ საკითხს ეკლესიას უკავშირებ და ეს გამაღიზიანებლად ეჩვენება...**

- რატომ არის გამაღიზიანებელი? ამას ორი მიზეზი აქვს - ერთი ცოტა სასაცილო - მთვრალი რომ ღამით სიბნელეში გასაღებს კარგავს და იქ კი არ უწყებს ძებნას, სადაც დაკარგა, არამედ იქ, სადაც ფარანი ანათებს. ნაწილობრივ ესეც არის მიზეზი, რადგან სინამდვილეში იქ მაინც რაღაცას ვხედავ, ეს სფერო ვიცი.

უფრო სერიოზულად კი ვფიქობ, რომ ეს არის ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო საზოგადოებისთვის, რომელიც ჯეროვნად არ არის შეფასებული - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და საერო სახელმწიფოს ურთიერთობას ვგულისხმობ. ახლა ჯაშუშობის თემაა მოდური და რომელიმე მტრული სახელმწიფოს იმ განყოფლების გამგე რომ ვიყო, რომელსაც საქართველო აბარია, იცით, რას ვიზამდი? მავნე გავლენას მოვახდენდი 5-6-7 ადამიანზე სამღვდელოებაში და დანარჩენი თავისთავად მოხდებოდა.

**- რა ძვრებია ახალ ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ურთიერთობაში?**

- სამწუხაროდ... ადრე პრობლემები მწვავე იყო, ახლა კი ქრონიკულ ფაზაში შევიდა და დუნედ მიმდინარეობს.

ვამბობთ, რომ ვართ დემოკრატიული სახელმწიფო და ჩვენი პრინციპები ლიბერალური ღირებულებებია. გადახედეთ ქართულ პრესას და ტელევიზიას, ვინ ფლობს ამას და ვინ აკონტროლებს, რომელი დისკურსია გამართული? რომელ ენაზე უნდა იმეტყველოს ამ ახლადწარმოქმნილმა ქართულმა სახელმწიფომ? ეს ენა არსებობს, ამით მოვიდა ეს მთავრობა, ეს ენა იყო ვარდების რევოლუციისას, სად არის ახლა? "კავკასიაზე" ერთ-ერთ გადაცემაში ახალგაზრდები ამბობდნენ, რუის-ურბნისის კრება რომ მოიწვია, არ იყო მართალი დავით აღმაშენებელი, რადგან არ შეიძლება მღვდლის კრიტიკაო...

რომ დავუბრუნდეთ იმას, რითიც დავიწყეთ - ქრისტიანობა, ეს სერიოზული არჩევანია. ამას უნდა მისდიონ იმ ადამიანებმა, ვინც ეს ცხოვრებაში ჯვრის ტვირთით დაიმსახურა. ამისთვის მარტო "მარშრუტკაში" პირჯვრის წერა საკმარისი არ არის. საზოგადოებაში სარწმუნოების სავალალოდ სუსტი და დაბალი მდგომარეობა უფრო მანაღვლებს და მაღიზიანებს, ვიდრე ფანატიზმი. ამ იდეების გაველურება, ნახევრად წარმართული ფოლკლორიზმი ღვთისმსახურებაში.... ეს არ არის ქრისტიანობა. ამის კარგი მაგალითი ამ ბოლო დროს ვნახე - გოგონები თბილისში, შუა ქუჩაში იცვამდნენ კაბას, მის ქვეშ იხდიდნენ შარვალს და შედიოდნენ ეკლესიაში...

**- ენა, მამული, სარწმუნოება - რა უნდა დაემატოს ამ საუკუნეში?**

- ლოზუნგების მოგონება ჩემი საქმე არ არის. ეს ლოზუნგი კი ჩემთვის ისტორიული ფაქტია.

**- იდენტურობას ვერ გრძნობ?**

- ვერა. ჯერ მე კითხვის დროს სათვალეს არ ვხმარობ, არც ყავარჯენი მჭირდება და არც ისეთი ინტელექტუალური ოჩოფეხები, როგორიც არის ლოზუნგები.



# "ხა, ხა, ხა?!"

ხელისუფლებასა და საზოგადოებას, ხალხს შორის ურთიერთანგარიშის ჩაბარების, დიალოგის არსებობა-არარსებობის საკითხი, როგორც ქართული ტელესივრცის, ისე ბოლო პერიოდის კერძო საუბრების, კამათის მთავარი თემა გახდა. როდესაც პირველად ხელისუფლების წარმომადგენლები ინგა გრიგოლიას ტოკ-შოუში "რეაქცია" რამდენიმე კონკრეტულ საკითხზე ოპოზიციასთან კამათს არ დათანხმდნენ, სტუდიაში არ მოვიდნენ, პოლემიკაზე უარი განაცხადეს, ამას, როგორც თვით ინგა გრიგოლიას, ისე საზოგადოების ნაწილის მხრიდან მკვეთრი შეფასება მოჰყვა. მე პირადად მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ ამგვარი პროტესტი ჩემი, როგორც საზოგადოების რიგითი წევრის მისამართით ერთი წუთითაც არ აღმიქვამს. ხალხისგან განსხვავებით, ულტიმატუმის ენით მოლაპარაკე ოპოზიციასთან ობიექტური დიალოგის სირთულე, მგონია, დღევანდელი პოლიტიკური რეალობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. რადიკალურად განსხვავებული ტონით მოსაუბრე საზოგადოება კი სულ სხვაგვარ პატივისცემას და მისდამი პასუხისმგებლობას იმსახურებს.

წინა კვირის გადაცემა "რეაქციაში" უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ სწორედ საზოგადოების ერთ, მცირე ნაწილთან შეხვედრაზე, მათი შენიშვნების, მოსაზრებებისა თუ პრეტენზიების მოსმენა-პასუხის გაცემაზე მზადყოფნა გამოხატა. მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტულმა შეხვედრამ ყველასათვის უჩვეულოდ მშვიდად, ყოველგვარი ურთიერთშეურაცხყოფების, ყვირილისა და დაძაბულობის გარეშე ჩაიარა, რაც, ერთი შეხედვით, გადაცემას თითქოს ნაკლებად ეფექტურს, ყურებადს ხდის (ტელესკანდალებს ზედმეტად მივეჩვიეთ), ვთვლი, რომ ამ ტიპის პირველი შეხვედრა შედგა და დებიუტისათვის საკმაოდ რეზულტატურიც აღმოჩნდა.

როგორც ყოველთვის, ნებისმიერ ტოკ-შოუში ხდება, პირადად მე, დროის უქონლობის, სათქმელის ბოლომდე, სრულად ვერთქმის გამო უკმარისობის გრძნობა დამრჩა, რომელიც ახლა, ამ რუბრიკის მეშვეობით მინდა ავინაზღაურო.

პირველ რიგში, მაია ნადირაძეს საზოგადოებასთან ამგვარ შეხვედრაზე თანხმობა, გადაცემაში მონაწილეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, მოთმინება და მეტ-ნაკლებად სწორად შერჩეული საუბრის ტონი მინდა დავუფასო. ე.ი. საზოგადოებასთან ნორმალურ ტონალობაში საუბარი შესაძლებელი ყოფილა! არადა, დღევანდელი ხელისუფლების ნაწილის ერთ-ერთი მთავარი მინუსი, ჩემი აზრით, სწორედ არაზუსტად შერჩეული საუბრის ტონია.

დაახლოებით ორი კვირის წინ, როდესაც ოპოზიციის ბოიკოტს კიდევ ორი დეპუტატი (რა მნიშვნელობა აქვს, როგორი?) მიუერთდა, პარლამენტის ვიცესპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ასეთი კომენტარი გააკეთა - "ხა, ხა, ხა!" არ ვიცი, შეიძლება მეშლება, მეჩვენება, შეიძლება ვაზვიადებ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს უცნაური "ხა, ხა, ხა!" სრულიად განსხვავებულ საკითხებზე პასუხად, თითქოს, არაერთხელ გაგვიგონია. სხვადასხვა მნიშვნელობის, სიმძაფრის არაერთი ისეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, სადაც ეს "ხა, ხა, ხა!" უცვლელ ფონად ისმოდა. საზოგადოებისათვის აბსოლუტურად დაუსაბუთებლად, აუხსნელად ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მინისტრს ხსნიან - "ხა, ხა, ხა!" ავტორთან შეუთანხმებლად ძეგლი გადააქვთ - "ხა, ხა, ხა!" ასობით ადამიანი შემცირებაში ხვდება - "ხა, ხა, ხა!" საჯარიმო სადგომზე დაყენებული მანქანით რომელიმე მაღალჩინოსანი დასეირნობს - "ხა, ხა, ხა!" პიონერთა სასახლე სხვას გადაეცემა - "ხა, ხა, ხა!" და ა.შ. ნებისმიერი დანიშნული მინისტრი, იგულისხმება, რომ ადრე თუ გვიან, შეიძლება მოხსნილიც იყოს. ამაში უცნაური, მოულოდნელი ან ჯერ არგაგონილი არაფერია. მიუღებელი მხოლოდ ის ტონია, რომლითაც ეს მოხსნა იყო განხორციელებული. დავით აღმაშენებლის ძეგლი, მე რომ მკითხო, ბევრად უფრო მომგებიან ადგილას გადაიტანეს და, შესაბამისად, არც ძეგლის ავტორს და არც საზოგადოებას არანაირი გაღიზიანება, შეურაცხყოფის გრძნობა არ გაუჩნდებოდა, ეს გაუმართლებელი "ხა, ხა, ხა"-ს ტონი რომ არა. როგორც უკვე მოგახსენეთ, ძალიან ბევრი ისეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, სადაც დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად, სამართლიანად თუ უსამართლოდ ელემენტარული განმარტების, ახსნის, საქმის ვითარებაში გარკვევის, გულწრფელობის ნაცვლად ერთი და იგივე ცინიკურ-მენტორულ-თვითდარწმუნებული "ხა, ხა, ხა" ისმოდა. შეუდარებლად თავხედური "ხა, ხა, ხა"-ს მთელი კასკადი გირგვლიანის მკვლელობას მოჰყვა. მაგრამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი საზოგადოების მტკიცე, უკომპრომისო ვერდიქტს შეეჯახა და წამიერად ცინიკურიდან სულელურ-უსუსურ-საბრალოდ გადაიქცა.

ჩვენ ხომ თითოეულ წარმატებას ვგულშემატკივრობთ. ჩვენ ხომ თითოეულ წინგადადგმულ ნაბიჯს, გაკეთებულ საქმეს ვხედავთ, ვაფასებთ. საზოგადოებას კარგად ესმის, რომ ნებისმიერი რეფორმა, სიახლე, ცვლილება, ანომალიურ წარსულთან ბრძოლა სერიოზულ სირთულეებთან, ვიღაცის ფსევდოსიმყუდროვის დარღვევასთან, ხშირ შემთხვევაში პროტესტთან, აგრესიასთან, თუ გნებავთ, ბრძოლასთან, არის დაკავშირებული, მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც გასაკეთებელი, გასატარებელია და ამაში მხარში გიდგევართ. მაგრამ თითოეულ სიახლეს, რეფორმას მოთმინებით აღსავსე განმარტება, ახსნა, სწორი, ფაქიზი მოწოდება და არა უაპელაციო ტონი ან მით უმეტეს მხოლოდ უკურეაქციის, წყენის გამომწვევი სულელური "ხა, ხა, ხა!" სჭირდება. იყავით მომთმენები, აგვიხსენით, განგვიმარტეთ, დაგვისაბუთეთ, შეკითხვებზე პასუხი გაგვეცით, დაგვაჯერეთ. ჩვენ ხომ ასე გულწრფელად გვინდა გავიგოთ, დაგიჯეროთ, გვერდში დაგიდგეთ.

წინა კვირას მაია ნადირაძესთან შეხვედრა სწორედ ამ კუთხიდან იყო ნიშანდობლივი. სწორედ ამიტომ, გიგა ბოკერიას მიერ რუსულ ბაზებთან დაკავშირებული დოკუმენტის დეტალური განმარტება არა მარტო ოპოზიციის, კონკრეტულად ივლიანე ხაინდრავას, არამედ ჩემი მისამართითაც აღვიქვი. დარწმუნებული ვარ, რომ ამ კვირის "პირველების" ეთერში გიგა ბოკერია პირველ რიგში სწორედ ქართულ საზოგადოებას ესაუბრებოდა, განუმარტავდა, ანგარიშს აბარებდა და არა მხოლოდ თავის უშუალო ოპონენტს. გულახდილად უნდა გამოგიტყდეთ, რომ ოპოზიციის მიერ ამ დოკუმენტის დაწუნებამ ცოტა არ იყოს დამაბნია, კითხვები გამიჩინა, რომლებზეც ამომწურავი პასუხი ერთ გადაცემაში გიგა ბოკერიასგან მივიღე. მივიღე, გავიგე, დავმშვიდდი და კიდევ უფრო მეტად დავუჯერე. ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ ამგვარი ანგარიში რთული, დამღლელი, არასაჭირო ან მით უმეტეს უშედეგო იყო. დამერწმუნეთ, ბაზების უმნიშვნელოვანესი დოკუმენტიდან, განათლების რეფორმიდან დაწყებული, ძეგლის გადატანით, ბექაურის პარლამენტიდან წასვლის ან ციხის ბუნტის დაწყების ჭეშმარიტი მიზეზის დასახელებით დამთავრებული, ყველა შემთხვევაში ასე სჯობს! გულწრფელობა, შეცდომების უკომპლექსო აღიარება, ანგარიშის ჩაბარება, დეტალური განმარტება მხოლოდ დადებითი შედეგის მომტანი და მიზანმიმართული ერთობლივი წინსვლის წამახალისებელ-გამაიოლებელი იქნება.

და როდესაც საქართველო მართლაც იმ სიმაღლეებს მიაღწევს, რომლებზეც ყველანი ერთად ასე ვოცნებობთ, აი, მაშინ კი ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეებს ერთიანი დამცინავ-გამარჯვებული "ხა, ხა, ხა!" ვუთხრათ.

# მართლაც რომ, ОДНАКО!

თვით ნორმალური, ცივილიზებული, განათლებული, ელემენტარული გემოვნებისა და ეთიკის მქონე, ფსიქიკურად ჯანმრთელი რუსებისთვისაც კი სრულიად დისკრედიტირებული გადაცემა "ОДНАКО"-ს წამყვანის, ვინმე ლეონტიევის მიერ საქართველოს პარლამენტის წევრის გივი თარგამაძის ინფანტილური, თეთრი ძაფით შეკერილი "მხილების" მცდელობამ, თუმცა, ისევე როგორც "მამხილებლის" შემდგომმა კომენტარმა და ცოტა ხნით ადრე კი "თავისუფალ თემაში" მისმა პირდაპირმა ჩართვამ, კიდევ ერთხელ თვალნათლივ დამარწმუნა, რომ "ნაბელლავის" ან ქართული ღვინის ხარისხის შემოწმებას, რუსებს საკუთარი მედიის ხარისხის შემოწმება უნდა ერჩივნოთ. ქართული ღვინით ან ბორჯომით ჯერ არავინ მოწამლულა, აი, ლეონტიევი კი ნელი მოქმედების ძლიერი საწამლავია, რომელსაც რუსები კვირიდან კვირამდე ნებაყოფლობით სისტემატურად ღებულობენ.

ქართული მედიის მხრიდან კი, უბრალოდ, მიკვირს, მართლაც რომ დებილს, ამხელა მნიშვნელობას რატომ ანიჭებენ? ერთი გალოთებულ-გაინვალიდებულ-გაბოროტებულ-გაუბედურებული, დროსა და სივრცეში დაკარგული, ზნეობრივ კოდექსებში აბნეული კომპლექსარიკი ვის "ამხელს", რაში გვაინტერესებს? რა მნიშვნელობა აქვს?

არსებობს რაღაცა ტიპის ოპონენტები (ხმამაღალი სიტყვაა!), რომლებიც ყურადღების, ან, მით უმეტეს, პასუხის ღირსნიც არ არიან.

Однако, მეორე მხრივ!..

# ყველაფერი ყვითელი ჯიხურის ბრალია!







თბილისის გალამაზება-მოვლის, გზების, ტროტუარების დაგების პროცესმა, როგორც იქნა, ერთ-ერთ ყველაზე გადატვირთულ და, ამავე დროს, მართლაც რომ საგანგაშო მდგომარეობაში მყოფ ბარნოვი-აბაშიძის ქუჩასაც მიაღწია. მიმდინარე სამუშაოებით გამოწვეული საცობების, დისკომფორტის მიუხედავად, ყველა ხვდება, რომ ეს ქუჩა მართლაც წარმოუდგენლად გამოიყურებოდა და სასწრაფო მიხედვას საჭიროებდა. ხეების შეჭრა, ტროტუარების, ბორდიურების გასწორება, "მრგვალი ბაღის" გალამაზება, განათება, შადრევნის აღდგენა, ქვაფენილის დაგება, მანქანების სავალ ნაწილში ასფალტის სავარაუდო დაგება - ყველაფერი ეს ძალიან კარგი, აუცილებელი და გულწრფელად მისასალმებელია, მაგრამ თუ მოვლაა, ბარემ ბოლომდე მოვლა იყოს! ირაკლი აბაშიძის ქუჩის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილში, სილამაზის სალონ "ისი პარის" წინ წლების განმავლობაში უპატრონოდ, უფუნქციოდ მიტოვებულ უზარმაზარ, ოდესღაც ყვითელ, ახლა კი დაჟანგულ ჯიხურს, "ისი პარის" სოლარიუმის ასევე ჟანგიან რაღაც დანადგარს (მგონი, გენერატორს) თუ აიღებენ და მათ უკან მობინადრე, ოტელოსავით შავი ფერის (ჭუჭყისგან) ბომჟსაც თუ მიაყოლებენ, საბავშვო ბაღისა და სკოლის თავზე მდებარე ტერიტორიას კი კატასტროფული ანტისანიტარიისგან გაწმენდენ, ვაკელები კიდევ უფრო მადლიერები იქნებიან. თორემ ისე რა გამოდის, ქუჩის მოვლა-მოწესრიგებას ვცდილობთ, ყვითელი ჯიხური კი დგას, ხუნდება, იჟანგება, გენერატორი, არავინ იცის, რას აკეთებს, მათ უკან მცხოვრები ვაკელი ბომჟი სახეზე სულ უფრო და უფრო შავდება, თავის მსგავს ბომჟებს სტუმრად ღებულობს, ბუნკერებიდან ამოკრეფილი და იქვე კოცონზე შემწვარი ნარჩენებით უმასპინძლდება, "ისი პარიში" ყოველდღიურად მოსიარულე პარლამენტის თავმჯდომარის მრავალრიცხოვან დაცვას უმეგობრდება, ახლომახლო მცხოვრებ ბავშვებს აშინებს, მეზობლებს კი კოცონის წარმოუდგენელი ბოლის გამო ფანჯრების გაღების საშუალებას არ აძლევს.

ყველაფერი კი ერთი მახინჯი, უფუნქციო ყვითელი ჯიხურის ბრალია!

P.S. ფოტოების გადაღება ბომჟისთვისაც მინდოდა, მაგრამ მისი აგრესიულობის შემეშინდა, თუმცა, ისევე როგორც ბურჯანაძის დაცვისა.

# ახალი ექსკურსიები ძველ საქართველოში

თამარ დვალი

*თუკი ველური ბუნების მოყვარული ხართ და ისტორიული ძეგლების დათვალიერებაც გიყვართ, "უნივერსალ თრეველი" უნიკალურ შანს გაძლევთ, უკეთ შეიცნოთ თქვენი ქვეყანა.*



საქართველოში არსებული ტურისტული სააგენტოების უმრავლესობა უცხოელი ტურისტების მომსახურებაზეა ორიენტირებული. "უნივერსალ თრეველი" პირველი კომპანიაა, რომელიც საქართველოში ექსკურსიების კულტურის დანერგვას ცდილობს.

კომპანიის დახმარებით, ყველა ასაკის ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა, საქართველოს ნებისმიერი კუთხე უპრობლემოდ მოინახულოს. ინდივიდუალური და ჯგუფური საექსკურსიო პროგრამები, ლაშქრობები, ექსპედიციები, სამთო ტურები, სამოყვარულო ალპინიზმი, ეს ყველაფერი კომპანიის მომსახურებაში შედის.



გამორჩეული და ახალი მომსახურება, რასაც "უნივერსალ თრეველი" მოზარდებს სთავაზობს, საექსკურსიო პროგრამაა სკოლებისთვის. მოსწავლეების გართობაზე, ტრანსპორტით უზრუნველყოფასა და ბავშვების ხარისხიან კვებაზე მთლიანად სააგენტო ზრუნავს.

**"უნივერსალ თრეველი 2005 წელს შეიქმნა. ერთი წლის განმავლობაში მარკეტინგული გეგმის მიხედვით ვსწავლობდით ბაზარს და აღმოჩნდა, რომ სხვა ტურისტული სააგენტოები მომხმარებელს სასკოლო ექსკურსიებს არ სთავაზობდნენ. თუ დააკვირდებით, საქართველოში ექსკურსიების მოწყობა არაორგანიზებულია. მოუწესრიგებელია კვების საკითხი, გიდი ან საერთოდ არ ჰყავთ, ან არაპროფესიონალები ითავსებენ ამ საქმეს. უმეტეს შემთხვევაში ჩვენთან ექსკურსიები ღრეობაში გადაიზრდება, საკვების ნარჩენებს ბუნებაში ტოვებენ. ჩვენ სკოლებს, ინსტიტუტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს პირველ რიგში ხარისხიანი, თანამედროვე ტრანსპორტით მგზავრობას ვთავაზობთ. ჩვენი გიდები ყოველი გასვლის წინ დამატებით ტრენინგებს გადიან. მათ აქვთ სპეციალური პროგრამა, რომელიც ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით ინდივიდუალურად იგეგმება,"** - ამბობს "უნივერსალ თრეველის" დირექტორი კობა ქურდაძე. ეს არ არის სტანდარტული ექსკურსიამძღოლის მომსახურება, რომელიც მხოლოდ ისტორიას გააცნობს მოზარდებს, არამედ, ის ბავშვების გართობაზეც იზრუნებს. აწყობენ კონკურსებს, გამარჯვებულები იღებენ პრიზებს - წიგნებს ისტორიული ძეგლების შესახებ, კინოთეატრის ბილეთებს, მაისურებს, კეპებს და სხვა. იგივე პრინციპით შესაძლებელია დაბადების დღეების გადახდა, საერო და საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნა.

შემკვეთს შეუძლია, თავად აირჩიოს მიმართულება, მომსახურების ფორმები და ვადები, ანუ რამდენდღიანი ექსკურსია სურს.

მაგალითისთვის გეტყვით, რომ ისტორიული მესხეთის მონახულებას ორი დღე ჭირდება და თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ, დაათვალიეროთ XII საუკუნის კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია, ე.წ. - თამარის ოთახი, სადარბაზო, სალხინო, წამლის სასახლე (აფთიაქი), მრავალი მარანი და რამდენიმე საცხოვრებელი გამოქვაბული;

ზედა ვარძია - დარბაზული ეკლესია, დედათა მონასტერი; ფარავნის ტბა და მდინარე ფარავანი (ე.წ. ჯავახეთის მტკვარი) - ადგილი, საიდანაც წმინდა ნინო საქართველოში შემოვიდა; X-XIII საუკუნეებში აგებული საფარა, რომელიც ცხრა დიდ და მცირე ეკლესიას მოიცავს; რუსთავი, ზოგიერთი ვერსიით შოთა რუსთაველის მშობლიური სოფელი. ტურის განმავლობაში კომპანია ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით, გთავაზობთ სპეციალურ პროგრამას, რაც მოიცავს ინტელექტუალურ, შემეცნებით, სპორტულ და გასართობ თამაშებს. ღამის გათევა შეგიძლიათ როგორც სასტუმროში, ასევე ბინაში, ეს უკვე თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული. ასეთი ტიპის მომსახურება თითო ადამიანს 39 ლარიდან 87 ლარამდე დაუჯდება. შედარებით იაფია ერთდღიანი ექსკურსიები. მაგალითად, კახეთის დათვალიერება 19 ლარიდან 28 ლარამდე ჯდება. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, შევიდენ შემდეგ მისამართზე: W, სადაც დაწვრილებითაა მითითებული მარშუტები და პირობები.

თუკი ექსკურსიაზე წასვლის სურვილს გამოთქვამთ, მინიმუმ 15 კაცი უნდა შეგროვდეს, სკოლებში კი სასურველია 30 ადამიანი. მათ, ვისაც ბუნებაში არ სურს სადილი, შეუძლია რესტორანი აირჩიოს. "უნივერსალ თრეველი" ასევე გთავაზობთ ფოტო-ვიდეო გადაღებასაც.

კომპანიას თავისი ფილიალი აქვს ქუთაისში, ასევე იგეგმება ფილიალების გახსნა კახეთსა და აჭარაში. ამით რეგიონში მცხოვრებ ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ, სხვა კუთხეების მონახულებასთან ერთად, დედაქალაქში არსებული ისტორიული ძეგლებიც დაათვალიერონ.

**"ჩვენი სურვილი იყო საქართველოში დაგვემკვიდრებინა ორგანიზებული, კულტურული ექსკურსიები. ყველაზე დიდი დაინტერესება კერძო სკოლებმა გამოთქვეს. 12 სკოლასთან უკვე გავაფორმეთ ხელშეკრულება. სკოლა, რომელიც ჩვენთან ხელშეკრულებას გააფორმებს, 50 პროცენტიანი ფასდაკლებით სარგებლობს. 30 ბავშვზე ზევითაც ფასდაკლებით სარგებლობენ. გვაქვს კვირის შემოთავაზება სეზონის შესაბამისად. ანუ არის ადგილები, სადაც მხოლოდ სეზონზე უნდა ნახვიდე. მაგალითად, დავით გარეჯში ზაფხულში ძალიან ცხელა და თანაც ქვეწარმავლების საშიშროებაა. ამიტომ გაზაფხული ყველაზე ოპტიმალური დროა. ზამთარში კი მსურველს ყაზბეგის ალპური ბუნების დათვალიერება შეუძლია, გაზაფხულზე - ფლორა-ფაუნის. ექსკურსიების გარდა, ძალიან საინტერესოა სამოყვარულო და პროფესიონალური ალპინიზმი. რაფტინგი, ლაშქრობები და სხვა ნებისმიერი ტურისტული მომსახურება. ექსპედიციები გათვლილია ბიოლოგებზე, მცენარების, ცხოველების მოყვარულებზე. ასეთ დროს საჭიროა სარეკომენდაციო წერილის წარმოდგენა,"** - გვითხრა კობა ქურდაძემ.

ლაშქრობების დროს ყველაზე ხანგრძლივი ტური ფშავ-ხევსურეთში ეწყობა. აქაურობის დასათვალიერებლად 5-დან 14 დღემდეა გათვალისწინებული. კომპანია მსურველებს კარვებითაც უზრუნველყოფს.

"24 საათი" გთავაზობთ რამდენიმე ტურის მიმართულებას და ფასებს.

საექსკურსიო მიმართულებები (ორდღიანი)

| მიმართულება | ტრანსპორტი | ღამისთევა | გიდი | პროგრამა | პრიზები | მუზეუმი | კვება | ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქუთაისი - ბაგრატის ტაძარი - გელათი მოწამეთა - სათაფლია - ვანი -თბილისი | მინიმუმ 15 კაცი | კერძო სექტორი | ☆ | ☆ | ☆ | | | 67 |
| | | | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | 89 |
| ბორჯომი - ლიკანი - მწვანე მონასტერი-ტიმოთეს უბანი - თბილისი | მინიმუმ 15 კაცი | კერძო სექტორი ან კარავი | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | | 67 |
| | | | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | 89 |
| დადიანების სასახლე - მარტვილი - ნაქალაქევი - თბილისი | მინიმუმ 15 კაცი | კერძო სექტორი | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | | 69 |
| | | | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | 91 |
| თბილისი - ნიკორწმინდა - ჭელიშის მონასტერი - თბილისი | მინიმუმ 15 კაცი | კერძო სექტორი | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | | 69 |
| | | | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | 91 |

საექსკურსიო მიმართულებები (ერთდღიანი)

| მიმართულება | ტრანსპორტი | გიდი | პროგრამა | მუზეუმი | კვება | ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი - ყვარელი (ი.ჭავჭავაძის სახლ მუზეუმი) ნეკრესი - გრემი - თბილისი | მინიმუმ 15 კაცი | ☆ | ☆ | ☆ | | 25 |
| | | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | 36 |
| თბილისი - ნინოწმინდა სიღნაღი - ბოდბე - თბილისი | მინიმუმ 15 კაცი | ☆ | ☆ | ☆ | | 24 |
| | | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | 35 |
| თბილისი - მაღაალაანთ ეკლესია ქვათახევის (მამათა მონასტერი) - თბილისი | მინიმუმ 15 კაცი | ☆ | ☆ | | | 22 |
| | | ☆ | ☆ | | ☆ | 33 |
| თბილისი - ლამის ყანა (დ. გურამიშვილის სახლ მუზ.- სამთავისი - სოფ. ქვემო ქალა (ამილახვრების სასახლე) - სხვილოს ციხე | მინიმუმ 15 კაცი | ☆ | ☆ | ☆ | | 23 |
| | | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | 34 |
| თბილისი - ნარყალი (ვ. ფშაველას სახლ მუზეუმი) - თბილისი | მინიმუმ 15 კაცი | ☆ | ☆ | ☆ | | 22 |
| | | ☆ | ☆ | ☆ | ☆ | 33 |
| თბილისი - ხცისი - წრომი სამწევრისი - ყინწვისი - თბილისი | მინიმუმ 15 კაცი | ☆ | ☆ | | | 23 |
| | | ☆ | ☆ | | ☆ | 34 |
| თბილისი - ფარცხისი - ბირთვისი ტბისი - თბილისი | მინიმუმ 15 კაცი | ☆ | ☆ | | | 21 |
| | | ☆ | ☆ | | ☆ | 32 |
| თბილისი -ბოლნისის სიონი - წუღრუღაშენი - თბილისი | მინიმუმ 15 კაცი | ☆ | ☆ | | | 22 |
| | | ☆ | ☆ | | ☆ | 33 |
| თბილისი - სვეტიცხოველი - სამთავრო არმაზციხე - არმაზის ციხე - თბილისი | მინიმუმ 15 კაცი | ☆ | ☆ | | | 21 |
| | | ☆ | ☆ | | ☆ | 32 |



თუ წვეთში ოკეანე აირეკლება, მეტადრე დედაქალაქის ცოდვა-მადლის ფონზე შესაძლებელია, მთელი ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს მისწრაფება და სატკივარი წარმოჩნდეს.

რუბრიკით "დედაქალაქი" განვიზრახე, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს ქართული საზოგადოების არსებობა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, მისი უწყვეტობა დროში. უფრო ნათელი გახდეს ქართული საზოგადოების ფიქრი, წადილი, მოღვაწეობა, მისი მხნეობა და სიფხიზლე. თვალსაჩინო გახდეს, თუ რა სულიერი მემკვიდრეობის, რა ღირებულებების გადაცემას აპირებს იგი მომდევნო გენერაციისათვის.

რუბრიკის ერთ-ერთი ირიბი ამოცანაა თანამედროვე ქართული საზოგადოების შრომის, გარჯისა და ღვაწლის შუქზე კიდევ უფრო ღიმილისმომგვრელი გახდეს მასმედიის მიერ ხელშეწყობილი ტრაგიკომიკური მითი მასზე, რომ, იყო ზეზვა და მზია, მას მერე არავინ ყოფილა და არც არავინ იქნებოდა, რომ არ მოსულიყვნენ დღევანდელი პოლიტიკოსები და შოუბიზნესის ვარსკვლავები.

რუბრიკის პირდაპირი ამოცანა ის გახლავთ, რომ შეძლებისდაგვარად სწორი მიმართულებით გავიშვიროთ ხელი და ვთქვათ, რომ არსებობს მოფიქრალი ქართული საზოგადოება, რომელიც მოკრძალებით განაგრძობს საუკუნეების წინ დაწყებულ საქმეს.

იქნებ ამ "აღმოჩენამ" გააქროს პოლიტიკოსთა სახეებიდან ამბიციური თვითდაჯერებულობა და უნიადაგო ამპარტავნობით ნაკარნახევი ირონიული ღიმილი და ისინიც ჩვენი ქვეყნის მოკრძალებულ მსახურებად აქციოს.

P.S. კიდევ ერთი და მთავარი. პირადად ჩემთვის სახელმწიფოს შენება სამართლის შენებას ნიშნავს.

# მთავარია, ვაშენოთ სამართალი

## და გვქონდეს განცდა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს

**(დათო მაღრაძე) - მოდი, საუბარი დავიწყოთ - რა საკითხებზე მუშაობთ ამჟამად. საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ბოლო წლებში გამოსულმა თქვენმა წიგნებმა: "გრაალის პრობლემა ვოლფრამ ფონ ეშენბახის "პარციფალის" მიხედვით", "საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში", "სახელმწიფო, ადამიანი და რელიგია".**

(სანდრო თვარაძე) - თავიდან ძალიან დიდი მადლობა მინდა გითხრათ სასაუბროდ მოწვევისთვის, რაც ჩემთვის დიდი პატივია. ახლა ძირითადად ვმუშაობ სამი წიგნის ქართულ და გერმანულ ვარიანტებზე, რომლებიც შედარებით ახლო ხანებში მინდა გამოვაქვეყნო. ესენია: "პრესბიტერ იოანეს ლეგენდა და გრაალის რომანების აღმოსავლური სამყარო"; "ტოლერანტობა და ჰუმანიზმი შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში" (ამ წიგნში ვამუშავებ ლათინური დასავლეთის, ბიზანტიის, ისლამის, იუდაიზმის თეოლოგიურ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ, ისტორიოგრაფიულ მასალას ტოლერანტობის და ჰუმანიზმის პრობლემების თვალსაზრისით. ბოლოს დეტალურად ვეხები აღნიშნული კუთხიდან შუა საუკუნეების ქართულ მასალას, ერთგვარად საერთო კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით); "შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს ისტორია". ბოლო წიგნს თავიდან გერმანულ ვარიანტს ვამუშავებ. მინდა გავაკეთო კომპაქტური ნაშრომი გერმანულ ენაზე, რაც ევროპულ საზოგადოებას გააცნობს შუა საუკუნეების ქართულ კულტურას. აქ განსაკუთრებით უხვად მინდა შევიტანო ქართველების შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი დასავლური თუ აღმოსავლური ცნობები, რომელთა გათვალისწინებითაც იგივე ჩვენი შუა საუკუნეების ისტორია ევროპელებისთვისაც სულ სხვა თვალით ჩანს. ანუ ეს კი არ არის ერი, რომელსაც სულ იპყრობდნენ, ჩაგრავდნენ და ასე შემდეგ. რატომღაც ჩვენი ასეთი ხატი გადის სულ დასავლეთში და ამას ხშირად ქართველებიც ხელს ვუწყობთ. არამედ ეს არის კულტურულ ერთაგან ერთ-ერთი საუკეთესო ისტორიის მქონე, თავისი აყვავების ხანაში ჰქონდათ კავკასიის იმპერია, დაღმასვლის ხანაშიც არ კარგავდნენ უფლებებს იერუსალიმზე და ნაწილობრივ ღირსებასაც, ხოლო როდესაც ვინმე იპყრობდა, დამპყრობლებთან ყოველთვის ელიტარული მდგომარეობა ეკავათ (გავიხსენოთ სპარსეთის მონღოლები, შემდეგ სპარსელები, რუსები).



დიდი ბაბუა დედის მხრიდან, თავადი ანტონ წულუკიძე (რუსეთის იმპერატორის ამალის წევრი).

**- იქნებ, აქვე მოკლედ შევეხოთ წინაპრებს, იმ სიშორემდე, სადამდეც გვწვდება მეხსიერება და გაგვაჩნია ინფორმაცია. საიდან მოდის თქვენი გვარი, რას მოღვაწეობდნენ, რა სულისკვეთება ჰქონდათ, რა აღელვებდათ, რა სტკიოდათ...**



სანდრო თვარაძე

- რაც შეეხება ჩემს გვარს, თვარაძეები წარმოშობით არიან ლეჩხუმიდან, სოფელ ლაილაშიდან (ჩვენი ოჯახი გადმოსახლდა იმერეთში XIX საუკუნეში). ოჯახური ტრადიციის და გადმოცემის მიხედვით ვიყავით ციხოვანი აზნაურები. მოგვიანებით, XIX საუკუნეში, ჩვენი შტოს წარმომადგენლები, რამდენადაც ვიცი, ყველანი იყვნენ სასულიერო პირები. სასულიერო პირი უნდა გამხდარიყო ბაბუაჩემიც, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მოხვდა სამხედრო სასწავლებელში და შემდეგ, XX საუკუნის დასაწყისში, მეფის არმიის ოფიცერი გახდა. დედაჩემის გვარია ლორთქიფანიძე. არ ვიცი, ეს მკითხველისთვის რამდენად საინტერესო იქნება, მაგრამ რაკი ლორთქიფანიძეები თავადები იყვნენ, ოჯახში სისტემატური განხილვის საგანია, რამდენად სჯობიან თავადები ციხოვან აზნაურებს. ფოტოებიდან ერთ-ერთზე ბაბუა, ალექსანდრე თვარაძე, გამოსახულია, პირველ მსოფლიო ომში გერმანელებთან ტყვეობისას, შოტლანდიელ ტყვე ოფიცერთან ერთად. ბაბუა ტყვეობის შემდეგ დაბრუნდა და 1921 წლამდე მსახურობდა ქართულ ჯარში, გასაბჭოების მერე სამხედრო სამსახურს თავი დაანება და თავისი სპეციალობით, იყო მეტყევე ინჟინერი, მუშაობდა ერთ-ერთ მაშინდელ სამინისტროში, ვიდრე 1937 წელს ციმბირში არ გადაასახლეს, იმის გამო, რომ 20 წლით ადრე მსახურობდა მეფის რუსეთის და ქართულ არმიაში (დასმენა დაწერა მისმა ხელქვეითმა, რომელსაც სურდა მისი ადგილი, თუ არ ვცდები, მაშინდელი კომისრის მოადგილე იყო სატყეო საკითხებში).

**- მეფის არმიის თუ ქართული ჯარის ოფიცრის დაპატიმრება 1937 წელს ბუნებრივი იყო, იმის მიუხედავად, იბრძოდნენ თუ არა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. თავისთავად დამნაშავეებად თვლიდნენ. იცით, რა გამახსენდა - მეფის არმიის გენერალმა მაზნიაშვილმა რაღაც პერიოდის განმავლობაში იმსახურა საბჭოთა არმიაში. ბათუმის შემოერთებისას საბრძოლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა, მაგრამ მაინც ვერ გადარჩა. ის მოგვიანებით დახვრიტეს, როდესაც მშობლიურ სოფელში დასახლდა და მეურნეობას მიჰყო ხელი. უკვე ასაკოვანი კაცი იყო... ეტყობა, მაინც ვერ აპატიეს. მათი სახით მტრის ხატი შექმნეს.**

- დიახ, განსაკუთრებით იმ ადამიანებით, ვისაც თავადაზნაურული წარმომავლობა, ან სასულიერო თუ თეთრგვარდიული წარსული ჰქონდა.

**- ასეთები კი ქვეყანაში მრავლად იყვნენ. როდესაც გეორგიევსკის ტრაქტატს მოეწერა ხელი, შედგა ქართველ თავად-აზნაურთა სია, რომელთაც იგივე სტატუსი ენიჭებოდათ, რაც რუს თავად-აზნაურებს...**

- მაგასთან დაკავშირებით გამახსენდა, ქართველი თავად-აზნაურების გვარები რაოდენობით რუსებს არ ჩამოუვარდებოდნენ.

**- სიმდიდრით და ვრცელი მამულებით რუსებს ვერ შეედრებოდნენ, მაგრამ მართალი ცხოვრებით ტოლს არ უდებდნენ.**

- ქართველი თავად-აზნაურების ამგვარი სიმრავლის მიზეზი ერთი ალბათ ისიცაა, რომ როდესაც საქართველო ნორმალური ქვეყანა იყო, ყველა თავადსა და აზნაურს ჰქონდა თავისი წოდების შესატყვისი სამფლობელოები თუ მიწები. მერე საქართველო დაიქსაქსა, დაპატარავდა, ტერიტორიების ნაწილი დაკარგეს, შიგნითაც ხომ ყველაფერი აირია. რიგი გვარები ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ თავად-აზნაურული წოდებები, მაგრამ ხშირად რეალური შესატყვისი, სასახლე იქნებოდა ეს, თუ ადგილ-მამული, ბევრს აღარ ჰქონდა. ქართველი თავად-აზნაურების სიმრავლის მეორე, შეიძლება მთავარი მიზეზიც, ალბათ ეროვნულ ხასიათში უნდა ვეძებოთ.

**- ეს მიზეზებიც და კიდევ ის, რომ რამდენადაც საქართველოს ისტორიას ვიცნობ, მთელი თავად-აზნაურობა მებრძოლები იყვნენ. ეს ის ხალხი იყო, ვინც იბრძოდა. მონარქიაში პირობითად სამკუთხედი შეიძლება შევადგინოთ: მონარქი - მეფე, მებრძოლი თავად-აზნაურობა, ანუ რაინდები და შემდეგ გლეხი, რომელიც მთელს ქვეყანას უზრუნველყოფს სურსათ-სანოვაგით.**

ის იერარქიული სისტემა, რომელიც რუსთაველთანაა მოცემული: "რაცა ვის რა ბედმან მისცეს..."

**- იერარქიული და ჰარმონიული. ის რაინდი მიწას არ ამუშავებდა, მაგრამ იბრძოდა და ყოველ წუთს მზად იყო, სიცოცხლე გაეწირა. სწორედ ამ სიცოცხლის ფასად ერგებოდა ის მამული და მიწა... საზღაურს ამ სახით იღებდა. მონარქიას აქვს ასეთი ხიბლი და ჰარმონია. რასაკვირველია, გასულ საუკუნეებს ვგულისხმობ.**

- ამ მხრივ ქართული ფეოდალიზმი, პატრონ-ყმობა, გაცილებით მეტად ჰგავს დასავლეთ ევროპულს და

*დაბ. 1974 წ., დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და ასპირანტურა (გერმანული ლიტერატურა).*

*სწავლობდა გერმანიის ქალაქ ბამბერგის უნივერსიტეტში. იყო ქართული კულტურის ფონდის სტიპენდიანტი.*

*ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის ინსტიტუტში მუშაობისას იყო ბერლინის სენატის სტეპენდიანტი.*

*მუშაობდა ქალაქ ჰანოვერის ფილოსოფიის კვლევით ინსტიტუტში გერმანიის კომერცბანკის სტიპენდიით.*

*ქალაქ კიოლნის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტში (თომა აქვინელის ინსტიტუტი) მუშაობისას ღებულობდა გერმანიის გაცვლითი სამსახურის სტიპენდიას.*

*მისი სადისერტაციო ნაშრომი გამოიცა მონოგრაფიის სახით "გრაალის პრობლემა ვოლფრამ ფონ აშენბახის "პარციფალის" მიხედვით".*

*არის პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიანტი.*

*მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში და თსუ-ს დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.*

*არის ავტორი წიგნებისა: "საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII-XVI საუკუნეების ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე)" და "სახელმწიფო, ადამიანი და რელიგია".*

*გამოქვეყნებული აქვს რიგი სამეცნიერო სტატიებისა გერმანულ ჟურნალებში: "სეკულუმი. მსოფლიო ისტორიის ჟურნალი", "ჰანოვერის ფილოსოფიის ინსტიტუტის ჟურნალი", "ბერლინის სენატის ყოველწლიური ჟურნალი" და სხვა.*

# მთავარია, ვაშენოთ სამართალი

## და გვქონდეს განცდა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს

მკვეთრად განსხვავდება რუსულისგან.

**- ნამდვილად განსხვავდება. რუსეთში არასოდეს ყოფილა თავად-აზნაურობას და გლეხობას შორის ის სიახლოვე, რაც საქართველოს ახასიათებდა. იქ არისტოკრატიას და გლეხობას შორის დიდი ნაპრალი იყო.**

- ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ რუსული არისტოკრატია წარმომავლობით ძირითადად იყო გერმანიიდან ან, უფრო ადრე, სკანდინავიიდან.

**- ჩემი აზრით, ისიც ემატებოდა, რომ საქართველოში ტრადიცია იყო დღესასწაული ურთიერთობებში. გლეხებსა და თავადებს შორის იყო ნათელ-მირონი, გაძიძავების ინსტიტუტი. ეს მხოლოდ თავადებზეც არ ითქმის. მეფე ერეკლეც, ხალხური გადმოცემების მიხედვით, გლეხის ბიჭებთან ერთად იზრდებოდა. ასეთი რამ ევროპაშიც ხდებოდა, რათა მომავალ ხელისუფალს სცოდნოდა, განცდილი ჰქონოდა ყველა ფენის წარმომადგენლის ბედი. საქართველოში ამას დიდი ყურადღება ექცეოდა. აქედან მოდის უშუალო, თავისუფალი ურთიერთობები... დაუსრულებლად შეიძლება საუბარი კონკრეტულად პირად წინაპრებზეც და გენეტიკურ წინაპრებზეც. არსებობს კიდევ ერთი ცნებაც - სულიერი წინაპარი. გენეტიკურ მემკვიდრეობას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ჩემთვის მთავარი ისაა, სულიერად რას იმემკვიდრებს ადამიანი. ეს უკვე მისი არჩევანია. რას გამოარჩევდით ამ მხრივ ქართული სულიერების ისტორიიდან. რომელი ეპიზოდები, რომელი ეპოქაა თქვენთვის უფრო მახლობელი.**

- ამ მხრივ ალბათ საინტერესოა კონკრეტული ქართველის და მთელი ქვეყნის მდგომარეობა იმ ახალ ვითარებაში, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლები გავხდით და საკუთარი იდენტურობა, საკუთარი თავი ერთგვარად ხელახლა უნდა ვიპოვოთ ახალ ვითარებაში. ამ მხრივ ახლად განთავისუფლებული ერების უმრავლესობასთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ, რადგან გვაქვს დიდი კულტურული ტრადიცია, რასაც გარკვეულწილად თვითონ დასავლეთ ევროპის თანამედროვე ცივილიზაციაც ემყარება. ვგულისხმობ, რომ დღევანდელი კულტურული ევროპის ძირითადი საფუძვლები არის აგრეთვე ანტიკურობა, ქრისტიანობა, შუა საუკუნეები, რენესანსი. საქართველოში რენესანსის და რეფორმაციის ტიპის მოვლენებს, ყველასათვის კარგად ცნობილი მიზეზების გამო, ცხადია, ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ის დიდი კულტურული საფუძვლები, რაც არის ანტიკურობა თავისთავად, ქრისტიანობა, შუა საუკუნეების ეპოქა მთელი თავისი მსოფლმხედველობით, ჩვენ საერთო გვაქვს კულტურულ სამყაროსთან. ახალი ქვეყნის თუ კულტურის შექმნის თუ შენებისას, რაც უფრო მეტს გავითვალისწინებთ ჩვენი ძირებიდან, რაც უფრო მეტად ამოვალთ ტრადიციიდან, ამ სიტყვის კარგი გაგებით, ჩემი აზრით, მით უფრო უკეთესი იქნება შედეგი. რაც შეეხება შუა საუკუნეებს, რენესანსს, ეს უშუალოდ უნდა ეხმიანებოდეს თქვენი კითხვის არსებას სულიერი მემკვიდრეობის შესახებ. ქართული კულტურიდან ჩემთვის და ალბათ მრავალი სხვისთვისაც ყველაზე მახლობელია ქართული შუა საუკუნეები, რადგან ქართულმა კულტურამ ყველაზე ღირებული შექმნა შუა საუკუნეებში, რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივ პლანში. ცხადია, მერეც მრავლად იყვნენ და დღესაც გვყავს გამორჩეული მოაზროვნეები, მწერლები, პოეტები, მხატვრები, მაგრამ ის რაც სახელმწიფოებრივად ღირებული შეიქმნა, უკავშირდება შუა საუკუნეებს. ამ კონტექსტში შეიძლება ვთქვათ, რომ ქართულ კულტურას რენესანსის და რეფორმაციის ტიპის მოვლენები არ ჰქონია, მაგრამ რენესანსული ელემენტები მრავლად არის შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში. ამ კონტექსტში მახსენდება მოსე ხონელი, შოთა რუსთაველი, რომელთა ადამიანური და რელიგიური ტოლერანტობა ყოველგვარ საზღვრებს ლახავს. მოქმედება გადააქვთ მაჰმადიანურ ქვეყნებში, პერსონაჟებიც ფორმალური თვალსაზრისით არაქრისტიანები არიან, არაბები, ხვარაზმელები, ხაზარები, ინდოელები. მაგრამ ყველანი მისდევენ ქართულ სარაინდო კოდექსს. ამ აღმოსავლურ-დასავლურ სინთეზზე შექმნილი პერსონაჟები ყველანი თაყვანს სცემენ ერთ ღმერთს, რომელიც კონკრეტულად არც ქრისტიანთა, არც მაჰმადიანთა ღმერთი არ არის, არამედ ყველასათვის საერთოა, უნივერსალური. ეს გახლავთ მსოფლიო მნიშვნელობის ტოლერანტობის და ჰუმანიზმის გამოვლინება. ამგვარ რელიგიურ ტოლერანტობას დღევანდელ დასავლეთშიც იშვიათად შევხვდებით. ამ მხრივ, შუა საუკუნეების ქართული კულტურა დღესაც უაღრესად აქტუალურია. ქართველები, ჩემი აზრით, სულიერი თვალსაზრისით, ვართ ჩვენი დიდი წინაპრეების მემკვიდრეები. ცოტა პათეტიკური ნათქვამია, მაგრამ ის გზა, რასაც დასავლეთ ევროპა შემდგომ გადის ტოლერანტობის იდეის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით (ტოლერანტობა კი დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველს ქმნის), ქართველებს შუა საუკუნეებში თავისთავად გვაქვს მოცემული და მერე, როგორც ყველაფერი, ადვილად გვავიწყდება. მოსე ხონელის და რუსთაველის ჩენილი ტოლერანტობის შემდეგ ბოლოს მაინც თავის მსოფლმხედველობას უქვემდებარებს მას. რაც განსხვავდება მოსე ხონელის და რუსთაველის უნივერსალური ტოლერანტობისგან. თუმცა გარკვეული ზღვარი იქაც რჩება, რადგან, როგორც ითქვა, პირდაპირ მაჰმადიანურ სამყაროს კი არ იღებენ, დასავლურის და აღმოსავლურის შერწყმით ერთგვარად ნახევრად რეალურ, წარმოსახვით, იდეალურ სამყაროს ქმნიან.

**- ჩვენი კულტურის ისტორიის ერთ-ერთი ნიშან-თვისება ისიც არის, რომ ქართული საზოგადოება არასოდეს იყო ჩაკეტილი საზოგადოება. იგივე "ვეფხისტყაოსანი", ჩემი აზრით, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, გლობალიზაციის ნიშანია. იგი არ არის კარჩაკეტილი ქვეყნის წიაღიდან აღმოცენებული. ესაა გახსნილი ქვეყნის, ფართო თვალსაწიერის წიაღში დაბადებული ქმნილება.**

- მაშინდელი საქართველო, ფაქტობრივად, კავკასიის იმპერიაა, რომელსაც მთელ მაშინდელ ნაცნობ ქვეყნიერებასთან აქვს კავშირები, ხოლო თვითონ სახელმწიფოს შემადგენლობაში მგონი ათეულობით ერი ცხოვრობს. "ვეფხისტყაოსანში" იმ დიდი სახელმწიფოს ხედვაც არის, ოღონდ არა იმპერიული, არამედ სხვისი პატივისცემის სულისკვეთებით გამსჭვალული, შემწყნარებლური, იმავე დროს მთელი სამყაროს მომცველი. ეს პრობლემები ხომ დღესაც მნიშვნელოვანია. ახალი ქართული სახელმწიფოს შენებისას უკეთ უნდა გვქონდეს გააზრებული, როგორ უნდა იარსებონ ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა აღმსარებლობებმა. ცხადია საქართველო, როგორც სახელმწიფო, არის და დარჩება მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ქვეყნად, მაგრამ საკუთარის დაცვასთან ერთად შემდგომში ალბათ სხვადასხვა რწმენათა თანაარსებობის ერთგვარი თეორიული საფუძვლებიც იქნება შესამუშავებელი.

**- მარტივად რომ ვთქვათ, რწმენა ადამიანის არჩევანია. რა თქმა უნდა, ჩვენს ცნობიერებაში ხდება ტრადიციის გათვალისწინება, მაგრამ რწმენა არის ადამიანის სულიერი მოთხოვნილება, სულიერი არჩევანი. სხვა აღმსარებლობების პატივისცემა კი კულტურული ადამიანის მოვალეობაა. ამის ტრადიცია ნამდვილად არის საქართველოში, რასაც ჩვენ უკვე შევეხეთ.**

- საქართველოს ისტორია ტოლერანტობის და იმავე დროს თავისთავადობის შენარჩუნების საუკეთესო მაგალითებს გვთავაზობს. თავისი რწმენისათვის ბრძოლა, რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება დიდი საქართველოს დაშლის შემდეგ მომდევნო 300 წლის განმავლობაში, ისევ გარკვეული თვალსაზრისით უნიკალურია - ქართველები აღმოსავლეთში ერთადერთი ქრისტიანი ერი იყვნენ, რომელთაც ისლამის გარემოცვაში რწმენასთან ერთად სახელმწიფოებრიობაც შეინარჩუნეს. თუმცა გულდასაწყვეტი ის არის, რომ XV საუკუნის შინააშლილობათა შედეგად ქვეყანა რომ არ



მღვდელ ივანე თვარაძის ოჯახი (1911 წ.). უკანა რიგში, მარცხნიდან მეორე, ბაბუა ალექსანდრე თვარაძე.

გარდა გავიხსენოთ თამარის პირველი ისტორიკოსი თავისი ანტიკური სამყაროთი და, რა თქმა უნდა, დავით აღმაშენებელი, რომლის ტოლერანტობა ერთგვარად ახალი დროის შემწყნარებლობა უფროა, ვიდრე შუა საუკუნეების.

**- ტოლერანტობის თვალსაზრისით თქვენი სიტყვების ერთ-ერთ დასტურად "ბალავარიანიც" გამოდგება.**

- ნამდვილად. ქართულ ადრე შუა საუკუნეებში პირველად მოქმედება ლიტერატურულ ნაწარმოებში აღარ მიდის საქართველოში, მოქმედი პერსონაჟები აღარ არიან ქართველები. ყველაფერი ეს ინდოეთში ხდება. ამგვარად სხვა, უცხო შემოყავთ თავის სამყაროში. მაგრამ "ბალავარიანის" ავტორი სასულიერო პირია, ღრმადმორწმუნე ქრისტიანი, ამიტომ ეს უცხო, ინდოეთი, თავისი კერპთაყვანისმცემლობით კი არ შემოაქვს თავის სამყაროში, მის ქრისტიანიზირებას ახდენს მთლიანად. ანუ თავიდან გამო-

დაშლილიყო, სავსებით შესაძლებელი იყო საქართველო XX საუკუნემდე მოსულიყო ნორმალურ, ძლიერ ქვეყნად და შემდეგ სათუო არ გამხდარიყო ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

**- ამ კუთხით საინტერესოა, პოლიტიკურად, ბუნებრივია, არა, მაგრამ ისე ხომ არ იყო რაიმე კავშირი XV საუკუნეში ბიზანტიის დაცემასა და დაახლოებით იმავე დროს საქართველოს დაშლაში. ფსიქოლოგიურად მაინც მოქმედებს, როდესაც საუკუნეების მანძილზე მართლმადიდებლური სივრცის ისეთი მნიშვნელოვანი ცენტრი ეცემა...**

- ამ საკითხზე მეც ბევრი მიფიქრია. მართლაც უცნაურია, 1453 წელს დაეცა ბიზანტია, 1466 წელს დაიშალა საქართველო. პოლიტიკურად ამ მოვლენებს, როგორც თქვენ აღნიშნეთ, საერთო არაფერი თითქოს არ ჰქონდა. კონსტანტინეპოლი აიღეს ოსმანებმა, ხოლო საქართველოს დაშლა ქვეყნის შიდაპოლიტიკურმა ვი-





ბაბუა, ალექსანდრე თავართქილაძე, ბერძენიშვილი,
პირველ მსოფლიო ომში, შოტლანდიის
მოხალისეთა ჯარისკაცთან ერთად.

თარებამ განაპირობა. მაგრამ თარიღების ასეთი სიახლოვე, თან ქართული ხასიათის გათვალისწინებაც, შეიძლება გვაფიქრებინებდეს, რომ ერთგვარად მორალური საყრდენი დაკარგეს ისლამურ აღმოსავლეთში და აირიენ. თორემ პოლიტიკური თვალსაზრისით ბოლო ათწლეულების მანძილზე ბიზანტიის იმპერიას, ფაქტობრივად, მხოლოდ ქალაქი კონსტანტინეპოლი შეადგენდა.

**- თუმცა, ქართველების რწმენაში ამას ბზარი არ გაუჩენია.**

- არა, მაგრამ დაშლასთან ერთად გარკვეული საყრდენი მაინც დაკარგეს. ისე, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ისევ საინტერესოა, რომ ქართული სახელმწიფოს გაძლიერებაც ყოველთვის ემთხვევა აღმოსავლეთში დასავლეთის კონკრეტული ძალის გამოჩენას, გინდაც ის პირდაპირ პოლიტიკურ გავლენას არ ახდენდეს ქართულ ვითარებაზე. გავიხსენოთ რომის იმპერია და ფარსმან ქველის იბერია. დავით აღმაშენებელიც მაშინ ქმნის მძლავრ სახელმწიფოს, როდესაც ჯვაროსნები ჩნდებიან აღმოსავლეთში. თუმცა, ბუნებრივია, ჯვაროსნულ მოძრაობას ქართულ რეალობაზე გავლენის მოხდენა არ შეეძლო, რაკი ქართველთა უშუალო მტერი მაშინ არის სპარსეთის სელჯუკების სახელმწიფო. ეტყობა, მორალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორს ჩვენს ისტორიაში ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს სიმბოლური თანხვედრები ისევე საინტერესო უნდა იყოს, როგორც კონსტანტინეპოლის დაცემის და საქართველოს დაშლის დროში თანხვედრა.

**- პირველ ჯვაროსნად სიმბოლურად შეიძლება, ალბათ, ვახტანგ გორგასალი მივიჩნიოთ?**

- გორგასალი მართლაც პირველი ჯვაროსანია. ისტორიულად დასტურდება, რომ ის იერუსალიმის გასანთავისუფლებლად ინდოეთზე ილაშქრებს სპარსელებთან ერთად. ამდენად, პირველი ჯვაროსანი არის ვახტანგ გორგასალი და არა ბიზანტიის კეისარი ჰერაკლე VII საუკუნეში, როგორც ამას მიიჩნევს დასავლური ტრადიცია.

**- თქვენ ამ საკითხზე ბევრი იმუშავეთ და დიდი წიგნიც გაქვთ გამოცემული არაჩვეულებრივი ფოტომასალით და რუკებით. ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ქართველები იერუსალიმში გაშლილი დროშებით შედიან. იქნებ სწორედ იმ წმინდა მეფის დამსახურებაც არის, რომ ქართველებს ამის უფლება ჰქონდათ.**

- ადრე შუა საუკუნეებში, ვახტანგ გორგასალის ეპოქაში, ქართველების იერუსალიმში გაშლილი დროშებით შესვლის შესახებ ისტორიული დოკუმენტები, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ გვაქვს. თუმცა, ქართველთა ისტორიაში იერუსალიმზე ასეთ მძაფრ სწორებას მგონი მართლაც გორგასალმა მისცა დასაბამი. თუ არ ვცდები, გორგასალი ერთადერთი ქართველი მეფეა, რომელიც იყო და ილოცა იერუსალიმში. ქართული პოლიტიკის იერუსალიმზე ორიენტაცია კი ლაიტმოტივად გასდევს თან მთელს ჩვენ შუა საუკუნეების ისტორიას. სხვათა შორის, ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი უკვე X საუკუნეში წერს, რომ ქართველი მეფეები დიდ თანხებს უგზავნიან იერუსალიმის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს.

**- რაკი ვახტანგ გორგასალი ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ მას უკავშირდება ჩვენი დედაქალაქის შექმნის ისტორია, რამდენჯერ მტრისგან დაკავებული, წართმეული, მრავალჯერ უკან დაბრუნებული თბილისის.**

- გალაკტიონს თუ გავიხსენებთ: “შენ ოცდაათჯერ გადასცდი იმ ფონს, სწვავდი ხიდეებს, ცვლიდი რუბიკონს..."

**- “15 საუკუნე გიკლავდა დღეისს, ქალაქო-ფენიქსო, ყრუ ღამეები ვარფოლომეის..."**

- მგონი გალაკტიონთან ის ოცდაათი ნამდვილად თბილისის აღებას და ხელახლა აღდგომას უკავშირდება. ისე, ამ მხრივაც იშვიათი ქალაქია.

**- ძველი გამოთქმით წვეთი ირეკლავს მთელ ოკეანეს. ასევე შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქში აირეკლება მთელი ჩვენი სამშობლო. ამიტომ ის, რაც დედაქალაქზე ითქმება, შეგვიძლია განვაზოგადოთ მთელს ქვეყანაზე. ვგულისხმობ იმ ჩვენს სატკივარს, იმ სულიერ ყოფას, სოციალურ პრობლემებს, რაც დედაქალაქის ფონზე შეიძლება განზოგადდეს. მოდით, ვისაუბროთ დღევანდელ თბილისზე. ვთქვათ, რა გვაწუხებს, რა მოგვწონს, ან არ მოგვწონს, როგორია საზოგადოებრივი მისწრაფება და სახელისუფლებო მოწადინება, ემთხვევა თუ არა იგი საზოგადოების სულიერ მოთხოვნილებებს, ესთეტურ მოთხოვნილებებს.**

- ჩემი დაკვირვებით, დღეს მთელს ქვეყანაში გვაქვს ერთი დიდი პრობლემა, ყველაფერთან ერთად. არ გვაქვს გაცნობიერებული, არც ამის თეორიული საფუძვლები შეგვიქმნია, თუ რა ტიპის ქვეყანას ვაშენებთ. რა უნდა იყოს ახალი, რა უნდა ავითვისოთ წარსულიდან, ან ევროპიდან თუ აღმოსავლეთიდან. ეს ზოგადი პრობლემა ირეკლება ყოველ ცალკეულ სფეროზეც. ამის ნათელი დასტურია დედაქალაქში ყბადაღებული მშენებლობების თემა. ამაზე უამრავი რამ ითქვა, ერთ საკითხზე მინდა ყურადღება გავამახვილო. მშენებლობები რომ ყოველგვარი გეგმის გარეშე მიდის, ან ეს გეგმა რომ არ ვარგა, ყველასათვის ცხადია. მაგრამ თვით ქალაქის გენერალური გეგმის შექმნამდე ჯერ უნდა გააზრებული ყოფილიყო, თუ რა ტიპის ქალაქი გვინდა გვქონდეს: ევროპული სტილის, აზიური, ცათამბჯენების, თუ ეს ყველაფერი ერთად. შეიძლება დაბეჯითებით ვთქვა: დღეს ყველა მშენებლობა ერთგვარად იმპულსურია: ვისაც რა გაახსენდება, იმას აშენებს. უარეს შემთხვევაში ნაცრისფერ კორპუსებს გვიდგამენ ქალაქის ძველ უბნებში, ხოლო უკეთეს შემთხვევაში უცხოური კატალოგებიდან იხატავენ მდარე გემოვნების ნიმუშებს. მრავალსართულიან სახლს უსახურ ფასადზე რაიმე არქიტექტურული დეტალი თუ აქვს, დიდ სტილისტურ მიღწევად ითვლება. ამის ნაცვლად, ჯერ უნდა შემუშავებულიყო მწყობრი გეგმა, თუ რა ტიპის ქალაქი უნდა იყოს ახალი საქართველოს დედაქალაქი. შემდეგ კი, აბსოლუტურად არ მესმის, რატომ არის აუცილებელი, ვიყოთ თანამედროვე ცათამბჯენების თუ შუშის სახლების სტილის მიმბაძველები. რატომ არ შეიძლება ავითვისოთ შუა საუკუნეების, რენესანსის, ბაროკოს ევროპული სტილიდან მრავალი ელემენტი, იგივე ქართული არქიტექტურული ტრადიციიდან და ახალი თბილისი ერთგვარად ახალი, დღევანდელი ევროპულისგან თუ ამერიკულისგანაც განსხვავებული სტილით აშენდეს. გასაგებია, გაუდის წინასწარ დაპროგრამებით ვერ მივიღებთ, მაგრამ გარკვეული სამუშაოს ჩატარება სახელმწიფოსგან გონივრული მიდგომის შემთხვევაში ნამდვილად შეიძლებოდა და ახლაც შეიძლება. სხვათა შორის, ამ მხრივ არსებული ვითარება ზოგად კულტურულ სიტუაციასაც გავს. ჩვენ მივყვებით ისევ ზოგად მდინარებას და არ ხდება იმის გააზრება, თუ რა კალაპოტში უნდა წარიმართოს მომავალი ქართული კულტურა (კულტურას აქ ფართო მნიშვნელობით ვხმარობ, როდესაც კულტურა მოიცავს განათლებასაც, მეცნიერებასაც). აქაც იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომ წინასწარი დაპროგრამებით რუსთაველს, ვაჟას და გალაკტიონს ვერ მივიღებთ. მაგრამ კულტურის განვითარებისათვის ზოგადი კალაპოტების მონიშვნა აქაც შეიძლება. ჩემი აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა ვიყოთ იმის მორჩილი ამთვისებლები, რასაც გვაწვდიან. თუ გვინდა ვიყოთ ნორმალური, თვითკმარი ერი, და არა რომელიმე რეგიონის პერიფერია, ერთგვარად ყველა სფეროში უნდა დავიწყოთ ახალი, თვითმყოფადი, თვითკმარი სახელმწიფოს თუ კულტურის შენება. არ მინდა პრეტენზიული განცხადებები გამომივიდეს, მაგრამ ჩვენს დღევანდელ ყოფაში მგონი ყველგან შეინიშნება იმის დიდი დეფიციტი, რომ ის, რასაც ვაკეთებთ, სათანადოდ გააზრებული არ არის. სხვათა შორის, საქართველოს ძლიერების ხანაში ჩვენი ქვეყნის სხვათაგან გამომარჩეველი ერთი ნიშანი სწორედ კულტურათა ეს ორიგინალური სინთეზი იყო, ანტიკურის, ბიზანტიურის, სპარსულის, ზოგადად ქრისტიანულის და ზოგადად მაჰმადიანურის. ამდენად, დღესაც ჩვენთვის შეიძლება გაცილებით მისაღები იყოს რენესანსის ან ბაროკოს კულტურის რომელიმე მონაკვეთი - რაც შესაძლოა სულ არ იყოს ამჟამად აქტუალური დასავლეთში - და არა მაინცდამაინც თანამედროვე მასობრივი კულტურა, რომელიც ამგვარად არის მოძალებული. ასევე მეტად დამამცირებელია, როდესაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ერს საერთაშორისო ორგანიზაციების მესამეხარისხოვანი ექსპერტები გვასწავლიან, როგორ უნდა გადავწყვიტოთ რომელიმე ელემენტარული საკითხი.

> **რატომ არ შეიძლება ავითვისოთ შუა საუკუნეების, რენესანსის, ბაროკოს ევროპული სტილიდან მრავალი ელემენტი, იგივე ქართული არქიტექტურული ტრადიციიდან და ახალი თბილისი ერთგვარად ახალი, დღევანდელი ევროპულისგან თუ ამერიკულისგანაც განსხვავებული სტილით აშენდეს.**

> **ჩვენ მივყვებით ისევ ზოგად მდინარებას და არ ხდება იმის გააზრება, თუ რა კალაპოტში უნდა წარიმართოს მომავალი ქართული კულტურა.**

> **სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის სათავეებთან ყოველთვის დგას გონიერი და ნამდვილი ღირებულებების მქონე საზოგადოება. ჩვენი ტრაგედიაა, რომ ლამის ყველა ხელისუფლება ამგვარ გონიერ საზოგადოებას უყურებს, როგორც მტერს.**

**- გვასწავლიან იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ ვაძლევთ საბაბს. როდესაც არ იცი, მაშინ ალბათ უნდა გასწავლონ კიდეც. მაგრამ ელემენტარული ანბანური ჭეშმარიტებები უნდა იცოდე, რადგან ამის საფუძველს გაძლევს ქართული კულტურის ისტორია და მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია... დედაქალაქის განაშენიანებასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ ძველი თბილისი, რომელიც თვითონ არის ძეგლი, ასევე ლანდშაფტი, ბევრ რაიმეს თვითონ გკარნახობს. მე არ გავკადნიერდები და თავს უფლებას ვერ მივცემ, ვთქვა, რა როგორი გზით უნდა განვითარდეს. უბრალოდ, ჩემი და ჩემი თანამოაზრეებისა და მეგობრების წადილი ის იყო, ყური დაეგდოთ იმ პროფესიონალებისათვის, ვისაც მაღალი კვალიფიკაცია აქვს ამ საქმეში - არქიტექტურაში, განაშენიანებაში, ძეგლზე ზრუნვაში. ეს ხალხი იყო სრულიად იგნორირებული. ვითხოვდით, დაფინანსებულიყო ძეგლთა დაცვა. ძველი ხელისუფლება კი ამბობდა, რომ ძეგლებზე ზრუნავდა. მაგრამ ეს ვითარება ყოველთვის აირეკლება ბიუჯეტზე. თუ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სახსრები ძეგლების დასაცავად, ყველაფერი ცარიელ სიტყვებად რჩება. ჩვენ გვინდოდა, რომ თბილისის თემა გვექცია საზოგადოებრივი განსჯის საგნად. თუ კვალიფიციურ ადამიანს მიუგდებენ ყურს, ჩემი ფუნქცია დამთავრდება, რადგან მე საამისო კვალიფიკაცია არ გამაჩნია. ჩვენი მოძრაობის მთელი აზრი ის იყო, რომ პროფესიონალების აზრი გაეთვალისწინებინათ. რა თქმა უნდა, ამ საქმეს დღეს მეტი ყურადღება ექცევა, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც რაღაც ნებადართული არ არის, მაგრამ თუ მაღალჩინოსანი ჩაერევა, ვითარება იცვლება. ეს უკვე არასამართლებრივი სივრცის შექმნის ნიშანია. აქ გამოსავალი ერთია. კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს. რაც შეეხება ჩვენს კულტურას, ჩემი პირადი აზრით, კულტურა არ არის მარტო სახელოვნებო სამყარო. შეიძლება, კულტურა სალამში მეტად იგრძნობოდეს, ვიდრე ნახატში ან ლექსში. შე-**

# მთავარია, ვაშენოთ სამართალი

## და გვქონდეს განცდა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს

**იძლება გამოჩნდეს ვინმე გენიალური ადამიანი და შექმნას გენიალური ტილო და შეიძლება, ეს ადამიანი არ იყოს იმდენად კულტურული და ცივილიზებული, თუმცა არაკულტურულ წიაღში ასეთი ადამიანი ალბათ მაინც ვერ შედგება. ვინაიდან ქართული კულტურა არ არის ეგზოტიკური კულტურა და არის მნიშვნელოვანი ისტორიის მქონე კულტურა, ამდენად ეს ტრადიცია გასათვალისწინებელია. ბედნიერებაა, განძია, როდესაც მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის თუ ასეთი კულტურის ისტორია გაქვს. დღეს შემთხვევითი სახელმწიფო არ ხარ, შენი ისტორია მეტყველებს, რომ რაც შენმა ერმა ამდენი საუკუნის მანძილზე მოიტანა, შენც გეკუთვნის, იმსახურებ შენს სახელმწიფოებრიობას. მოდიხარ ახალი გენერაცია და შეფასდები იმით, რა შემატე ამ სახელმწიფოებრიობას. თუნდაც დღევანდელ დღეს როგორ გაამყარე დემოკრატიული ინსტიტუტები. ამგვარი ინსტიტუტების გარეშე დღევანდელი ცხოვრება არის ყოვლად წარმოუდგენელი. დემოკრატიული ყოფა ხელს უწყობს ერში ჩაბუდებული პოტენციის განვითარებას. არადემოკრატიულ ყოფაშიც შეიძლება აღმოცენდეს ტალანტი და ჩაკეტილი სივრცე გაარღვიოს. თუმცა საზოგადოებაში დემოკრატიისათვის აუცილებელი სადინარების გახსნა, ბუნებრივია, არადემოკრატიულ სივრცეში არ ხდება. ჩვენი წადილია, სამართლებრივ ქვეყანაში ვიცხოვროთ, ადამიანს ამის უფლება აქვს. ჩვენი გაწევრიანებაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში არის მოვალეობის აღება, პასუხისმგებლობის აღება. ნატო-ში შესვლა პანაცეა არ არის. ნატო-ში შესვლა გარე უსაფრთხოებისათვის გვჭირდება, მაგრამ ჩნდება მთავარი კითხვა - რაში გვჭირდება, რისთვის გვინდა გარე უსაფრთხოება? თუ გარე უსაფრთხოება იმისთვის გვჭირდება, რომ შიდა უსაფრთხოება დავარღვიოთ, ეს არ ვარგა. თუ იმისთვის გვინდა, რომ ახლის ძიებით რაიმე შევმატოთ იმ საგანძურს, რასაც ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ისტორია ჰქვია, მაშინ ძალიან კარგია. ეს ჩვენი გადასაწყვეტია. საზოგადოება არის უმთავრესი მამოძრავებელი მუხტი მთელი ქვეყნისა. ჩინოვნიკი არის მსახური, რომ ამ საზოგადოებას მთელი სიგრძე-სიგანით მიეცეს ასპარეზი ფიქრისა, აზროვნებისა და ამ ნაფიქრის რეალიზებისა.**


მოდით, დღევანდელ თბილისზე ვისაუბროთ.

- მართლაც ძალიან სასურველია, ამაზეც დიდი ხანია მსჯელობენ ჩვენთან, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეიქმნას სამართლებრივი სისტემა, რომელიც არ იქნება პიროვნებებზე მორგებული. ასეთ შემთხვევაში მთავარი პასუხისმგებლობა ყოველთვის ეკისრება ხელისუფლებას, რომელსაც აქვს ასეთი სისტემის შექმნის ბერკეტები. არის სხვა მიზეზებიც: სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის სათავეებთან ყოველთვის დგას გონიერი და ნამდვილი ღირებულებების მქონე საზოგადოება. ასეთი საზოგადოების რიცხობრივი რაოდენობა საბჭოთა ტერორის შემდეგ ძალიან შემცირდა. თან ჩვენი ტრაგედიაა, რომ ლამის ყველა ხელისუფლება ამგვარ გონიერ საზოგადოებას უყურებს, როგორც მტერს. ნორმალური ქვეყნის აშენების ერთადერთი წინაპირობა არის ქვეყანაში ამგვარი გონიერი, ნამდვილ ღირებულებებზე ორიენტირებული საზოგადოების შექმნა. ქვეყნის მშენებლობისას ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი უნდა იყოს ამგვარი საზოგადოება. კიდევ ცალკე პრობლემაა, რის, რა ღირებულებების საფუძველზე უნდა შეიქმნას მომავალში ამგვარი საზოგადოება.

**- შეიძლება კულტურა, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოს შენებაში გამოიხატოს. ჩემთვის სახელმწიფოს შენება არის სამართლის შენება.**

- ცხადია, აბსოლუტურად გეთანხმებით. სამართალის გარეშე ნორმალური სახელმწიფო ვერ შედგება. ეს იქნება სახელმწიფოს სუროგატი.

**- დღეს ნაკლებად არის იმის განცდა, რომ ადამიანი სამართალს იპოვნის. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვაშენოთ სამართალი. სასამართლო იმიტომ ჰქვია, რომ იქ სამართალი იპოვოს კაცმა... ქართული საზოგადოების კულტურის მთავარი ნიშანი არის, რომ ის ცხოვრობს სამართლის საშენებლად ან სახელმწიფოს საშენებლად. ეს ერთად უნდა მოიაზრებოდეს... რაც შეეხება სულიერებას, სახელოვნებო სამყაროს, დღევანდელი საინფორმაციო საშუალებების პირობებში მასკულტურას სახელმწიფოს მხრიდან პროპაგანდა და ზრუნვა არ სჭირდება. თვითონ ვითარდება, თვითონ მოძებნის აუდიტორიას. მაგრამ არის ჭეშმარიტი, ფასეული ღირებულებები, რომლებიც სულიერ საზრდოს აწვდის ხალხს. სწორედ ამას სჭირდება მოვლა და ხელშეწყობა მთელი სახელმწიფოსგან. იმავე საინფორმაციო საშუალებებში, სადაც დეტალურადაა ყველა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო საკითხი გაშუქებული, სულ ბოლოს, როდესაც პროგრამა უკვე დასრულებული გვგონია, მაშინ გაიელვებს ხოლმე მწირი ცნობა ხელოვნების სფეროს მოვლენებზე. მე ვფიქრობ, დღევანდელი ქართული ხელოვნება ასე ბოლოში გადაგდებული არ უნდა იყოს. პირიქით, გარემო კულტურული ამბებით უნდა იყოს გაჯერებული. ეს საგანძურია. ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ყველაფერზე უნდა იყოს, მაგრამ საჭიროა მეტი აქცენტი გაკეთდეს ქართულ სულიერებაზე, ქართულ კულტურაზე, ქართული საზოგადოების ყოფაზე, ჩვენს მისწრაფებებზე, მოლოდინზე.**

- ამასთან, არ შეიძლება ლამის ყველა არხზე მთელი დღის განმავლობაში გვაწვდიდნენ თითო საათიან საინფორმაციო გადაცემებს, ხოლო ამ გადაცემებში ძირითადად მოგვითხრობდნენ: მკვლელების და ნარკოტიკების გადამყიდველების, თუ მათი დაკავების შესახებ. როდესაც ქართული მასალა შემოელევათ, შემდეგ უცხოეთის ბლოკში ასევე დეტალურად განიხილება მსოფლიოში მომხდარი საშინელი ამბები. ბოლოში გადასროლილ კულტურის ბლოკშიც დროის დიდი ნაწილი ასევე ეთმობა სამამულო თუ უცხოური მოდის ჩვენებების ამბებს, ან ჰოლივუდის ვარსკვლავების პირადი ცხოვრების დეტალებს. არავის არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო, გასაგებია, ყველა სახის მასალას თავისი მაყურებელი ჰყავს, მაგრამ მარტო მოდების ჩვენება და ხშირად პიროვნულად ყოვლად უმნიშვნელო მსახიობების პირადი ცხოვრება არ არის კულტურა. იგივე ევროპაში ან ამერიკაში კულტურულ სამყაროში საინტერესო მეტი არაფერი ხდება ყოველდღიურად? მაგრამ ხომ არსებობს მწერლობა, მხატვრობა, ფილოსოფია, ქანდაკება, სხვადასხვა მეცნიერებანი და ასე შემდეგ. თავს თუ დავანებებთ იმ ფაქტს, რომ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს იგივე ქართულ კულტურას. ჩვენ თუ არ დავაფასეთ ის, რაც გვაქვს, სხვას რაღატომ დააინტერესებს ის?

**- სხვათა შორის, კიდევ ცალკე პრობლემაა, როდესაც ადამიანი ხელისუფლებაში გაერევა, ტელეეკრანიდან აღარ ჩამოდის და ამაში მას მასმედიაც ხელს უწყობს. მაშინ ამ ადამიანს, მეტადრე სულმოკლე ადამიანს, უჩნდება უნიადაგო ამბიცია, რომ იყო ზეზვა და მზია, მერე გაჩნდა თვითონ. შუაში არაფერი არ ყოფილა.**

- ხელისუფლების ნორმალურ წარმომადგენელს თვითონ უნდა ჰქონდეს სურვილი, რაც შეიძლება ნაკლებად ჩანდეს ეკრანზე. ისე კი ეს მართლაც ჩვენი, რიგითი მაყურებლის ტრაგედიაა, რომ მოსჯილი გვაქვს, გვინდა თუ არა, დღის რაღაც ნაწილი მაინც არაფრისმთქმელი ადამიანების ამბიციური გამოსვლები ვისმინოთ.

**- ძალიან ბევრი პოლიტიკაში გარეული ადამიანი ისტორიულმა შემთხვევითობამ მოიყვანა პოლიტიკაში. ეს ხომ ყველასთვის ცნობილია. ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, დანარჩენები ტალღას ადევნებული ჯგუფია, რომელსაც მოკრძალება ეკარგება ხოლმე, რადგან თვლის, რომ ბედის უკუღმართობამ კი არ მიიყვანა იქ, არამედ საკუთარმა მუყაითობამ და დიდმა ღვაწლმა. ეს ცარიელი თავთავის თვისებაა. კულტურაზე აქცენტებიც იმიტომ მოვისაკლისე, რომ კულტურა გასწავლის, თუ სწავლობ, რომ არასდროს არ გაუჩნდეს ხელისუფლებაში გარეულ არც ერთ ადამიანს იმის შეგრძნება, რომ მისი დრო მოვიდა. რადგან კულტურული ადამიანი ხვდება, რომ ის გავრცობილია დროში. მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ ქრისტე-ღმერთის დროში ვცხოვრობთ და არასოდეს ჩვენი დრო არ მოდის და არ მიდის. მისი დრო დგას, ჩვენ მივდივართ და მოვდივართ, და რა ღვაწლითა და რა ცოდვა-მადლით შევემატებით ჩვენს წარსულსა და მომავალს, ეს ჩვენი პირადი სულიერების გამოძახილი იქნება. ხელისუფალთ წილად ხვდათ ძალიან დიდი პატივი, ემსახურონ ქართულ საზოგადოებას. როგორც ხელოვანი უნდა თვლიდეს, რომ ის არის მსახური თავისი ხალხისა, სამშობლოსი, საქართველოს მოქალაქისა. იმის ნაცვლად, რომ თვითონ იმსახუროს პარაზიტულად ქართული საზოგადოება, ასევე ჩინოვნიკმა თავჩახრილმა უნდა იშრომოს იმისთვის, რომ ქართულ საზოგადოებას ემსახუროს. პატივცემულ ადამიანად გადააქცევს ეს მსახურება და არა ყელყელაობა და უსაფუძვლო ამბიციები.**

- გონიერი პოლიტიკოსი თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული, რომ საზოგადოება რაც შეიძლება ნაკლებად იყოს პოლიტიზებული. ამის ერთადერთი საშუალება არის ის, რომ ყველას მიეცეს თავისი საქმის თავისუფლად კეთების საშუალება. ასეთ შემთხვევაში ჩამოყალიბდება ნორმალური, თავისუფალი საზოგადოება, რომელიც არანაირად აღარ იქნება ხელისუფლებაზე რაიმე ფორმით დამოკიდებული. გონიერი ხელისუფლება უნდა ხვდებოდეს, რომ ადამიანთა ამგვარი ფენის შექმნა მისთვისვე არის სასარგებლო. რადგან ნორმალურ ქვეყანას ამგვარი ხალხი შექმნის.

**- როგორმე უნდა გავთავისუფლდეთ ამ პოლიტიზებული წნეხისგან, რომელმაც გაჟღინთა საზოგადოება.**

- ეს ტენდენცია, ჩემი აზრით, მაინც ხელისუფლებისგან უნდა წამოვიდეს.

**- ჩვენგან უნდა წამოვიდეს, რადგან ხელისუფლება თუ ოპოზიცია ამით არ არის დაინტერესებული.**

- შეიძლება. მაგრამ აქ ერთგვარი ჩაკეტილი წრე გვაქვს. ვიდრე ადამიანებს ნორმალური ცხოვრების საშუალება არ შეექმნებათ, მანამდე მიჩერებულნი იქნებიან ტელეეკრანებზე და პოლიტიკოსებზე, რომლებიც, უნდათ თუ არ უნდათ, მათ ბედს წყვეტენ. ისე, საზოგადოებამაც უნდა იპოვოს თავის თავში ძალები, რომ აიძულოს ქვეყნის მმართველები, ანგარიში გაუწიონ მას. მაგრამ აქ უბედურება ისევ ის არის, რომ ხელისუფლებისაგან, გვინდა თუ არა, ისევ რაღაც მტრის ხატი გვიჩნდება და ასევე დაპირისპირებულად მოიაზრებს ხელისუფლება თავის თავს საზოგადოებასთან. არადა, ხომ აღარ გვყავს რუსების მიერ დანიშნული მთავრობა, ეს არის ჩვენს მიერ არჩეული მთავრობა. არ მესმის, რატომ არ შეიძლება ხელსუფლებას და ხალხს შორის იყოს უფრო ნორმალური დამოკიდებულება. არა ისე, ვინ ვის მოატყუებს, ვინ ვის რას წაგლეჯს. ასეთ შემთხვევებში, ცხადია, პასუხისმგებლობა ყოველთვის ეკისრება იმას, ვის ხელშიც მეტი ძალაა.

**- ისე, დღევანდელი პოლიტიზება ყველაზე მეტად აირეკლება ყმაწვილებზე, სტუდენტებზე. ჩემი აზრით, ამ ასაკში ადამიანი მთელი აღმაფრენით უნდა მიდიოდეს პაემანზე, ის კი მიდის რომელიღაც პოლიტიკურ ორგანიზაციაში. ამას მოესწრება. პოლიტიკურ ორგანიზაციაში თუ არა, საარჩევნო ყუთთან მაინც მივა და თავის პოზიციას გამოხატავს. საუკეთესო განწყობილებებს თრგუნავს ეს პოლიტიზება.**

- პოლიტიკაში მყოფთა დანიშნულება და მიზანი უნდა იყოს სწორედ ეს, რომ ადამიანებს შეუქმნან ნორმალური ცხოვრების საშუალება. მაშინ, თუ გულწრფელად შევხედავთ, პოლიტიკაში წასვლა ადამიანს ან მისჯილი უნდა ჰქონდეს, ან ისეთ მოწოდებას უნდა გრძნობდეს საკუთარ თავში, რომ სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლოს, ერთგვარად თავის დადების სურვილს ქვეყნისთვის, თანამემამულეებისთვის. რამდენი მიდის ამ განწყობით პოლიტიკაში? არავის არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ მგონი, ძალიან ცოტა. პოლიტიკა ჩვენთან, სამწუხაროდ, ძირითადად იქცა სხვაგან ხელმოცარული ადამიანების ასპარეზად, რომლებიც ელემენტარულად საკუთარ ცხოვრებას იწყობენ პატიოსანი ადამიანების ხარჯზე, რა ლოზუნგებითაც არ უნდა იყვნენ მისული ამ პოლიტიკაში. არადა, ეს ყველაფერი ძალიან სამწუხაროა. იმიტომ, რომ ახლა ხომ ეს ქვეყანა ჩვენია და ჩვენვე ვქმნით საკუთარ სახელმწიფოს თუ მომავალს. რატომ არ შეიძლებოდა, რომ ყველას გვქონოდა რიგი საერთო ფუძემდებლური იდეალებისა, განცდა, რომ ყველანი ერთად ვაშენებთ ერთ, ძლიერ სახელმწიფოს.

**- შთაბეჭდილება მრჩება, რომ როდესაც პოლემიკა მიმდინარეობს პოლიტიკურ წრეებში, მხარეები ტყუილ-მართალზე მეტად იმაზე უფრო ფიქრობენ, ვინ მოუგებს კამათს... ისე კი, მთავარი ჩემი აზრით ის არის, რომ ვაშენოთ სამართალი. და გვქონდეს განცდა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.**



# ინტერიერი

ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის არსებობდნენ ნიჭიერი ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ თავისი ან მეგობრების სახლების გაფორმება. დღესაც ასეა. ძირითადად, ამ საქმეს არქიტექტორები აკეთებენ. მათ შეემატნენ კონკრეტული პროფესიის - ინტერიერის დიზაინერები. თან, მათზე მოთხოვნილებაც გაიზარდა.

გაჩნდა სურვილი, რომ ქართველებსაც გვქონდეს წარმომადგენლობითი ოფისი, სახასიათო დიზაინის კაფე, კლუბი, რესტორანი და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულება, ლამაზი და კომფორტული საცხოვრებელი. ამ ყველაფერს სჭირდება პროფესიონალი, რომელიც შეეცდება ჩაწვდეს ყოველი ადამიანის სურვილს, ესთეტიურ და ფუნქციურ მოთხოვნას, ეცდება გახადოს ცხოვრება უფრო მობილური, ლამაზი და მრავალფეროვანი.

ინტერიერის დიზაინის თემამ ევოლუცია განიცადა, ჩამოყალიბდა სხვადასხვა პერიოდის და სტილის მიმდინარეობები. გაჩნდა უამრავი ახალი მასალა და ტექნოლოგიები. ადრე თუ, ძირითადად, ტიპიური (სტანდარტული) განლაგების ბინები ჰქონდათ, თანამედროვე სივრცის დაგეგმარება უფრო თავისუფალი და ინდივიდუალური გახდა. შესაძლებელია დიდ სივრცეში სრულიად დამოუკიდებელი სივრცეების შექმნა მოდულების (სხვადასხვა სახის კონსტრუქციული ელემენტების) საშუალებით.

დიდ ინფორმაციას ვიღებთ ჟურნალებით, წიგნებით, ტელევიზიით, ინტერნეტით, მაღაზიები სავსეა სხვადასხვა მოსაპირკეთებელი თუ დეკორატიული მასალებით, რაც არაპროფესიონალს აბნევს და ყველა დამოუკიდებლად ვეღარ წყვეტს საკუთარ დიზაინს. სწორედ ამიტომ მიმართავენ სპეციალისტს. მოკლედ და მარტივად მოგიყვებით რა ხდება ამის შემდეგ.

ინტერიერის დიზაინერი ან დიზაინერთა ჯგუფი შეისწავლის მოცემულ დასაპროექტებელ ადგილს და მის დანიშნულებას. ეცნობა დამკვეთის სპეციფიურ მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება, ბოლოს, თვითონვე შეცვალოს, გადაიფიქროს, გააჩნია, რას შესთავაზებს დიზაინერი. მუშავდება იდეა, კონცეფცია, თუ როგორი უნდა იყოს მომავალი სივრცე... იწყება ამაზე გაუთავებელი ფიქრი, ყველგან და ყოველ დროს, ძილშიც... კეთდება ჩანახატები, კოლაჟები, ნახაზები და კომპიუტერული ვიზუალი, ანუ სამგანზომილებიანი გამოსახულება, სადაც დამკვეთი ნათლად ხედავს, როგორია მისი პროექტი.

როდესაც ეს ყველაფერი დამტკიცდება, იწყება მშენებლობა-რემონტი, რომელსაც წინასწარი შეთანხმების თანახმად დიზაინერი თვალყურს ადევნებს. იგი ეხმარება დამკვეთს ინტერიერის დეკორაციაში - ავეჯის, განათების, სანტექნიკის, ტექსტილის, ნივთების და სურათების ექსპოზიციის შერჩევაში.

*ინტერიერი პირველი შთაბეჭდილებაა მის პატრონზე. გამოიცნობ, როგორი გემოვნება აქვს, რა სტილის ადამიანია, რაზე გიჟდება, რა ასაკის არის, რომელი ფერი ამშვიდებს... თუ, მისთვის სულერთია, როგორ გარემოშია თვითონ, და ისიც არ ადარდებს, სხვები როგორ იგრძნობენ იქ თავს. ინტერიერის დიზაინი ჩემი პროფესიაა, საყვარელი საქმე და თემა.*

*ნატა ჯანბერიძე, სტუდია "ROOM'S" დიზაინერი*



კომპიუტერული ვიზუალი. დიზაინი _ სტუდია ROOM`S



ფერუჩო ლევიანის Bourgie light ბაროკო/რენესანსის სტილის ლამპა შესრულებულია პოლიკარბონატში

ფურნიტურას ინტერიერში დიდი მნიშვნელობა აქვს. მას არჩევენ წინასწარ ჩაფიქრებული სტილის, ფორმის, ფერისა და ფაქტურის მიხედვით. თანამედროვე ინტერიერში არ არის აუცილებელი, რომ ყველაფერი ეკუთვნოდეს კონკრეტულ სტილს და პერიოდს. დღევანდელი დიზაინის იდეაც და ტექნოლოგიაც იმდენად დახვეწილია, რომ შეიძლება ძველის და ახალის ჰარმონიულად აღრევა, თუმცა, ამას უნდა მიუდგე ფრთხილად, გრძნობით და იუმორით. შედეგი უცხო და საინტერესო გამოდის.

მსოფლიო მასშტაბით აღიარებულ თანამედროვე არქიტექტორ-დიზაინერებს კლასიკოსებისგან დატოვებული იმხელა გამოცდილება აქვთ, რომ XXI საუკუნეში არსებული მასალებით და საშუალებებით სასწაულების მოხდენა შეიძლება. მაგალითად, ტრადიციული ფორმების და ახალი მასალების (პოლიკარბონატის, მეტალის, მინის, ორგმინის) შერწყმა. ასეთი "სიგიჟეების" ერთერთი ოსტატია ფრანგი ავანგარდისტი ფილიპ სტარკი. მისი დიზაინი ან ძალიან უნდა მოგწონდეს, ან საერთოდ ვერ იღებდე მის ესთეტიკას. ფაქტია, რომ იგი აღიარებულია, და მოიხსენიება XX საუკუნის კლასიკოსებთან ერთად, როგორებიც არიან ლე კორბუზიე, მის ვან დერ როე, ალვარ აალტო, ეილინ გრეი, ერო აარნიო და სხვები. გარდა იმისა, რომ ისინი გენიოსებად გაჩნდნენ, მათ გარკვეული მიზანი ჰქონდათ, ისინი სოციალური მასშტაბებით აზროვნებდნენ, შექმნეს სრულყოფილი ნივთები, რომლებიც მასისთვის მისაღები და სერიული წარმოებისთვის მარტივი იყო. მათ მიერ დაპროექტებული ავეჯი და განათება ორიგინალური მოდულებია, რომლებიც თანამედროვე დიზაინერულმა ფირმებმა და საწარმოებმა შეისყიდეს და დღესაც უშვებენ 20-იან და 60-იან წლებში შექმნილ ფურნიტურას. მართალია, ფასი მაღალია და წლიდან წლამდე უფრო მატულობს. ასევე ძვირად ფასობს ამ ნივთების ექსპერიმენტული ვერსიები და პროტოტიპები.

პირველი რუბრიკაში ვეცადე ინტერიერის დიზაინის შესახებ ზოგადად, კოლაჟის სტილში დამეწერა. ვეცდები ამ ხაზს გავყვე და მკითხველისთვის საინტერესო ინფორმაცია გადმოვცე.



იურგენ ბეის დიზაინი



ლუი XV ეპოქის ფრანგული დიზაინი ერწყმის თანამედროვე მასალას - პოლიკარბონატს.

ფილიპ სტარკის სკამი "ლუის აჩრდილი".



ლე კორბუზიეს შეზლონგი VITRA, რომელსაც დღეს აწარმოებს ფირმა Flat



ორიგინალური ჩამოსაჯდომის ავტორია გერმანელი დიზაინერი იურგენ ბეი

იტალო კალვინო

# უჩინარი ქალაქები



ერთი მოგზაურის ორი (რეალისტური და ფანტასტიკური) პოლუსი

*სანტიაგო დე ლას ვეგასში*, ჰავანას მახლობლად დაიბადა 1923 წელს.

*სანრემოში* იზრდებოდა 20 წლამდე.

*ტორინოში, რომაში* ცხოვრობდა და მუშაობდა 1945 წლიდან.

*პარიზში* გადავიდა საცხოვრებლად ყოველგვარი ოჯახური და სამსახურებრივი მიზეზების გარეშე 1964 წელს.

*ნიუ იორკთან*, ცნობილია, რომ აუხსნელი სიყვარული აკავშირებდა: "ესაა გეომეტრიული ქალაქი, კრისტალური, უწარსულო, სიღრმის გარეშე; ერთი შეხედვით, არა აქვს საიდუმლოებები.. საფლავის ქვაზე დავაწერინებ, რომ ნიუ იორკელი ვიყავი..".

და ამ საკმაოდ ფართო გეოგრაფიული ემპირიის მიუხედავად, **იტალო კალვინოს** ნაწარმოებების უმეტესობას არა აქვს მოქმედების კონკრეტული ადგილი, რეალისტური განზომილება. **"უჩინარი ქალაქები"** ამის საუკეთესო მაგალითია.

"უჩინარი ქალაქები" მცირე ფორმის რომანია, რომელიც ფანტასტიკურ გეოგრაფიასა და ისტორიულ გაუცხოებას ეფუძნება და თავის ლაბირინთულ, მაგრამ კალვინოსთვის დამახასიათებელ გეომეტრიული სიზუსტით აგებულ სტრუქტურაში ზღაპარსა და ფილოსოფიურ ნააზრევს ერთმანეთს ანაცვლებს. კალვინოს თუ მოვუსმენთ, ეს "ერთმანეთის გვერდიგვერდ მოთავსებული მოკლე ტექსტები ერთმანეთისგან არ გამომდინარეობენ და არავითარ იერარქიას არ ემორჩილებიან, ისინი ქმნიან ერთგვარ ბადეს, რომლის ფარგლებშიც მრავალი გზის გაკვალვა და არაერთი და ურთიერთგანსხვავებული დასკვნის გამოტანა შეიძლება".

გარდა იმისა, რომ ამ ქალაქების დროსა და სივრცეში ლოკალიზაცია შეუძლებელია ან თითქმის შეუძლებელია, მათი ერთ-ერთი უცნაურება ისიცაა, რომ მათ ქალების ხან ჩვეულებრივი (თამარა, დოროთეა, დესპინა, ოლივია, ადელმა, ლეანდრა, აგლაურა) და ხანაც არაჩვეულებრივი (ძორა, ეუსაპია, ძემრუდე, ბერენიჩე) სახელები ჰქვიათ.

ამ ქალი-ქალაქების ერთიანობა კი ემბლემების ერთგვარ კატალოგს ქმნის: მაგალითად, დიომირა, იზიდორა, ძორა, მაურილია მოგონებების ქალაქებია. დოროთეა, ანასტაზია და სხვები - სურვილების, თუმცა ზოგგან "სურვილები მოგონებებად ქცეულან" უკვე. არის ნიშნების ქალაქები, ვთქვათ, ქალაქი - ობობას ქსელი - ოტავია ან ურთიერთობების ობობას ქსელებში გახლართული ქალაქი ერსილია. გარდაცვლილების ქალაქებიდან ყველაზე შემზარავია არჯა, სადაც ჰაერის მაგივრად მიწაა, თუმცა ამის შემდეგ უშუალოდ ცასთან დაკავშირებულ ქალაქ თეკლაზე გადავდივართ, რომლის პროექტიც ვარსკვლავიანი ცის მიხედვითაა შექმნილი. გაგრძელებული ქალაქებიდან პენტესილეას მიაქციეთ ყურადღება, რომელიც საკუთარი თავის პერიფერიაა და არ ვიცით, პენტესილეას გარეთ არსებობს კი გარეთ? ბერენიჩე კი მართლების ქალაქი გახლავთ, ".. მაგრამ თუ გავაგრძელებთ ჩხრეკას ამ სიმართლის ახალი კვირტის შიგნით, აღმოვაჩენთ ერთ პატარა ლაქას, რომელიც ფართოვდება, როგორც ზრდადი მიდრეკილება: დაადგინოს ის, რაც არის მართალი - იმის საშუალებით, რაც ტყუილია, და იქნებ ეს ერთი უშველებელი მეტროპოლის კვირტია".

"უჩინარი ქალაქების" ფანტასტიკურობა, ერთი შეხედვით, უსასრულოდ შორეული წარსულისკენაა მიმართული, სიცოცხლისა და სამყაროს საწყისებისკენ და აღმოსავლურობის სურნელი დაჰკრავს, მაგრამ კალვინო ოსტატურად აზავებს ამ სურნელს თანამედროვე მეტროპოლების სახურავებზე დაგუბებული გამონაბოლქვებით და ფრანებივით მსუბუქ, ფოთლის ძარღვებივით მქრქალ, ფილიგრანულ და მოუხელთებელ ქალაქებზე ფიქრსა და მსჯელობას ბიტუმივით მძიმე ქუჩებიანი თანამედროვე მეტროპოლებისკენ მოუძღვის.

"უჩინარი ქალაქების" მრავალწახნაგოვნებასა და მრავალმხრივობაში სასიამოვნო ნაცნობებივით გვხვდებიან მელანქოლიური ყუბლაი ხანი და ვიზიონერი მარკო პოლო, თუმცა ისტორიულსაყრდენგამოცლილნი, მაგრამ მაინც ჩვენი მეგზურნი ამ წარსულ-აწმყო-მომავლის ერთგვარ მორევში. სწორედ მათი საბოლოო სიტყვებით მინდა დავასრულო ჩემი შესავალი, რადგან, ვფიქრობ, უკეთესი სატყუარა ამ ნაწარმოების წაკითხვის სურვილის გასაღვიძებლად ძნელი მოსაძებნია:

"ყუბლაი: - ყველაფერი ფუჭია, თუ უკანასკნელი მისადგომი მაინც ჯოჯოხეთის ქალაქი იქნება, სწორედ იქაა, მის სიღრმეში, რომ უფრო და უფრო ვიწრო სპირალში ჩაგვითრევს დინება.

პოლო კი: - ცოცხლების ჯოჯოხეთი მომავალში კი არაა მოსალოდნელი; ჯოჯოხეთი თუკი საერთოდ არსებობს, იგი უკვე აქაა, ის ჯოჯოხეთი, სადაც ყოველ დღეს ვატარებთ, რომელსაც ერთად ყოფნით ვაყალიბებთ. მან რომ არ დაგვჯაბნოს, საამისოდ ორი გზა არსებობს. პირველი ბევრს ეიოლება: მიიღო ჯოჯოხეთი და გახდე მისი ნაწილი იმ ზომამდე, რომ ველარ ხედავდე მას. მეორე სარისკოა და გულისყურს და უწყვეტ მეცადინეობას მოითხოვს: ეძიო ის და შეგეძლოს შეცნობა იმისა, ვინც და რაც შუაგულ ჯოჯოხეთშიც არაა ჯოჯოხეთი, რაც შეიძლება ხანგრძლივად გააძლებინო და ასპარეზი გაუფართოო მას."

*ლელა ბერიძე*

ლელა ბერიძის
თარგმანი იტალიურიდან

## I თავი

ყუბლაი ხანს ყველაფერი როდი სჯერა, რასაც მარკო პოლო უამბობს დიპლომატიური მისიების შესრულების დროს მონახულებული ქალაქების შესახებ, მაგრამ თათრების იმპერატორი მართლაც რომ უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით და ყურადღებით უსმენს ახალგაზრდა ვენეციელს, ვიდრე ნებისმიერ სხვა თავის მოციქულსა თუ მზვერავს. იმპერატორების ცხოვრებაში არსებობს განწყობა, ჩვენ მიერ დაპყრობილი ტერიტორიების უსაზღვრო სიდიდის გამო სიამაყეს რომ მოჰყვება, მოსდევს მელანქოლიას და იმის ცოდნით გამოწვეულ შვებას, რომ მალე ვიტყვით უარს ამ ტერიტორიების გაცნობასა და შეცნობაზე; ესაა სიცარიელესავით გრძნობა, რომელიც ერთ საღამოს ისევე გაგვიჯდება, როგორც ჰაერს გაჟღინთავს ხოლმე ნაწვიმარზე ავარდნილი სპილოების სუნი ან იმ სანდალის ნაცრის სუნი, მაყალზე რომ ცივდება; ესაა თავბრუსხვევა, პლანისფეროების მოწითალო ზურგზე მოხატულ მდინარეებსა და მთებს რომ არყევს, ერთმანეთს გადააბურდავს იმ დეპეშების ხვეულებს, რომლებიც მტრის უკანასკნელი ჯარების განადგურებას გვატყობინებენ ყოველი მარცხისას, ახსნის იმ მეფეთა ბეჭდების ლუქს, ვისი სახელიც ჯერ არავის გაუგონია და რომლებიც ჩვენი წინმიმავალი შეიარაღებული ჯარებისგან დაცვას ითხოვენ, სანაცვლოდ კი ძვირფას ლითონებს, გამოყვანილ ტყავეულობას და კუს ბაკნებს გვთავაზობენ წლიური გადასახადების სახით; ესაა იმედგადაწურულობის წამი, როდესაც ირკვევა, რომ ეს სახელმწიფო, ჩვენ რომ ყველანაირი საოცრების მწვერვალი გვეგონა, უსასრულო და უფორმო რღვევა ყოფილა, რომ მას კორუფცია განგრენასავით მოსძალებია და ჩვენი სკიპტრა ველარაფერს უშველის; როდესაც ირკვევა, რომ მოწინააღმდეგეთა ხელმწიფეების დამარცხებამ მათი სახელმწიფოების ხანგრძლივი ნგრევის მემკვიდრეებად გვაქცია. მხოლოდ მარკო პოლოს შემაჯამებელ მოხსენებებში ახერხებდა ყუბლაი ხანი დასაქცევად განწირული გალავნებისა და კოშკების მიღმა იმ ფაქიზი მონახაზის ფილიგრანულობის ნათლად განჭვრეტას, რომელსაც თვით ტერმიტებიც კი ვერ უხერხებენ მოხელთებას.

## ქალაქები და მოგონება. 1.

იქიდან წასული კაცი სამი დღე და ღამე აღმოსავლეთისკენ თუ ივლის, *დიომირაში* აღმოჩნდება, სადაც სამოცი ვერცხლის გუმბათია, ყველა ღმერთის ბრინჯაოს ქანდაკება დგას, ქუჩები კალით მოუკირწყლავთ, ბროლის თეატრი არსებობს და ერთი კოშკიდან ყოველ დილას ოქროს მამალი ყივის. ყველა ამ ღირსშესანიშნაობას მოგზაური უკვე სხვა ქალაქებიდან იცნობს. აქაურობის თავისებურება კი ისაა, რომ იმას, ვინც აქ სექტემბრის ერთ საღამოს მოხვდება, როცა დღე იკლებს, როცა სასაუზმეების კარებზე ყველა მრავალფერი ნათურა ერთდროულად ინთება და თან რომელილაც აივნიდან ქალის ძახილი გაისმის, იმათი შეშურდება, ახლა რომ ფიქრობენ, მსგავსი საღამო მქონია და მაშინ ბედნიერი ვყოფილვარო.

## ქალაქები და მოგონება. 2.

ყამირ მიწებზე ხანგრძლივად ცხენით ჯირითის შემდეგ ქალაქი ენატრება კაცს. და აი, ბოლოს და ბოლოს, *იზიდორასაც* მიაღწევს, ქალაქს, სადაც სასახლეებში ზღვის ლოკოკინებით მოპირკეთებული ხვეული კიბეებია, სადაც ხელოვნების ყველა წესის დაცვით ჭოგრიტებსა და ვიოლინოებს ამზადებენ, სადაც უცხოელი ორ ქალს შორის არჩევანის გაკეთებისას თუ ჭოჭმანობს, ყოველთვის მესამეს შეხვდება, სადაც მამლების ძიძგილაობა მენაძლევეებს შორის სისხლიანი განხეთქილებებით მთავრდება. კაცი ამ ყველაფერზე ფიქრობდა ხოლმე, ქალაქი რომ უნდებოდა. მაშ, იზიდორა მისი ოცნების ქალაქი ყოფილა - ერთი განსხვავებით: ნაოცნებარი ქალაქი მას ახალგაზრდას იცნობდა; იზიდორაში კი უკვე შუახნისა ჩამოდის. მოედანზე დაბალი კედელია, რომელზეც მოხუცები გამწკრივებულან და ახალგაზრდებს აკვირდებიან; ისიც მათთან ერთად ჩამომჯდარა. სურვილები უკვე მოგონებებად ქცეულან.

## ქალაქები და სურვილი. 1.

ქალაქი *დოროთეა* ორგვარად შეიძლება აღწერო; ან ასე: მის გალავანზე წამომართული ოთხი ალუმინის კოშკი გვერდში ამოსდგომია შვიდ ჭიშკარს, რომლის ზამბარიანი ასაწევ-დასაკეცი ხიდები ერთ თხრილზე გადატყორცნილან, რომლის წყალიც კვებავს ოთხ მწვანე არხს, ქალაქს რომ სერავენ და ცხრა სამას-სამას სახლიან და შვიდასშვიდას საკვამურიან უბნად რომ ჰყოფენ; და თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი უბნის გასათხოვარი გოგოები სხვა უბნების ბიჭებზე თხოვდებიან და მათ ოჯახებს იმ საქონლის აღებმიცემობა გაუჩაღებიათ, რაც მათ აბადიათ, ეს კი გახლავთ: ტეგანები, თართის კვერცხები, სექსტანტი-ჭოგრიტები, ამეთვისტოები, - ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება ყველაფრის დაანგარიშება და, რა გინდა, სულო და გულო, ყველაფრის გაგება ქალაქის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე; ანდა, მე რომ ამ ქალაქში მიმიყვანა, იმ მეაქლემესავით შეიძლება თქმა: "მთლად ახალგაზრდა ჩამოვედი აქ ერთ დილას, ბევრი ხალხი გამოფენილიყო ქუჩებში და ბაზრისკენ მიიჩქაროდა, ქალებს ლამაზი კბილები ჰქონდათ და ჯიქურ გიყურებდნენ თვალებში, სამი ჯარისკაცი რაღაც სცენაზე ასულიყო და კლარნეტებზე უკრავდა, გარშემო ყველგან საქანელები ტრიალებდნენ, ქარი კი ფერად წარწერებს აფრიალებდა. მანამდე უდაბნოსა და ქარავნის ბრტყელი გზების მეტი არაფერი მენახა. იმ დილას დოროთეაში ვიგრძენი, რომ ცხოვრებისგან ყველანაირ სიკეთეს უნდა ელოდე. მომდევნო წლების მანძილზე ისევ უდაბნოს გადასწორებული სივრცეების და ქარავნის გზების ჭვრეტამ მომიწია; ახლა კი ვიცი - ეს გზა მხოლოდ ერთი იმ მრავალთაგანია, იმ დილას დოროთეაში რომ იშლებოდნენ ჩემ წინ."

## ქალაქები და მოგონება. 3.

ფუჭი იქნება, სულგრძელო ყუბლაი, ჩემი მცდელობა, აღგიწერო *ძაირა* - ქალაქი მაღალი სიმაგრეებით. შემეძლო მეთქვა, რამდენი საფეხური აქვთ კიბეებადქცეულ ქუჩებს, რა ფორმისაა პორტიკატების თაღები, თუთიის როგორი ფურცლებითაა დაფარული სახურავები; მაგრამ უკვე ვიცი, რომ ეს არაფრის თქმის ტოლფასი იქნებოდა. ეს კი არ აძლევს ქალაქს სახეს, არამედ მისი სივრცის ზომებსა და მისი წარსულის მოვლენებს შორის მიმართებები: მანძილი ლამპიონის ძირიდან ჩამომხრჩვალი უზურპატორის მოქანავე ფეხებამდე; ლამპიონიდან მოპირდაპირე მოაჯირამდე გაჭიმული თოკი და დედოფლის საქორწილო მსვლელობისას გაბმული მორთულობები; მოაჯირის სიმაღლე და სალტო უკანონო საყვარლისა, რომელიც გამთენიისას გადაახტება ამ მოაჯირს; სანვიმარის დახრილობა და მასზე მოარული კატა, იქვე ფანჯარაში რომ ძვრება; ტყორცნის ხაზი ქვემეხიანი გემისა, რომელიც მოულოდნელად უკნიდან გამოჩნდა, და ბომბი, იმ სანვიმარს რომ ეცემა; სათევზაო ბადეების ნაგლეჯები და მოლოზე მსხდარი სამი მოხუცი, რომლებიც ამ ბადეების კემსვისას ერთმანეთს უკვე მეასედ უყვებიან უზურპატორის ქვემეხიანი გემის ამბავს, ამ უზურპატორზე ამბობენ, დედოფლის უკანონო შვილი იყოო, აქ, მოლოზე მიუტოვებიათ სახვევებშიო.

მოგონებებიდან გამოდგაფუნებული ამ ტალღით ღრუბელივით სველდება და იბერება ქალაქი. დღევანდელი ძაირას აღწერა მის მთელ წარსულს უნდა შეიცავდეს. მაგრამ ქალაქი დუმს თავის წარსულზე, ის, როგორც ხელისგული თავის ხაზებს, მოიცავს მას, დაწერილს ქუჩების კუთხეებში, ფანჯრების გისოსებში, კიბეების სახელურებზე, მეხამრიდებზე, დროშების ტარებზე, ყოველ კუთხე-კუნჭულსა თუ ნაკაწრში, ამონაკვეთსა თუ ნაჭდევში.

## ქალაქები და სურვილი. 2.

მხოლოდ სამხრეთისკენ თუ ივლის კაცი, სამი დღის თავზე *ანასტაზიაში* აღმოჩნდება, ქალაქში, რომელსაც კონცენტრული არხები რწყავენ და ქარიშხლები გადაუფრენენ ხოლმე. ახლა კი უნდა ჩამოვთვალო ის საქონელი, რისი ყიდვაც აქ უპრიანია: აქატი, ონიქსი, ქრიზოპრასი და ქალცედონის სხვა სახეობები; ოქროსფერი ხოხბის ხორცის ქებას უნდა მოვყვე, აქ რომ ამზადებენ ალუბლის ფიჩხზე გაჩაღებულ ცეცხლზე და ზემოდან ბევრ მაიორანს აყრიან; იმ მობანავე ქალების შესახებ უნდა გიამბოთ, ერთი ბაღის აუზში რომ დავინახე, ამბობენ, ხანდახან გამვლელსაც ეპატიჟებიან, რომ მათთან ერთად გაშიშვლდეს და მათ სდიოს წყალშიო. მაგრამ ამ ცნობებით ხომ ქალაქის ჭეშმარიტ არსს ვერ გადმოგცემ: რადგან თუ ანასტაზიას აღწერა მხოლოდ თანდათანობით აღძრავს სურვილებს და მერე გაიძულებს, სათითაოდ ჩაკლა ისინი, იმ ადამიანის ყველა სურვილი ერთბაშად იღვიძებს და შემოგეხვევა, ვინც ერთ დილას ანასტაზიაში ამოყოფს თავს. ქალაქი გეცხადება, როგორც ყველაფრის ერთობა, სადაც არცერთი სურვილი არ იკარგება და რომლის ნაწილიც თავად ხარ; და რამდენადაც ქალაქი ფლობს ყველაფერს, რაც შენ არ გაბადია, ისღა დაგრჩენია, ამ სურვილში მიიდრიკო თავი და ამით იყო ბედნიერი. ასეთი, როგორც ამბობენ, ხან კეთილი და ხან ავი ძალა აქვს ანასტაზიას, ამ მაცდურ ქალაქს; თუ

შენ დღეში რვა საათი აქატის, ონიქსის ან ქრიზოპრასის მჭრელად მუშაობ, შენი შრომა, რომელიც ფორმას აძლევს სურვილს, თავად სურვილიდან იღებს ფორმას, და შენ გგონია, მთელი ანასტაზია გეკუთვნის, მაშინ, როცა მეტი არაფერი ხარ, თუ არა ერთი მისი მონათაგანი.

## ქალაქები და ნიშნები. 1.

მიდის და მიდის კაცი დღეობით ხეებსა და ქვებს შორის. თვალი იშვიათად ჩერდება რამეზე და თუ ჩერდება, მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაცის მანიშნებლად შეიცნო იგი: ქვიშაზე ნაკვალევი ცხადყოფს, რომ აქ ვეფხვს გაუვლია, დაგუბებული წყლის გამოჩენით ნათელია, რომ აქ წყაროა სადღაც, აყვავებული ტუხტი კი ზამთრის დასასრულს მოასწავებს. ყველაფერი დანარჩენი მუნჯია და ურთიერთგაცვლადი; ხეები და ქვები მხოლოდ ის არიან, რაც არიან.

ბოლოს და ბოლოს გზას ქალაქ *თამარასთან* მიჰყავხარ. ქალაქში კედლებიდან გამოჩრილი საგზაო ნიშნებით გაძეძგილი ქუჩებით შედიხარ. თვალი საგნებს ვერ ხედავს, ირგვლივ მხოლოდ საგანთა სიმბოლოებია, რომლებსაც სხვა მნიშვნელობები აქვთ: გაზი მიუთითებს კბილის ამომღების სახლზე, კათხა - სამიკიტნოზე, შუბი - მცველთა რაზმზე, ცალსასწორი - მწვანილების გამყიდველზე. ძეგლებზე და გერბებზე გამოხატულია ლომები, დელფინები, კოშკები, ვარსკვლავები: ეს იმის ნიშანია, რომ რაღაცის - ვინ იცის, რის - ნიშანია ლომი ან დელფინი, კოშკი ან ვარსკვლავი. სხვა ნიშნები კი გვაფრთხილებენ, რა არის ამ ადგილას აკრძალული: შესახვევში კარეტით შესვლა, ჯიხურის უკან მოშარდვა, ხიდიდან ანკესით თევზაობა; ან ნებადართული: ზებრების დარწყულება, ხის ბურთულებით თამაში, ნათესავების სხეულების კრემაცია. ტაძრების შეღებული კარებიდან ღმერთების ქანდაკებები მოჩანს და თითოეული თავისი ატრიბუტითაა გამოსახული: სიუხვის რქით, ქვიშის საათით, მედუზით, რომლითაც მორწმუნეს შეუძლია მათი შეცნობა და მათთვის მართებული ლოცვით მიმართვა. თუ შენობაზე არავითარი ნიშანი ან სიმბოლო არაა გამოსახული, მისივე ფორმა ან ქალაქის წესრიგში მის მიერ დაკავებული ადგილია საკმარისი მის ფუნქციაზე მისათითებლად: სამეფო სასახლე, ციხე, მონეტის-საჭრელი, პითაგორული სკოლა, ბორდელი. ის საქონელიც, გამყიდველები რომ დახლებზე გამოფენენ, თავისთავად კი არაა ღირებული, არამედ როგორც სხვა რამის სიმბოლო: შუბლზე ნაქარგებიანი თავსაკრავი ნიშნავს ელეგანტურობას, მოოქროვილი ტახტი - ძალაუფლებას, ავეროეს ტომები - ცოდნას, კოჭსამკაული - ლუქსუსს. თვალი ქუჩებს ისე გადაევლება, როგორც დაწერილ გვერდებს: ქალაქი ყველაფერს ამბობს, რაც შენ უნდა იფიქრო, გამეორებინებს თავის სათქმელს, და რომ გგონია, თამარას ვათვალიერებო, მეტით არაფრით ხარ დაკავებული, თუ არა სახელების რეგისტაციით, რომლებითაც იგი თავის თავს და ყველა თავის უბანს განსაზღვრავს.

როგორია ნამდვილი ქალაქი ამ მჭიდრო გარსის მიღმა, რას შეიცავს ან რას ფარავს იგი, კაცი ამას ვერ იგებს, ისე გამოდის თამარადან. გარეთ შიშველი მიწა გადაჭიმულა ჰორიზონტამდე, იხსნება ცა, სადაც ღრუბლები დაჰქრიან. იმ ფორმაში, რომელსაც შემთხვევა და ქარი აძლევენ ღრუბლებს, ადამიანი უკვე მზადაა, რაღაც სიმბოლოები შეიცნოს: აფრიანი ნავი, ხელი, სპილო...

## ქალაქები და მოგონება. 4.

ექვსი მდინარისა და ერთმანეთზე გადაჯაჭვული სამი მთის იქით…აღმართულა *ძორა*, ქალაქი, რომელიც ვისაც უნახავს, ვეღარც დაუვიწყებია. მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს ქალაქი სხვა სამახსოვრო ქალაქებივით არაჩვეულებრივ სურათს ტოვებს მოგონებებში. ძორას თავისებურება ისაა, რომ იგი მეხსიერებაში ყოველი დეტალით რჩება, ქუჩებისა და მათ გასწვრივ ჩაყოლებული სახლებისა და ამ სახლებში კარებისა და ფანჯრების თანმიმდევრობით, თუმცა მათში არაფერია გამორჩეულად ლამაზი და იშვიათი. მისი საიდუმლო იმაშია, თუ როგორ გადაევლება თვალი სიმბოლოებს, ერთმანეთს რომ მისდევენ, თითქოს მუსიკალური პარტიტურააო, სადაც ვერცერთ ნოტს ვერ შეცვლი ან გადააადგილებ. ვინც ზეპირად იცის, როგორაა ნაგები ძორა, თუ ღამე ვერ იძინებს, წარმოიდგენს, რომ ძორას ქუჩებში დადის და იხსენებს თანმიმდევრობას, როგორი წესითაც ერთმანეთს მიჰყვებიან სპილენძის საათი, საპარიკმახეროს ზოლებიანი ფარდა, ცხრანასვრეტიანი შადრევნის ჭავლების ხტუნვა, ასტრონომის მინის კოშკი, საზამთროს გამყიდველის ჯიხური, განდგომილისა და ლომის ქანდაკება, თურქული აბანო, კაფე კუთხეში, პორტისკენ მიმავალი მოსახვევი. ეს ქალაქი გონებიდან არ ამოდის და იმ არმატურას ან ქსელს ჰგავს, რომლის უჯრედებშიც ნებისმიერს შეუძლია ყველაფრის განლაგება, რაც დასავიწყებლად არ ემეტება: გამოჩენილი ადამიანების სახელების, გმირობების, ნომრების, მცენარეებისა და მინერალების კლასიფიკაციების, ბრძოლების თარიღების, თანავარსკვლავედების, წინადადების ნაწილების. ნებისმიერ ადამიანს შეეძლება გეზის ყოველ ცნებასა და პუნქტს შორის მსგავსებათა და კონტრასტთა კავშირის დადგენა, რაც მეხსიერებაში მათი მეყსეული გამოწვევისთვის გამოდგება. ამდენად, მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანები ისინი არიან, რომლებმაც ძორა ზეპირად იციან.

მაგრამ ტყუილად დავკარგე დრო ამ ქალაქში ჩასვლაზე: უკეთ რომ ყოფილიყო შესაძლებელი მისი დამახსოვრება, იგი იძულებული გახდა, უძრავი დარჩენილიყო და სულ თავის თავს მსგავსებოდა, ამიტომაც დაკნინდა ძორა, დაინგრა და გაქრა. მიწამ დაივიწყა იგი.



## ქალაქები და სურვილი. 3.

*დესპინაში* ორი გზით შეიძლება ჩახვიდე: გემით ან აქლემით. ქალაქი სხვაგვარად წარუდგება ხმელეთიდან მოსულს, და სხვაგვარად - წყლიდან მოსულს.

მეაქლემე ხედავს, როგორ ჩნდებიან ზეგნების ჰორიზონტზე ცათამბჯენების ქონგურები, სარადარო ანტენები, როგორ ხმაურობენ თეთრ-წითელი სავენტილაციო მილები, როგორ უშვებენ ბოლს საკვამურები... და მეაქლემე ფიქრობს გემზე, მან იცის, რომ ეს ქალაქია, მაგრამ მას ხომალდად წარმოიდგენს, უდაბნოს რომ გააშოროს იგი, აფრიან გემად, რომელიც აგერ-აგერ ამოიღებს ღუზას და გავა ქარში, ჯერ გაუშლელ აფრებს რომ ბერავს უკვე, ან რკინის კილში მოცახცახე ქვაბის ორთქლს დაატარებს აქეთ-იქით; და ფიქრობს ყველა პორტზე, ზღვისიქითა საქონელზე, ამწეები რომ გადმოტვირთავენ მოლოებზე, იმ დუქნებზე, სადაც განსხვავებულდროშებიანი ეკიპაჟები ბოთლებს თავზე იმსხვრევენ, პირველ სართულზე განათებულ ფანჯრებზე და თითოეულში თითო ქალზე, რომელიც თმას ივარცხნის.

მეზღვაური კი ნაპირის ნისლში აქლემის კუზის კონტურს განარჩევს ორ დალაქულ კუზს შორის მოქარგული მბზინავფოჩებიანი უნაგირით, ეს კუზები რხევა-რხევით მიიწევიან წინ, მან იცის, რომ ეს ქალაქია, მაგრამ მას აქლემად წარმოიდგენს, რომლის სატვირთო უნაგირიდან დაშაქრული ხილის აცმები და ფინიკის ღვინით და თუთუნის ფოთლებით სავსე ხურჯინები ჩამოკონწიალებულან, და საკუთარ თავს გრძელი ქარავანის მეთაურად ხედავს, ზღვის უდაბნოს რომ გააშორებს მას, ტკბილი წყლის ოაზისისაკენ წაიყვანს, პალმების დაკბილული ჩრდილის მიმართულებით, კირის სქელგალავნიანი სასახლეებისკენ, სადაც ფილებიანი ეზოებია და ფეხშიშველა მოცეკვავე ქალები ცეკვისას ხელებს ხან ჩადრის შიგნით და ხანაც მის გარეთ ამოძრავებენ.

ყოველი ქალაქი იმ უდაბნოდან იღებს ფორმას, რომელსაც უპირისპირდება; და ასე ხედავენ მეაქლემე და მეზღვაური დესპინას, სასაზღვრო ქალაქს ორი უდაბნოს გასაყარზე.

## ქალაქები და ნიშნები. 2.

ქალაქ *ძირმადან* მოგზაურები საკმაოდ მკვეთრი მოგონებებით ბრუნდებიან: ბრმა ზანგი, ბრბოში რომ ყვირის, გიჟი, ცათამბჯენის კარნიზიდან რომ გამოჩრილა, გოგონა, საყელურგამობმულ პუმას რომ დაასეირნებს. ბევრი იმ ბრმათაგანი, ჯოხებით რომ დარაკუნებს ძირმას მოკირწყლულ ქუჩებში, სინამდვილეში ზანგია, ყოველ ცათამბჯენშია ვიღაც, ვინც გიჟდება და ყველა გიჟი ზის საათობით კარნიზებზე, არ არსებობს პუმა, რომელიც გაწვრთნილი არ იქნება გოგონას კაპრიზით. ქალაქი გადავსებულია: მეორდება, რაღაცამ მაინც რომ შესძლოს მეხსიერებაში ჩარჩენა.

მეც ძირმადან ვბრუნდები: ჩემს მეხსიერებას მოჰყვება დირიჟაბლები, რომლებიც ყოველი მიმართულებით ფრენენ ფანჯრების სიმაღლეზე, ჯიხურებიანი ქუჩები, სადაც მეზღვაურებს კანზე ტატუებს ახატავენ, იმ ძონძროხა ქალებით გადავსებული მიწისქვეშა მატარებლები, პაპანაქებით რომ იტანჯებიან; მეგობრები კი, თან რომ მახლდნენ მოგზაურობისას, იფიცებიან, მარტო ერთი დირიჟაბლი დავინახეთ, ქალაქის გუმბათების წვეტებს შორის რომ ლივლივებდაო, აგრეთვე ერთადერთი ტატუების მხატვარი, რომელიც თავის მაგიდაზე ნემსებს, მელანს და აჟურულ ნიმუშებს აწყობდა, და ერთადერთი ძონძროხა ქალი, რომელიც ვაგონის ბაქანზე გრილდებოდაო. მეხსიერება გადავსებულია: იმეორებს ნიშნებს, ქალაქმა რომ არსებობა დაიწყოს.

## მსუბუქი ქალაქები. 1.

ვარაუდობენ, რომ *იზაურა*, ათასჭიანი ქალაქი, ღრმა მიწისქვეშა ტბას ადგას თავზე. ყველგან, სადაც მისი მცხოვრებნი ღრმა ვერტიკალურ ორმოებს თხრიდნენ, წყლის ამოყვანა შეძლეს, მაგრამ ეს მხოლოდ იქამდე, სადამდეც ქალაქია გადაჭიმული. მისი გადამწვანებული პერიმეტრი იმეორებს დამარხული ტბის ბნელი ნაპირების პერიმეტრს, უხილავი პეიზაჟი განსაზღვრავს ყველაფერს, რაც ხილულია, და ყველაფერს, რაც მზეზე ცოცხლობს, ის ტალღა აძლევს ბიძგს, ფრიალო კლდის კირიან ჭერქვეშ რომ ჩაკეტილა და დგაფუნებს.

ამის გამოა, იზაურაში ორი სახის რწმენა რომ დამკვიდრებულა. ქალაქის ღმერთები, ზოგიერთთა აზრით, სიღრმეში ცხოვრობენ, შავ ტბაში, რომელიც მიწისქვეშა წყაროებს კვებავს. სხვათა აზრით კი, ღმერთები სათლებში ცხოვრობენ, და როცა მსხვილ თოკზე დაკიდებული სათლები ჭების მოაჯირს ამოსცდებიან, მაშინ მისი ბინადარნი გადმოდიან, ისინი არიან ტრიალა გორგოლაჭებში, ციცხვების ოწინარებში, ტუმბოების ბერკეტებში, ნაბურღებიდან წყლის ამომქაჩავ ქარის წისქვილების ნიჩბებში, ხარაჩოების ციხესიმაგრეებში, მიხრახნილ ზონდებს რომ იჭერენ, სახურავების ზემოთ, ოჩოფეხების წვერში დაკიდებულ საკუჭნაოებში, წყალსაცავების თხელ თაღებში, წყლის ყველა სვეტში, ვერტიკალურ მილებში, რაზებში, წყლის გასასვლელ ხვრელებში, ზემოთ, მბრუნავ ბორბლებამდე, რომლებიც აგვირგვინებენ იზაურას საჰაერო მოწყობილობებს, ქალაქისა, რომელიც მთლიანად მაღლა მიიწევს.

***

შორეული პროვინციების ინსპექტორებად წარგზავნილები, მოციქულები და ხარკის ამკრეფნი დიდებული ხანისა პუნქტუალურად ბრუნდებოდნენ კემენფუს სამეფო სასახლესა და მაგნოლიების ბაღებში, რომელთა ჩრდილქვეშაც მოსეირნე ყუბლაი მათ გრძელ მოხსენებებს ისმენდა. ელჩები იყვნენ სპარსები, სომხები, სირიელები, კოპტები, თურქმენები; იმპერატორი ისაა, ვინც უცხოელია თითოეული თავისი ქვეშევრდომისთვის და ამიტომაც მხოლოდ უცხოური თვალითა და ყურით შეეძლო იმპერიას თავისი არსებობა დაემტკიცებინა ყუბლაისთვის. მოციქულები ყუბლაისთვის გაუგებარ ენებზე მოახსენებდნენ მას სიახლეებს, რომლებიც მათ თავიანთთვის გაუგებარ ენებზე გაიგეს: ამ ბუნდოვანი ხმოვანი მასიდან ამოტივტივდებოდნენ საიმპერიო სალაროდან აღებული რიცხვები, გადაყენებული და თავწაცლილი თანამდებობის პირების სახელები და მამის სახელები, ზომები სარწყავი არხებისა, რომლებსაც გვალვის დროს წყალმცირე მდინარეები კვებავდნენ. მაგრამ როცა თავის მოხსენებას ახალგაზრდა ვენეციელი აკეთებდა, სხვაგვარი ურთიერთობა მყარდებოდა მასა და იმპერატორს შორის. ახალჩამოსულ და აღმოსავლეთის ენების უცოდინარ მარკო პოლოს აზრის გადმოცემა მხოლოდ ჟესტებით, სალტოებით, გაკვირვებისა და შიშის ამოძახილებით, ცხოველებივით ყეფა-ყივილით შეეძლო, ან კი იმ საგნებით, რომლებსაც თავისი ხურჯინებიდან ამოალაგებდა: სირაქლემას ბუმბულით, სასულე თოფით, კვარცებით, რომლებსაც წინ გაიწყობდა ხოლმე ჭადრაკის ქვებივით. ყუბლაის მიერ მისთვის განწესებული მისიებიდან დაბრუნებული მოხერხებული უცხოელი პანტომიმურ იმპროვიზაციებს მიმართავდა, რომლების ინტერპრეტაციაც მბრძანებელს უნდა გაეკეთებინა: ერთი ქალაქი დახასიათებული იყო თევზის სალტოთი, რომელიც ჩვამას ნისკარტს გაურბოდა, მაგრამ ბადეში კი ებმებოდა, მეორე ქალაქი - იმ შიშველი კაცით, რომელიც ცეცხლში გადის და არ იწვის, მესამე - თავის ქალით, რომელსაც ხავსით გამწვანებული კბილებით ქათქათა და მრგვალი მარგალიტი ეჭირა. ხანი ამოიკითხავდა ნიშნებს, მაგრამ კავშირი ამ ნიშნებსა და მონახულებულ ადგილებს შორის გაურკვეველი რჩებოდა: მან არასოდეს იცოდა, რისი მოყოლა უნდოდა მარკოს, იმისი, რაც თავად გადახდა თავს მოგზაურობისას, ქალაქის დამაარსებლის საქმიანობის, ასტროლოგის წინასწარმეტყველების, რებუსის თუ რამე შარადის, ერთ სახელზე რომ მიეთითებინა. მაგრამ რასაც მარკო წარმოადგენდა, როგორიც უნდა ყოფილიყო ის, ნათელი თუ გაუგებარი, ყველაფერს ემბლემის ძალა ჰქონდა, ემბლემისა, რომელსაც ერთხელ რომ ნახავ, ვეღარ დაივიწყებ და ვერც სხვა რამეში აგერევა. ხანის გონებაში იმპერია ქვიშის მარცვლებივით მოძრავი და ურთიერთგაცვლადი მონაცემების უდაბნოდ გაიაზრებოდა, საიდანაც თითოეული ქალაქისთვის და პროვინციისთვის ვენეციელის ლოგოგრიფების საშუალებით გამოწვეული სიმბოლოები ამოტივტივდებოდნენ.

გავიდა წლები და გაიარა მრავალმა ელჩობამ, მარკო თათრების ენაში გაიწაფა და ბევრი ხალხის ენა და ტომის დიალექტი ისწავლა. მისი თხრობა ახლა იმაზე ზუსტი და დაწვრილებითი გახდა, ვიდრე ხანს შეეძლო ესურვა და არ არსებობდა საკითხი ან ინტერესი, რომელსაც იგი ვერ დააკმაყოფილებდა. და მაინც ყოველი ცნობა რომელიმე ადგილის შესახებ იმპერატორის გონებაში იმ პირველ ჟესტსა თუ საგანს აცოცხლებდა, რომლითაც ეს ადგილი მარკოს ადრე აღეწერა. ახალი მონაცემი იმ ძველი ემბლემიდან იღებდა აზრს და ამავე დროს ამ ემბლემას ახალ აზრს ამატებდა. იქნებ იმპერია, გაიფიქრა ყუბლაიმ, სხვა არაფერია, თუ არა გონების მოჩვენებების ზოდიაქო.

- როცა ყველა ემბლემა მეცოდინება, შევძლებ ჩემი იმპერიის ფლობას? - ჰკითხა მარკოს.

ვენეციელმა კი მიუგო:

მეუფეო, არ დაიჯერო: იმ დღეს შენ თვითონ იქნები ემბლემა სხვა ემბლემებს შორის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# ჟენევური კონცეფციები

მერაბ ლორთქიფანიძე

როგორც ყოველთვის, ჟენევის საავტომობილო შოუ ამჯერადაც გამოირჩეოდა საინტერესო და მრავალფეროვანი კონცეფციების სიმრავლით. ევროპულმა, აზიურმა და ამერიკულმა ავტომწარმოებ-ლებმა თავიანთი კონცეპტუალური ნამუშევრების სახით ავტო შოუს დამთვალიერებლებს (პოტენციურ მყიდველებს) დაანახეს, თუ რა გზით აპირებენ ისინი განვითარებ-ას და დაახლოებით როგორი იქნება მათი მომავლის ავტომობილები.

რა თქმა უნდა, ამ რეგიონის მწარმოებლებსაც განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ - ევროპელე-ბი შინაურ ბაზრებზე პოზიციების გამყარებისთვის არიან მოწოდე-ბულნი, ამერიკელები, იაპონელები და კორეელები კი ძველ კონტინენ-ტზე ბაზრის სულ უფრო დიდი ნა-წილის ათვისებას ცდილობენ.



აერო X თვითმფრინავების შორეული ნათესავია.

## სააბ აერო X

უნდა ითქვას, რომ ჟენევის წლევანდელი ავტო შოუს ერთ-ერ-თი ყველაზე გამორჩეული და მოუ-ლოდნელი ვარსკვლავი იყო შვედ-ურ კომპანია “სააბის” კუპე “აერო X”. მოულოდნელი იმიტომ, რომ შვედური კომპანია (ის ჯენერალ მოტორსს ეკუთვნის) ავტოსალო-ნების დამთვალიერებლებს იშვია-თად ანებივრებს თავისი ექსპერიმენტული ავტო-მობილებით.

ამ ავტომობილს აშკარად ეტყობა ავიადიზაი-ნის გავლენა. ეს არცაა გასაკვირი - “სააბი” ხომ უფრო თავისი სამხედრო თვითმფრინავებითაა ცნობილი. მისი საავიაციო შტო ახლაც უშვებს ავ-იაგამანადგურებლებს. ჰოდა, “აერო X-ის” დიზაი-ნერებმა სამუშაოს საწყისად სამხედრო თვიმფრი-ნავის ფიუზელაჟი აიღეს. რა თქმა უნდა, მისი დი-ზაინი აეროდინამიკურ მილში “დამუშავდა”, რის შედეგადაც, მან გარკვეული ცვლილებებიც გა-ნიცადა.

ავტომობილის გარეგნობაში არაფერია ექსტ-რავაგანტური და ზედმეტი. უფრო მეტიც, ის ერ-თგვარად ასკეტურადაც კი გამოიყურება. კუპეს მთავარი თვისება ინდივიდუალობაა. მის დიზაინ-ში იგრძნობა თვიმფრინავებთან “ნათესაობა”. ასე განსაჯეთ, ბორბლების დისკოების ფორმაც ისეა შერჩეული, რომ კაცი იფიქრებს, მისი შექმნისას დიზაინერებმა საავიაციო რეაქტიული ძრავის ხრახნის ნახაზები გამოიყენესო.

“ავიამშენებლობის მოტივები” ავტომობილის ინტერიერშიც იგრძნობა. ეს პირველ რიგში, მის ერგონომიკას ეხება. სავარძლები მკვეთრად დახ-რილია, თუმცა კოკპიტის შემინულობა იმის საშუ-ალებას მაინც იძლევა, რომ მძღოლმა 180 გრადუ-სის არეალში აკონტროლოს გარე სივრცე. ინტე-რიერი საბრძოლო თვითმფრინავის სანთელს მო-გვაგონებს. ამ მსგავსებას ის ფაქტიც აძლიერებს, რომ კუპეს ჩვეულებრივი კარი არ აქვს. კარის მო-ვალეობას ასრულებს ზევით ასაწევი ხუფი, რომე-ლიც გახსნისას ძარის გვერდითა ნაწილებს (იმას, რომელიც კარის მოვალეობას უნდა ასრულებდ-ეს), სახურავს და წინა საქარე მინასაც თან გაიყო-ლებს და წინ იწევა. ხუფი თუ გახსნილია, დაბალ სალონში ჩაჯდომა და იქიდან გადმოსვლა არავი-თარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ერთი შეხედვით, არანაირი სიახლე არაა კაპო-ტქვეშ - აქ განთავსებულია “სააბის” სერიული, 2,8-ლიტრიანი V6, რომელსაც ორი ტურბოკომპ-რესორი ემსახურება. კომპანიის კონსტრუქტორ-თა “ქირურგიული” ჩარევის შემდეგ, ძრავის სიმძ-ლავრე 400 ცხენის ძალამდე გაიზარდა. რაც მთა-ვარია, ბენზინის ნაცვლად ის ეთანოლს, ანუ ჩვეუ-ლებრივ 100-პროცენტიან სპირტს წვავს. სპირტის მაღალი ოქტანობის (106 ერთეული) წყალობით, ძრავის კუმშვის მაღალი ხარისხის (1:21) მიუხედა-ვად, ტურბოკომპრესორები წვის კამერაში საწვ-ავს მაღალი წნევით (ერთი ბარი) ტუმბავენ.

როგორც მწარმოებელი ირწმუნება, ამ აგრე-გატის მეშვეობით, “აერო X” ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას 4,9 წამში ასწრებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი ხელოვნურადაა შე-ზღუდული 250 კმ/სთ-ით. გარდა ამისა, კონსტ-რუქტორებმა მიაღწიეს ავტომობილის წონის ბო-რბლებზე იდეალურ (50:50) განაწილებას, რაც პე-რსპექტივაში დადებითად უნდა აისახოს მის მანე-ვრულობაზე.

შვედური კუპე “პონტიაკ GTO-ს” პლატფორმა-ზეა ბაზირებული, თუმცა მისგან განსხვავებით, ოთხივე ბორბალი წამყვანი აქვს. ამასთან, საკიდა-რი აღჭურვილია ადაპტირებადი სისტემით, რომლ-ის მუშაობასაც ელექტრონიკა უზრუნველყოფს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა მომავალი ექ-ნება “აერო-სააბს”. მითუმეტეს, რომ შვედური კომპანია სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიც-დის. არაა გამორიცხული, რომ ამ მოდელში გამო-ყენებული კონცეფციებიდან ზოგიერთმა გამოყე-ნება ჰპოვოს “ჯენერალ მოტორსის” საწარმოო პროგრამაში. სანამ ეს მოხდებოდა, მანამ “სააბ აერო X” ოკეანის გაღმა გაემგზავრა, სადაც მისი ნახვის საშუალება ნიუ იორკის ავტოსალონის და-მთვალიერებლებს ჰქონდათ.

## რენო ალტიკა

ფრანგული კომპანიის მიერ მომზადებული ეს კუპე/უნივერსალი ერთ-ერთი ყველაზე საინ-ტერესო კონცეპტკარი იყო ჟენევაში. ამის დას-ტურად თუნდაც იმის თქმა კმარა, რომ მის გარ-შემო ყოველთვის უამრავი დამთვალიერებელი იყრიდა თავს.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამჯერადაც “რენოს” ექსპერიმენტული ავტომობილი უცნაური გა-რეგნობით გამოირჩეოდა. მთავარი უცნაურობა კი “ალტიკას” უკანა საყრდენ-შია, რომელიც შუშისა და რკინის (უფრო სწორად, კო-მპოზიტის) ერთგვარ მოზა-იკას წარმოადგენს. პროექ-ტის ავტორების იდეით, დი-დი ზომის საქარე მინასთან და გამჭვირვალე სახურავ-თან ერთად, ამგვარი “მო-ზაიკური” საყრდენი მძღო-ლის თვალთახედვის არეს ზრდის.



გარეგნობის უცნაურობის გარდა, “ალტიკას” უჩვეულო სალონიც აქვს. კერძოდ, მძღოლის და წინა მგზავრის სავარძლები იატაკზე უძრავადაა დამაგრებული. სამაგიეროდ, შესაძლებელია სა-ტერფულების, საჭის რგოლისა და მაჩვენებლების პანელის მძღოლის პარამეტრების მიხედვით რეგული-რება. თავის მხრივ, მაჩვენებლებიც უჩვეულოა - ორ რეჟიმში მუშაობს. კერძოდ, მძღოლს შეუძლია აირჩი-ოს რეჟიმი “კომფორტი” და ამ დროს, დისპლეის ცენტრში გამოი-სახება მხოლოდ ავტომობილის სიჩქარის მაჩვენებელი. პანელის რეჟიმ “სპორტზე” გადაყვანის შემდეგ კი, ცენტრალურ მონი-ტორზე სიჩქარის გარდა, გამოი-სახება ასევე ძრავის ბრუნთა რიცხვისა და ტურბოკომპრესო-რში წნევის მაჩვენებლები.

სხვათა შორის, ეს ახალი იდეა არაა. მსგავსი ტიპის მაჩვე-ნებელთა პანელი ჯერ კიდევ 90-იან წლებში, თავის ერთ-ერთ კონცეპტკარზე გამოიყენა “საა-ბმა”. ოღონდ, “ალტიკას” პანე-ლისგან განსხვავებით, შვედური კომპანიის მიერ შემუშავებული პანელი გაცილებით მარტივი იყო - უბრალოდ, ისრიან მაჩვე-ნებლებს განათების ორი რეჟიმი ჰქონდათ, რისი წყალობითაც, მათი დანახვა შესაძლებელი იყო მხოლოდ საჭიროების შემთხვე-ვაში. ოღონდ, ამ სისტემას მხო-ლოდ სიბნელეში შეეძლო მონი-ტორიდან “ზედმეტი” ინფორმა-ციის მოშორება.

რაც შეეხება “ალტიკას” აგ-რეგატებს: ის აღჭურვილია ახა-ლი ორლიტრიანი ტურბოდიზელით, რომლის სიმ-ძლავრე 177 ცხენის ძალაა, მაქსიმალური მაბრუნი მომენტი კი - 380 ნ.მ. საკუთრივ “ალტიკასგან” გა-ნსხვავებით, რომელიც ამ სახით ალბათ ვერასოდ-ეს მიაღწევს კონვეიერამდე, აღნიშნული ტურბო-დიზელი უკვე მზადაა მასობრივი წარმოებისთვის და მას მალე მიიღებენ “რენოს” სამოდელო რიგის ავტომობილები.



"კონცეპტ A-ს" სახით "ტოიოტა RAV4-ს" ახალი კონკურენტი გამოუჩნდა.



"რენოს" დიზაინერთა მორიგი ავანგარდული ნამუშევარი.

## ფოლკსვაგენ კონცეპტ A

არანაკლებ ეფექტური კონცეპტუალური ავ-ტომობილი წარმოადგინა “ფოლკსვაგენმა”. ოღ-ონდ, წინა ორი ექსპონატისგან განსხვავებით, “კონცეპტ A” პრაქტიკულად წარმოებისთვის მომ-ზადებული ავტომობილია.

ეს არის მოდელ “გოლფის” მეხუთე თაობის მოდელის პლატფორმაზე შექმნილი უგზოობის ავტომობილი, რომელიც აღჭურვილია 1,4 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე ბენზინის ძრავით. ეს აგ-რეგატი იმითაა საინტერესო, რომ ერთდროულად აღჭურვილია როგორც ტურბოკომპრესორით, ასევე მექანიკური დამჭირხნითაც. ამ ძრავის სიმ-ძლავრე 150 ცხენის ძალას აღწევს და მისი მაბრუ-ნი მომენტი, ორდისკოიანი გადაბმის ქუროსა და 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფის გავლით, ოთხივე წამყვან ბორბალს გადაეცემა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ავტომობილის გარეგნობა. ჟენევაში ვოლფსბურგელებმა თავია-ნთი პროდუქციის პოტენციურ მყიდველს აჩვენ-ეს, თუ დაახლოებით როგორი იქნება მათი ახალი უგზოობის ავტომობილი, რომელიც მალე დაიკავ-ებს ადგილს ვოლფსბურგული ავტოგიგანტის სა-მოდელო რიგში. ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს კონვე-იერზე მოხვედრამდე კონცეპტკარს აუცილებლ-ად შეეცვლება.

სხვათა შორის, “კონცეპტ A” ერთადერთი უგზოობის მოდელი როდი არის, რომელიც “გო-ლფის” პლატფორმაზეა შექმნილი. ოღონდ, სხვა მსგავსი მოდელებისგან განსხვავებით, ეს პო-პულარული ავტომობილის უბრალო მოდიფიკა-ცია კი არა, სრულიად განსხვავებული ავტომო-ბილია, რომელიც ალბათ კონკურენციას გაუწ-ევს ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ისეთ ლიდე-რებს, როგორებიცაა “მიცუბიში პაჯერო” და “ტოიოტა RAV4”.

# ბრიტანელი მდიდრები



ბრიტანულმა გაზეთმა “სანდი თაიმსმა” 2006 წლის მდიდრების სია გამოაქვეყნა. სიას სათავეში სინგაპურული წარმოშობის მევიოლინე ვანესა მეი-ნიკოლსონი ჩაუდგა. ბრიტანეთში დაბადებული ან მცხოვრები მდიდარი ადამიანების სიაში ვანესა 32 მილიონი გირვანქა სტერლინგით დაწინაურდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ათეულში მოხვდნენ ჯგუფ “ქოლდფლეის” ოთხივე წევრი. კრის მარტინსა და მის ბიჭებს 25 მილიონი გირვანქა სტერლინგის ქონება აქვთ დაგროვებული. ვანესა მეიც და “ქოლდფლეიც” თავიანთ მილიონებს მსოფლიო მასშტაბით გაყიდული ალბომებისგან აგროვებენ.

მეორე ადგილზე გავიდა 23 წლის ბელფასტში დაბადებული მსახიობი კირა ჩაპლინი - ჩარლი ჩაპლინის შვილთაშვილი. 30 მილიონი გირვანქა სტერლინგის ქონების მფლობელი კირა 30 პროცენტიან წილს ფლობს ჰოლივუდურ საპროდუქციო კომპანია “ლაიმლაით ფილმზში”. კირა გახლავთ ასევე პრეზიდენტი კომპანიისა, რომელიც ვებ-საით webforjetset.com-ს უძღვება. ამ ინტერნეტ გვერდზე ემსახურებიან სუპერ-მდიდარ ადამიანებს, თუ მათ ვერტმფრენის ან “ფერარის”, ანდა სანდო დაცვის პოვნა სჭირდებათ.

“სანდი თაიმსი” ასეთ ნუსხას უკვე მეთვრამეტედ ადგენს და იკვლევს ათასამდე მდიდარი ადამიანისა და ოჯახის პროფილს. ქონების აღნუსხვას მიწის, უძრავი ქონების, ხელოვნების ნიმუშების, ცხენების ანდა სხვადასხვა კომპანიაში ჩადებული წილებით ახდენს.

წლევანდელი ათეული ასე გამოიყურება:

1. ვანესა-მეი - 32 მილიონი;
2. კირა ჩაპლინი - 30 მილიონი;
3. გაი ბერიმენი - 25 მილიონი;
4. ჯონ ბაქლენდი - 25 მილიონი;
5. ვილ ჩემპიონი - 25 მილიონი;
6. კრის მარტინი - 25 მილიონი;
7. კარენ ელსონი და ჯეკ ვაიტი - 20 მილიონი;
8. ორლანდო ბლუმი - 14 მილიონი;
9. დენიელ რედქლიფი - 14 მილიონი;
10. კეიტ უინსლეტი - 12 მილონი.

## კანის საკონკურსო ფილმების სია

კანის 59-ე საერთაშორისო კინოფესტივალი 17 მაისს, რონ ჰოვარდის არასაკონკურსო ფილმით, "და ვინჩის კოდით" გაიხსნება. ფესტივალის დირექტორატმა უკვე გამოაქვეყნა ფესტივალის 19 საკონკურსო ფილმის სია. ჟიურის თავმჯდომარეა ჰონგ კონგელი კინემატოგრაფისტი ვონგ კარვაი.

ფესტივალის გახსნის ცერემონიალს თანამედროვე ფრანგული კინოს ცნობილი მსახიობი ვენსან კასელი დაესწრება.

ფესტივალის მთავარი პრიზის - "ოქროს პალმის რტოსთვის" აღიარებული ხელოვანების პედრო ალმადოვარის (ესპანეთი), ქენ ლოაჩის (ბრიტანეთი) და ნანი მორეტის (იტალია) ფილმები იბრძოლებენ.

კანის კინოფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორის ტერი ფრმოს განცხადებით, ალმადოვარი ფესტივალზე თავის ახალ ნამუშევარს, "რათა დაბრუნდნენ" წარმოადგენს. ლოაჩი ჟიურისა და მაყურებლებს "ქარი ამოვარდებას" უჩვენებს, ხოლო მორეტი იტალიაში უკვე გახმაურებული სურათით - "კაიმანით" წარსდგება. კრიტიკოსები ვარაუდობენ, რომ არც თუ ცუდი შანსები აქვს ამერიკელი რეჟისორის სოფი კოპოლას ფილმს "მარია ანტუანეტა". ჟიურის კეთილგანწყობა ამ ფილმმა შესაძლებელია, ვერსალში გადაღებული კადრებით დაიმსახუროს. ფესტივალზე ფრანგული კინო სამი ფილმითაა წარმოდგენილი. ესენია ბრუნო დიუმონის "ფლანდრია", ნიკოლ გარსიას "კარლის ნაკვალევზე", კსავიე ჟიანოლის "როცა მომღერალი ვიყავი", მთავარ როლში ჟერარ დეპარდიე.





# გულით გონებაში და კამერით ხელში

## სან ფრანცისკოელი ფოტოგრაფი საქართველოში

**თამარ ბაბუაძე**

*სემუელ ვუტენი წარმოშობით ფრანგი, აღმსარებლობით მუსლიმი და სან ფრანცისკოში მცხოვრები ფოტოგრაფი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ტურისტს ჰგავს, ფოტოაპარატით აღჭურვილს და საქართველოს ეგზოტიკით აღფრთოვანებულს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. რეალურად სემუელ ვუტენი ქვეყნებს, სადაც ჩადის, სტერეოტიპებს მიღმა აფასებს და ბრმად არც საქართველოს შემთხვევაში იმეორებს ბევრჯერ გატკეპნილ ფრაზას: "ქართველები უშუალო და მეგობრული ხალხია". მას ამ ფრაზის, ისევე, როგორც ქართული რეალობის, საკუთარი, უნიკალური ინტერპრეტაცია აქვს.*

როგორ ახერხებს? მარტივად - სემუელ ვუტენი არის ფოტოგრაფი, რომელსაც თითქმის ისევე უყვარს ადამიანებთან საუბარი, როგორც მათი გადაღება. პირველწყაროსგან მიღებული პასუხები კი ყოველთვის სრულიად ახალს აღმოაჩენინებს ხოლმე ახალი ქვეყნის შესახებ.

სემუელ ვუტენი ასევე არის ფოტოგრაფი, რომელიც რვა ენას ფლობს, ქვეყანაში ჩასვლას იქაური ადამიანების გაცნობით და ცოტაოდენი სალაპარაკო ენის შესწავლით იწყებს, რათა უფრო მართალი ფოტოები გადაიღოს.

და სემუელ ვუტენი არის ფოტოგრაფი, რომელიც ბოლო ერთი თვეა, საქართველოს სტუმრობს.

ფოტოგრაფიისა და საქართველოს ნაცნობობა, პრინციპში, წლებია, გრძელდება. ჩვენამდე ვუტენმა რუსეთის გავლით მოაღწია. ყოველთვის, როცა იქ მოგზაურობდა, უამრავი ქართველი ხვდებოდა და მათთან იოლად ახერხებდა დამეგობრებას. თანაც არ ჰქონდა მნიშვნელობა გზადშეხვედრილი ქართველის სოციალურ სტატუსს - ვუტენის პირველი ქართველი მეგობრები მძღოლები და ბაზრის გამყიდველებიც იყვნენ. "უბრალოდ, ვგრძნობდი, რომ ეს უბრალო ხალხი რაღაცით მიზიდავდა. ჩვენი ენერგია საოცრად ემთხვეოდა ერთმანეთს".

საქართველოში ჩამოსვლის პირველი მცდელობა 1992 წელს ჰქონდა. ნოვოსიბირსკიდან მატარებლით წამოვიდა, მაგრამ საზღვრიდან გააბრუნეს უკან. გავიდა წლები და 2006 წლის მარტში ვუტენი საქართველოს "არტ კავკაზუსის" ფარგლებში მოწყობილ ღონისძიებებზე ეწვია.

"საქართველოს შეფასება, ცხადია, თბილისით დავიწყე. მაგრამ ქალაქის ესთეტიკა არასდროს მიზიდავდა. თავს გაცილებით უფრო ბუნებრივად ვგრძნობ ხოლმე, როცა ბუნებაში ვარ. ამიტომ თბილისი ჩემი საქართველოში გადაღებული ფოტოების მხოლოდ მცირე ნაწილის თემაა. დანარჩენი, და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფოტოები, სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობისას გადავიღე".



კახური სოფლები, დავით გარეჯი, კასპი, გორი, ვარძიის მხარე, რაჭა, აჭარა - სან ფრანცისკოელ ფოტოგრაფს თამამად შეუძლია თქვას, რომ ამ ქართულ მხარეებს კარგად იცნობს, შეიძლება ბევრ ქართველზე უკეთესადაც. ამის მიზეზი მისი შინაგანი გახსნილობა და ახალი ადამიანების გაცნობისთვის მუდმივი მზაობაა. ის თავის თავს "ნელ ფოტოგრაფს" უწოდებს და ამბობს, რომ მუშაობის, ანუ გადაღების დროს, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ახლადშემდგარი ნაცნობობაა.

"თავს ყველაზე კარგად ადამიანების მცირე ჯგუფთან ერთად გრძნობ. როცა მათ ყოველდღიურ ცხოვრებას მარტო კი არ ვაკვირდები, მეც ვერთვები; როცა ვსვამ კითხვებს, ვიღებ პასუხებს და როცა ჩვენს შორის არაზედაპირული კავშირი მყარდება. ჩემთვის ეს დეტალებია ყველაზე მნიშვნელოვანი. ამიტომაც ვამბობ, რომ ნელი ფოტოგრაფია მიყვარს. ჩემი ტემპიც ზუსტად ასეთია და ის, ცხადია, არაფრით არ მადგება ხოლმე კომერციულ შეკვეთებზე მუშაობისას. ამიტომ ვცდილობ, წლის განმავლობაში იმდენი ფული დავაგროვო, რომ შემდეგ ვიმოგზაურო და ისეთი ფოტოპროექტები გავაკეთო, ჩემს შინაგან ტემპს და სურვილებს, მაქსიმალურად რომ აკმაყოფილებს.



სხვათაშორის, მყავს ერთი მეგობარი, რომელიც ძალიან კარგი ფოტოგრაფია. მას ჩემგან განსხვავებით, შეუძლია სწრაფად იმოქმედოს. ჩავიდეს დანიშნულების ადგილზე, გაეცნოს სიტუაციას და ერთ დღეში გადაიღოს შესანიშნავი ფოტოები, მაგრამ ჩემთვის ამ ფოტოებს მაინც სხვა განწყობა მოაქვს, მათ ჩემთვის რაღაც მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მიდგომა აკლია".




სამაგიეროდ, სწორედ ამ განსაკუთრებული მიდგომით არის სავსე ვუტენის ქართული ფოტოები, გადაღებული ქართლის, კახეთის თუ რაჭის მიკარგულ სოფლებში, სადაც მხოლოდ ლატაკი მოხუცები არღვევენ სიჩუმეს მიტოვებული ნასახლარების სიჩუმეს.

"ამ უკაცრიელ დასახლებებში ძალიან საინტერესო ადამიანები ცხოვრობენ - კამერისთვისაც, ანუ ვიზუალური თვალსაზრისით და ურთიერთობისთვისაც. ძალიან საინტერესო იყო გორში ჩასვლაც. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სტალინი კვლავაც ცოცხალი იყო. მის ყოფნას მუდმივად ვგრძნობდი. იქ დღემდე ცხოვრობენ სტალინისტები, რომლებიც მოხუცები არიან, მაგრამ სტალინზე მაინც დიდი გზნებით საუბრობენ. გადავიღე ერთი 84 წლის ომის ვეტერანი, რომელიც სტალინგრადის ბრძოლაში მონაწილეობდა, ახლა კი ლოგინადაა ჩავარდნილი და ერთ პატარა ოთახში წევს".

არანაკლებ შთამბეჭდავი იყო დავით გარეჯის მონასტერში სტუმრობა. მუსლიმ ფოტოგრაფთან ურთიერთობა ბერებს არ გაჭირვებიათ. საუბრობდნენ ყველაფერზე - ჰუმანიზმზე, რელიგიაზე, რწმენაზე. "მაგრამ იყო ერთი ბერი, რომელიც ჩემთან ურთიერთობას თავს არიდებდა. სიტყვაძუნწი იყო და ჩემს მიმართ ინტერესს საერთოდ არ იჩენდა. თუმცა, დავბრუნდი უკან და თბილისში, სამების საკათედრო ტაძარში ეს ბერი კიდევ ერთხელ ვნახე. ბევრ ხალხში უმალ შევნიშნე. თვითონაც შემნიშნა და ისეთი სიყვარულით წამოვიდა ჩემსკენ, ისე თბილად შემეგება, რომ მივხვდი, ჩვენს შორის კავშირი მაინც შედგა. საერთოდ, ქართველებზე ამბობენ, რომ მეგობრული და უშუალო ხალხია. მე კი ხელაღებით ამის მტკიცებას ვერ მოვყვებოდი. ქართველებზე გაცილებით მეგობრული ხალხიც მინახავს და იმიტომ. მაგალითად, აქ შენთან ურთიერთობის ინიციატივას არავინ გამოხატავს. თუ თვითონ არ მიხვედი და არ დაინტერესდი, სხვა ამას არ იზამს".

კიდევ ერთი დაკვირვება: "თბილისის არტისტული წრე ძალიან შეკრულია. აქ ყველა ერთმანეთს იცნობს და გრძნობ, რომ ერთ სივრცეში ტრიალებ. ეს სან ფრანცისკოს გაბნეულ რეალობაში ცხოვრების შემდეგ ჩემთვის ძალიან უცხოა. თბილისში ძალიან ხშირად მისვამენ ერთ კითხვასაც: "პროფესიონალი ფოტოგრაფი ხარ თუ არა?" ჩემთვის პასუხს ამ კითხვაზე მეასეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მე ვამბობ, რომ პროფესიონალი არ ვარ, მაგრამ ფოტოში ვაკეთებ იმას, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანია".

უფრო ვრცლად სემუელ ვუტენი ფოტოსთან ურთიერთობის შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე წერს: "გულით გონებაში და კამერით ხელში, მინდა ვიყო, ახალი დამაკავშირებელი ძაფი ძველი მეიგავეების უწყვეტ ტრადიციასთან... ბაბუაჩემიც ფოტოგრაფი იყო. მას ჩემთან თავის პროფესიაზე არასდროს უსაბრია, მაგრამ სწორედ ბაბუამ მაჩუქა პირველი კამერა, როცა 16 წლის ვიყავი და იმ დროიდან მოყოლებული სამყაროს კამერით აღვიქვამ".

სემუელ ვუტენი პროფესიით ლინგვისტი-ანთროპოლოგია, სორბონასა და სტრასბურგის უნივერსიტეტების დიპლომებით, მაგრამ იქ მიღებული ცოდნა მას ისევ ფოტოგრაფიაში ეხმარება. ენების ცოდნა აძლევს საშუალებას ახლად გაცნობილ ქვეყანაში ურთიერთობები პირდაპირ, თარჯიმნის დახმარების გარეშე დაამყაროს. ის არ ენდობა ხოლმე არც გიდებს და სახეტიალოდ, ყოვლად მიუვალ მხარეებშიც კი, მარტო მიდის. ახლაც რაჭაში მარტო წავიდა, რუსული ენით, ცოტაოდენი ქართულით, ზურგჩანით და ფოტოკამერით შეიარაღებული, და ერთადერთი რაზეც ნერვიულობდა, ამინდი იყო.



საქართველომდე სანამ მოაღწევდა, სემუელ ვუტენმა თითქმის მთელი მსოფლიოს შემოვლა მოასწრო. სამხრეთ ამერიკა, აზია, აფრიკა. ცხადია, როგორც აღმსარებელ მუსლიმს, მუშაობა ყველაზე მეტად მუსლიმურ ქვეყნებში მოსწონს. ირანს რვა წელია, სხვადასხვა დროსა და კონტექსტში, მუდმივად იღებს. ახალი ნაცნობობა ახალ შესაძლებლობებს უხსნის. მაგალითად შემთხვევით გაცნობილი ირანელი დერვიში ქურთების ქალაქში ერთ გრანდიოზულ ცერემონიალზე დასასწრებად ეპატიჟება. სემუელიც არა მხოლოდ კამერით იღებს ლოცვის ექსტაზში შესულ მოცეკვავეებს, არამედ რიტუალშიც მონაწილეობს...

ეთიოპიაში მოგზაურობიდან არ ავიწყდება ერთი უცნაური პილიგრიმობის ისტორია: შუაგულ უდაბნოში მორწმუნეებთან ერთად დანიშნულების ადგილამდე. იქ ერთად ლოცულობენ და იწმინდებიან. მთელი მოგზაურობა ორ თვეს გრძელდება. ეს საკმარისი დროა თანხმლები მორმწუნეების ახლოს გასაცნობად - მით უფრო, რომ სულიერებასა და რწმენაზე საუბარი არავის ბეზრდება. მათთან ურთიერთობა ერთდროულად ყველაზე უბრალო და ძვირფასია. ისინი უშურველად იყოფენ პურის ნატეხსა და წყალს, ლოცულობენ თავდავიწყებით და სითბოსაც თანხმლები მუსლიმი ფოტოგრაფისადმი ყველაზე გულწრფელად გამოხატავენ - დიდხანს უჭირავთ ხელში სემუელის ხელი, თვალებში კი სიყვარული ეტყობათ.

ასეთ ადამიანებს ვუტენი ყველგან პოულობს: ეთიოპიაშიც, მაროკოშიც, სენეგალშიც, მალიშიც, ჩინეთშიც. მის ფოტოებზე ადამიანებს ყოველთვის აქვთ: დიდი და სავსე თვალები, ისინი ან ლოცულობენ, ან ცეკვავენ, ან ფიქრობენ, ან უჭირთ, მაგრამ რასაც არ უნდა აკეთებდნენ, ყოველთვის ეტყობათ ადამიანობის ისეთი სხვანაირი, კაშკაშა სხივი, რომლის დაჭერაც მხოლოდ "ნელ ფოტოგრაფებს" შეუძლიათ.

სემუელ ვუტენი ახლა ასეთივე ნელი ტემპით, დაკვირვებული მზერით და ახალი ნაცნობობისთვის მუდმივი შინაგანი მზაობით საქართველოს სწავლობს. უკან, სან ფრანცისკოში დაბრუნების შემდეგ გამოფენასაც მოაწყობს, მაგრამ საქართველოს ნაწილს საკუთარ ბიოგრაფიაში ამით არ დახურავს. მას უკან მიბრუნებები სჩვევია და საქართველოშიც აპირებს დაბრუნებას. მანამდე კი სემუელ ვუტენთან შეხვედრა მის ვებ-გვერდზეა შესაძლებელი: www.samuelwooten.com